

026

III

# კონსპექტი

საქართველოს ისტორიიდან

33862

შეღენილი ა. ქუთათელაძისგან

680 ც 0 II



ტფილი

საქართველოს სახმარებო მინისტრის ბიბლიოთეკი

1900



Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 августа 1900 г.

## დამიტრი დავითის-ძე (1125—1154):

დავითი გადაიცვალა 24 იანვარს. მის გადა-  
ცვალების შემდეგ საქართველოს ტახტზე ავიდა მასი-  
ძე დიმიტრი. დიმიტრი ყოველშერით მამის სასიქა-  
ლულო შვილი იყო. ჯერ კიდე მემკვიდრე იყო,  
რომ მამის ბრძანებით გაიღაშქრა შირვანში და თა-  
ვის სიმამაცით უველა გააკვირვა: დაიმორჩილა ქვე-  
ყანა, აილო ციხეები და მტერი მოხარკე გახადა.  
ამიტომაც დიდის ქებით იხსენიებს დავითი თავის სა-  
კურელს შვილს თავისწე „ანდერძში“: „ღმერთმა  
მომცა ისეთი მემკვიდრე, რომელიც სიბრძნით, სი-  
მართლით, სიმტკიცით და სიმიმაცით ჩემზე მაღლა  
დგას“. გაამართლა შვილმა მამის ანდერძი: როდესაც  
შეფერდ დაჯდა, მას მოუხდა მოუპატიუებელ თურქები-  
თან ომი. ამდროს — და კიდე უფრო ადრიდან —  
თურქები აწვებიან სამხრეთიდან ჩეენს ქვეყანას; შე-  
მოდიან და იჭერენ მოსაზღვრე აღგილებს, ქალაქებს  
და ციხეებს. ზოგჯერ ფულითაც მოქმედებენ: ჩაიგ-  
დებენ ვინმე მოლალატის წყალობით ხელში მოსაზ-  
ღვრე ციხეს. ეხლაც ისე მოხდა.. გაზვიადებულმა  
დიდებულებმა თავისი არ მოიშალეს: თაკილობენ დი-  
მიტრის დაემორჩილონ. მაგალითად, აბულეთ ორბე-  
ლიანმა იდუმალ გადასცა ქალაქი ანი და ციხე განძის

ემირს ფადლონს. ფადლონს მხარს აძლევდა სალდუხ-  
ყავნი. დომიტრიმ შემოიკრიბა ჯარი, დაეცა, ორივე  
დაამარცხა, ხელიდან გამოგლიჯა ქალაქი ანი და ცი-  
ხე. მერე გადიჭრა განჯისკენ აილო განჯა (1138 წ.),  
ციხე დაანგრია და მისი რკინის კარები დღესაც გე-  
ლათშია\*). მოღალატეები ამ საქმეში აბულეთი და მისი  
შვილი ივანე V არ დასაჯა მეფემ, რადგან, დარ-  
წმუნებული იყო, შეიგნებდენ თავის ასეთ საზიზღარ-  
ქცევას ქვეყნის და მეფის წინაშე. მაგრამ მეფის სულ-  
გრძელობამ არ გასჭრა: მეორედ განიზრახეს მეფის  
და მის ძმის გიორგის მოკვლა. მეფემ ესეც შეუტყო,  
აპატივა, მხოლოდ დააფიცა ყველა, რომ შემდეგში  
მაინც ერთგული იქნებოდენ. მართალია, ამ დროს  
აბულეთი ცოცხალი არ არის, მაგრამ ივანეს მარ-  
ჯვენა მკლავია ამ შემთხვევაში მისი შვილი თირ-  
ქაში. მესამედ რომ განიზრახეს მამა-შვილმა მეფის.  
მოკვლა, მაშინ დიმიტრიმ დააჭერინა ივანე და მო-  
აჭვლევინა. თირქაში კი გაიქცა სპარსეთში შაჰ-  
არმენთან საჩივლელად. შაჰ-არმენი მხარს აძლევს თირ-  
ქაშს. შემოიჭრება ჩვენს საზღვრებში და აოხრებს  
მის პროვინციებს.

შეწუხებული შინაურ მღელვარებისა და ლალა-  
ტისგან დიმიტრი ტევებს ტახტს და ბერად შედგება\*\*).

\*) ამ საუკუნეში ერთი მათგანი ბერებმა, უგუნურების-  
გამო, ლურსმაც აჭერის და გაიხმარეს:

\*\*) დიმიტრის იხსენებს იშხანის და ჩახულის წარწერა-  
ჭოროხის ხელბაში, მან ააგო უბისში 1141 წ. საყდარი.

ტახტზე აღის მისი შვილი დავით, რომელიც  
შეფობს მარტო 6 თვე და ანდერძით, სიკვდილის უამს,  
ძმას გორგის უტევებს სამეფოს, მხოლოდ, როგორც  
კი წამოიზრდებოდა მისი შვილი დემნა (დიმიტრი),  
უსათუოდ მეფედ ის უნდა ელეარნა და ტახტი მის-  
თვის დაეთმო.

### გორგი III დიმიტრის ძე (1156—1184)

რაღან დავითის შვილი დემნა (დიმიტრი)  
მცირე წლოვანი იყო, ქვეყნის მმართველი შეიქნა  
დავითის ძმა გიორგი. — ქართლის ცხოვრება ასე  
აგვიწერს გიორგის: ის იყო მშვიდი, უხვი, მოწყალე,  
ქვრივი, ობლის შემწყნარებელი, ეკლესიის მაშენე-  
ბელი, მხნე, ახოვანი, მოისარ-მონაცირე შეუდარე-  
ბელი. მისი მეუღლე იყო ოსეთის მფლობელის (კუდ-  
დენის) ასული ბურდუხან, სახით შვენიერი და გო-  
ნება-ზნეობით ზეალმატებული.

ამ დროს სამხრეთისკენ რყევაა: არ ისვენებენ  
მაჰმადიანები, აწვებიან ჩვენს საზღვრებს, შემოდიან  
და შიგ ბინავდებიან ძალ-მომრეობით. ჩვენდა სამჭ  
წუხაროდ, შინაურებიც ხელს უწყობენ ამ საზიზლარ  
საქციელს: შანშე დადანი, რომელიც ანის გამგე  
იყო, ღალატობს სამშობლოს, განდგება და სპარხე-  
თის მფლობელს შავ-არმენს მიენდობა. — გიორგი  
შემოიკრებს ჯარს, შეებრძოლება მტერს (1161 წ.  
ივნისში), დაამარცხებს, აიღებს ანს, დაატყვევებს შან-

შეს და მის ადგილზე დანიშნავს იოანე VI ორბე-  
ლიანს. გამობრუნდება თუ არა გიორგი, შემოიჭრება  
ისევ შაჰ-არმენი და ხელში ჩაიგდებს ანს (მას ეხმა-  
რებოდენ შარიერის სულტნი იასი, შამელები, გარ-  
მიანელები დიარბექირის თურქები). მაგრამ გიორგიმ  
იმავე წელს (1161 წ., 1 აგვისტოს) საოცრად დაამარ-  
ცხა თვითონ შაჰ-არმენი. ამავე წელს ამარცხებს გიორგი.  
ანში შემოსულს შაჰ-არმენის მოკავშირეს აღრიბეჟანის  
ძლიერ ათაბაგს ილდიგუზს. ამის შემდეგ (1162 წ.)  
გიორგი აიღებს დვინს, მაგრამ (1163 წ.) ილდიგუზი  
ისევ ხელში ჩაიგდებს დვინს და დაიჭირს გაგის ცი-  
ხეს. გიორგი მსწრაფლ შეჰყრის ხელახლად ჯარს,  
გაეშურება დვინის და გაგის ციხის ასაღებლად. ილ-  
დიგუზი შეშინდება და გაიქცევა. მაინც (1165 წ.)  
კიდე ისევ კარგავს გიორგი ანს, თუმცა დროებით  
ილდიგუზის დამარცხებამ დიდი გავლენა იქონია მთელ  
მაპმაღიანობაზე, რადგან ამდროს მარტო ილდიგუზი  
კი არ ეომებოდა გიორგის, — აქ იყვნენ ხეარასნის,  
ერაყის (პართია) სულტნები და სპარსეთის ათაბაგი  
ხალიფას ბრძანებით. — გაისმა გიორგის და ქართველო-  
ბის სახელი და სიმამაცე მაპმაღიანობაში. რაკი ილდი-  
გუზი მოიშორა გიორგიმ, გადვიდა (1165 — 1166 წ.)  
და შემოიერთა კლარჯეთი, კარი და კარნუ - ქალაქი  
(აზრუმი), საიდანაც აწვებოდა მაპმაღიანობა, და გა-  
ნუწყვეტელი ომი ჰქონდათ ერთმანეთთან მკვიდრ-  
მცხოვრებლებს და მოსულ მაპმაღიანობას. ამავე  
დროს დაიპყრა ვანი.

სამხრეთ დასავლეთიდან შემობრუნდა გიორგი  
და განჯისკენ გაეშურა, რაღაც ეს პროვინცია მუ-  
დავ ტოკავდა, და აჯანყებას ფიქრობდა.\*)

ამხანაში თვალად და ტანად შევნიერი და სიცოც-  
ხლით საესე დემნა სრულწლოვანი შეიქნა და მოითხოვა  
ტახტი. მას ემხრობოდენ მისი გამზრდელი (ძმები) ივანე  
და ლიპარიტობელიანები და მრავალი სხვა დიდებული-  
თაგანი. ამათ შემოკრიბეს მომხრეები და ჯარით დად-  
გენ ტაშირს. გიორგი შეებრძოლა თავის ერთგულ  
ქართველებით და დაამარცხა ძმისწული. დამარცხე-  
ბულებმა იქვე მათგანვე გამაგრებულ ციხეს ლორეს  
შეეფარენ. მაშინ გიორგიმ გაყო თავისი ჯარი ორ რაზ-  
მად: ერთი შემოარტყა ალყად ლორეს და მეორეთი  
გაეშურა და ჯერ დაეცა ობელიანებს: ესენი იყვნენ  
გამაგრებული თავი სამშვილდის ციხეში, მივიდა მე-  
ფე იერიშით, აიღო, ორივე სიკვდილით დასაჯა და  
მათი მამული თავის ერთგულებს მისცა. ლიპარიტის  
შვილები: ივანე და ელიქუმი სპარსეთში გაიქცენ.  
აქედან შემოტრიალდა გიორგი და მივიდა ლორეზე.  
შეშინდა დემნა და თვითონ გამოცხადდა მეფესთან.  
მეფემ უველა დასაჯა და ამათ რიცხვში დემნაც: ის  
დაატყვევა გიორგიმ კლდე-კარში და, თვალები დას-  
წვა. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია დემნას. (ის დასაფლავებულია მცხეთას.) დემნას სიკვდილის  
შემდეგ გიორგი შეიქნა ერთად ერთი თვით-მცყრო-

\*.) 1174 წ. გიორგიმ ისუვ დაიბრუნა ანისი.

ბელი საქართველოში. გიორგის დროს ერთობ ფრთა  
შეისხეს ქართველებმა: გაწმინდეს არეზის მარცხენა  
ნაპირი სრულიად, საიდანაც მაინც კიდე აწუხებდენ  
ქართველებს მაჰმადიანები; შემოუერთეს (აშორნია,  
გარნისი\*) დერბენდი, დაარბიეს, სამხრეთი, და ში-  
შის ზარი დასცეს თურქებს და საზოგადოდ მაჰმა-  
დიანებს, რომ წინ არ წამოწეულიყვნენ და საქარ-  
თველოს საზღვარი არ შეეშალათ. გიორგის დროს  
ჩამოდის ჩვენში სახლობით ანდრონიკე კომნენი\*\*)  
მანუელ იმპერატორის (1143—1180) ძმისწული,  
რომელიც მეფის ნებართვით ბინავდება კახეთში.

გიორგისგან არის აშენებული შესანიშნავი,  
კლდე-ქვაბში გამოჭრილი ქალაქი, სამეფო პალატი  
და გკლესია, სადაც არიან დახატული გიორგი, მისი  
შეუღლე ბურდუხანი და თამარი. ამ დიდებულს ალაგს  
ჰქვია ვარძია.

### თამარ შეფე (1184—1213)

ბაგრატ შესამიდან უკეთესი ქართველები სულ  
იმის ცდაში და ზრუნვაში იყვნენ, ქვეყანა გაეერ-  
თებინათ და ჩაედგათ მისთვის ერთი სული და ერთი  
გული, რომ მტერს აღარ შეძლებოდა ჩვენ საზ-  
ღვრებში თამამად შემოსვლა და წინანდელივით თავი-  
სუფლად ფარფაში. თამარის მამის დროს დადგა ეს

\*) აჰარშაბათი.

\*\*) ისაკ კომნენის შვილი.

სანატრელი და სასურველი მომენტი: დაგვირგვინდა.  
და, დროს შესაფერად, გამტკიცდა კიდეც. უხლა  
მხოლოდ საჭირო იყო, ეს მორთული მანქანა ისეთს  
ხელს ჩავარდნოდა ხელში, რომელსაც ღირსეულად წა-  
რებართა, ეს პირი იყო თამარი. თამარი იყო უკეთესი  
ინიციატორი და მასთან ნიჭიერი მეფე, რომელ-  
საც ძალიან კარგად ესმოდა, თუ რა არის სახელ-  
მწიფოსთვის ღირსეული მოხელეები. ამიტომაც მან  
ყველაზე მეტი ყურადღება ამ მხარეს მიაქცია და,  
მართლაც, გაამართლა ქვეყნის აზრი იმაზედ. მისგან  
არჩეული მოხელეები იმ დროში საუკეთესო პირე-  
ბად ითვლებიან და ამაშია მისი შარავანდედით შე-  
მოსილი მეფობა: ის აქცევს ყურადღებას ღირსებას და  
არა გვარიშვილობას. მატიანის თქმით თამარი დაიბადა  
1156 წ.\*). მამა მისი გიორგი იყო ნიჭიერი მხედართ-  
მთავარი და გამჭრიახი გამგე. დედა, ბურდუხან — მე-  
ტად ჭიკვიანი და მაღალ-ზნეობიანი არსება. ამათზე  
ნაკლები არ იყო თამარის მამიდა რუსუდანი, რო-  
მელიც ყავდა ცოლად ხვარასნის სულტანს და ეხლა  
დაქვრივებული იყო. რუსუდანი უშვილო იყო და ისე  
ზრდიდა თამარს, როგორც საკუთარს და საყვარელს  
შვილს. რუსუდანი იყო მეტად ცნობილი გამოც-  
დილებით, ჭიკუით, სწავლით და ზნეობით, დარბაის-  
ლობით — კიდე უფრო გადამეტებული. აი ამათ ხელ-  
ში იზრდებოდა საქართველოს მომავალი დიდება და

\*) თვე და რიცხვი არ ვიცით.

ნუგეში. ნამდვილ გაამართლა თამარმა აღმზრდელების ნატყრა და სხივი მოჭონინა მათვან გადმოცემულ ნიჭის. ეს „ლვთის სწორი“ არსება ამავე დროს იყო შვენიერებით, სილამაზით და სინაზით მომზიბლავი.

რადგან გიორგის მეტი შვილი არ ყავდა, ადრე ინება თამარის გამეფება (1181 წელს). მართალია, თა- მარი ავიდა ტახტზე, მაგრამ ქვეყნის საქმეს მაინც მამა- განაგებდა. სამის წლის განმავალობაში თამარი უკვი- რდებოდა სახელმწიფო საქმეებს, მათ ხასიათს, რომ უკეთ შეგნებული პქონოდა შემდეგისათვის. 1184 წ. გადაიცვალა გიორგი. შემოკრბენ ყველა კუთხიდან ქართველები და მეფედ აკურთხეს თამარი ტფილის ში. როგორც ჩვეულება იყო, სამეფო გვირგვინი დაადგა ქუთათელმა მთავარ ეპისკოპოსმა ანტონი სალირისძემ და ხმალი შემოარტყა რაჭის ერისთავმა კახაბერმა.

წინეთ საქართველო დანაწილებული იყო პა- ტარა კუთხეებად და ოვითეულ კუთხეს განაგებდა ერისთავი. დროს განმავალობაში ერისთავობა შეიქნა მემკვიდრეობითი და ისე დაუწყეს ცქერა თავის თავს ერისთავებმა ცროგორც პატარა მეფეებს და თავის საე- რისთავოს — როგორც პატარა სამეფოს. ამან გაალალა, გააზვიადა ერისთავები, დაავიწყა საზოგადო, საერთო, საქვეყნო ინტერესი, და თავის პირად ინტერესებზე და- აფიქრა: დაბადა განხეთქილება მეფეებს და ერისთავებს შეა ბოლოს განხეთქილება იქამდის მივიდა, რომ პატ- რატ III-დან მოყოლებული სულ ბრძოლაა მეფეებს, ერისთავებს და დიდებულებს შეა. ერისთავები იქამ-

დის დამდაბლდენ, რომ ლალატობენ თავის მეფე-  
ებს, ქვეყანას, და მტერიც კი შემოყავსთ სამშობლოში.  
ამას უნდა ბოლო მოღებოდა და ეს ხანა დადგა ბაგრა-  
ტის დროს და შესრულდა თამარის დროს. რასაკვირვე-  
ლია, დაჩაგვრას, დამარცხებას ვერ ითმენდენ დიდე-  
ბულება და დამორჩილდენ გარემოებას, მხოლოდ  
დროებით, პირველ შემთხვევამდის ეს იყო დასაბამი  
იმის, რომთამარის გამეფება, როგორც ქალის, ითაკი-  
ლეს და განდგენ, შეითქვენ. განდგომილებს მოთავეო-  
ბდა მექურჭლეთ-უხუცესი ყუთლუარსლან, რომელსაც  
ამირ-სპასალარობა უნდოდა. შეთქმულობა მოხდა  
ავლაბარში. იქედან შემოუთვალეს თამარს, თუ ვინ რა  
მოხელედ უნდა დაენიშნა. თამარმა იხმარა გამჭრიახო-  
ბა და ლმობიერება: მან გაგზავნა მათთან მოსალაპარა-  
კებლად ქართლის ერისთავის რატი სურამელის დედა  
ხოშაქ ცოქელი და სამძივარების დედა კარავ ჯაყელი.  
ამ საპატიო პირების მოლაპარაკებამ ნაყოფი მოიტანა:  
ყველა დამშვიდდა, ყველა დაწყნარდა. თამარმა გადა-  
აყენა მხოლოდ ისინი, ვინც სიბერისგამო მოუძლუ-  
რებული იყო: დაითხოვა ფელენჯისგან დახუთული  
ამირ-სპასალარი ყუბასარი.

ახალი მოხელენი იყვნენ:

1. ამირ-სპასალარი — სარგის მხარგრძელი.\*).
2. მანდატურთ-უხუცესი (ხელ-არგნოსანი, პო-  
ლიციის უფროსი) ჭიაბერი.

\*) ამის ძმამ ივანემ (პირველი) მიიღო ათაბაგობა.

3. მსახურთ-უხუცესი (კიხეების და სალაშქრო  
იარაღების გამგე) ვარდან დადიანი.

4. მეჭურჭლეთ-უხუცესი (სამეფო ხაზინის და  
ქონების) — კახაბერ ვარდანიძე.

5. ჩუნჩერახი (მზარეულთ - უხუცესი; სუფ-  
რაჯი) — მარუშიძე.

6. ამილახორი (მეჯინიბეთ - უხუცესი) — თო-  
რელი გამრეკელი.

7. შწიგნობართ - უხუცესი და პირველი ვეზი-  
რი — ანტონ ჭულანდიდელი.

ერისთავებად დაინიშნენ:

1. სვანეთში — ბარამ ვარდანიძე.

2. რაჭაში — კახაბერ კახაბერიძე.

3. აფხაზეთში — დოლათოს შარვაშიძე.

4. ოდიშში — ბედიანი.

5. ცხომში (სოხუმში) — ამუნელიძე.

6. ქართლში — რატი სურამელი.

7. კახეთში — ბაკურ ძაგანიძე.

8. ჰერეთში (ქიზიყი) — ასათ გრიგორისძე.

9. სამცხეში — ბოკო ჯაყელი.

10. კლარჯეთში — გუზან აბულასანიძე.

ამის შემდეგ თამარმა მოინდომა წესების შეტანა  
სასულიერო წოდებაშიაც. მან მოახდინა კრება: ამი-  
სთვის დაიბარა იერუსალიმიდან კათალიკოსად ნამ-  
ყოფი ნიკოლოზ გულაბრიძე, რომელსაც იცნობდა  
ქვეყანა, როგორც წმინდა კაცს და მეტად განსწავ-  
ლულს და რომელსაც, სიმდაბლის გამო, მიეტევებინა

კათალიკოსობა. ეს კრება გამოიწვია მიქაელ კათალიკოსის ბევრმა არა-სასურველმა საქციელმა. ამიტომაც მიქაელი არც კი გამოცხადებულია კრებაზე. კრებაზედ იყვნენ მღვდელ-მთავრები. მათ ხელმძღვანელობდენ ნიკოლოზ გულაბრიძე და ანტონ ქუთათელი. როდესაც უველა შეიკრიბა, მობრძანდა თამარი, წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, აუხსნა მას მისი მოვალეობა და წაბრძანდა. ამის შემდეგ კრება გაიხსნა. ამ კრებამ გადააყენა ულირის და ღირსეული დანიშნა. სხვათა შორის გადაყენებულ იქმნა მიქაელ კათალიკოსიც.

რადგან თამარი ჯერ კიდე უქმრო იყო და ტახტი უმემკვიდროდ რჩებოდა, დიდებულებმა \*) ურჩიეს დაქორწინებულ იყო. დიდ თათბირის შემდეგ გაგზავნეს ტფილისიდან ვაჭარი ზანქან ჰორობაბელ ყივჩაყეთში ქ. სვინჯ ში, საიდანაც ჩამოიყვანეს თამარის საქმროდ რუსეთის დიდ-მთავრის ანდრიას შვილი გიორგი. მართალია, გარეგანის შეხედულობით გიორგი დიდებულებს ერთობ მოეწონათ, მაგრამ თამარი მაინც წინააღმდეგი იყო, რადგან არ იცოდა მისი არც ქცევა, არც ზნე, არც სამხედრო საქმე და მისი სიქველე. მაგრამ, რადგან დიდებულებმა არ დაუჯერეს და რუსუდანიც მათ მიემხრო, დათანხმდა და დაქორწინდა ნაჭარმაგევს (კარალეთს).  
1187 წ.

\*) სხვათა შორის იყო თბილისის ემირი აბულასანი.

დაქორწინების შემდეგ პირველი თმი ჰქონდა გიორგის ყარსისკენ და კარნიფოლისკენ. ამავე დროს შემოესიერ შავშეთს და კლარჯეთს კარნუ-ქალაქელი, შამელი და გარმიანელი თურქები, მაგრამ ბოცო ჯაყელმა და გუზანშა დაამარცხეს ისინი და საზღვრიდან გარეკეს. სარგისის შვილებმა მხარგრძელმა ზაქარიამ და ივანემ აიღეს დვინი. გამრეცელმა კახამ აიღო გელაქუნი და მასისი, (არარათი), საიდანაც აწვებოდენ თურქები ჩვენ საზღვარებს. ამას მოჰყვა განჯის და რანის (ყარაბაღის) დამორჩილება და დახარკვა \*). ამ ძლევა მოსილმა ომებმა ისეთი გავლენა იქონიეს მტრებზე, რომ მის შემდეგ მაჰმადინობამ ხელი აიღეს, ჩვენს საზღვრებში შემოსულ იყვნენ სარბევად და საწანწალოდ. — მალე გიორგი რუსმა დაიწყო საზიზლარი ქცევა და თამარი იძულებული იყო განქორწინებოდა მას. განქორწინების შემდეგ გიორგი გაგზავნეს კონსტანტინეპოლიში 1192 წ.

ეხლა კიდე მეტი შოტრფიალე გაუჩნდა თამარს, ცოლად გაჰყოლოდა: ესენი იყვნენ საბერძნეთის იმპერატორის მანუელის შვილი პოლიკარპოს, მესოპოტამი ისსულთნის, ასურასტანის სულთნის, ადრიბეჟანის სულთნის (ყიზილ-არსლანის-ძე) შვილები და აზრუმის (კარინის) სულთნის (ნასარდინის-ძე) ძე მუ-

\*) რადგან თურქებმა შეშალეს საზღვარი და წინ წამოიწიეს.

ტაფარდინ, ანტიოქიის მეფისძე, შარვანშა აღსარათან  
(შირვანის მეფე) და ოსეთის მთავრის ორი შვილი, რო-  
მელთაგან ერთი ჭკუას შეცდა და, ნიქოზს მოსული,  
მოკვდა და იქ დაასაფლავეს. მუტაფრადინ და შარ-  
ვანშა მოვიდენ იმ აზრით, რომ გაქრისტიანებულ  
იყვნენ, თუკი თამარის ქრმობას ელირსებოდენ. მაგრამ  
თამარმა მუტაფრადინს მიათხოვა ერთი თავისი ნათე-  
სავთაგანი და დიდის პატივით გაისტუმრა. აგ-  
რევე გაწმილებული გაისტუმრეს შარვანშაც დიდის  
საჩუქრებით.

ამის შემდეგ თამარმა დაიწერა ჯვარი ოსეთის  
მთავარზე დავით სოსლანზე, რომელიც გვარად ბაგ-  
რატოვანი იყო\*) და თამართან თან შეზრდილი:  
თვალად, ტანად, ზნეობით და გონებით იყო დავითი  
საქები და მამაცობაში — გადაშეტებული. თამარი  
დათანახმდა და გადიხადეს დიდებული ქორწილი  
დიდუბის სახახლეში 1193.

დავითის ჩამოთესლვა საქართველოში ბევრ დი-  
დებულს არ ესიამოვნა, ითაკილეს. ბოლოს შეი-  
თქვენ და ანდგენ კიდეც. დაიბარეს გიორგი რუსი  
და მიემხრე. მას ვარდან დადგანი, ბოკო ჯა-  
ული, გუზანი, ბედიანი, დოლათო შარვაშიძე და  
ბარამ ვარდანიძე. მეამბოხეებმა საბერძნეთის ჯარით  
კლარჯეთში შემოიყვანეს რუსი. აქ მიეგებენ მას  
სამცხის და კლარჯეთის ერისთავები, გადაიყვანეს იმე-

\*) დიმიტრი გიორგისძის შვილი იყო.

რეთში და გეგუთში კანონიერ მეფედ გამოცხადეს (1194 წ.). აქედან შეთქმულები გაიყვენ სამ გუნდად. ერთი გუნდი გიორგის სარდლობით გაღმოვიდა ლიხის მთაზე და იწყო ქართლის ჩატევა. მეორე დადგა გორს და კარალეთს შუა აგარანს (ბოკოს და დადიანის სარდლობით), მესამე გუნდი გადავიდა ოძრხეს რკინის - ჯვარით და სულ ერთიანად მოსწვა და მიწასთან გაასწორა ყვარყვარე ციხის - ჯვარელის სამკვიდრო თამარის ერთგულობისთვის. ამათი მიზანი იყო, ჯერ ზემო - ქართლი აელოთ და მერე იერიშით მისულიყვნენ ტფილისზე. მაგრამ გარემოებამ უმუხთლა მოლალატეებს: თამარის ბრძანებით გადვიდენ ზემო-ქართლში ამირ-სპასალარი გამრეკელი და მხარგრძელები. პირველად დაამარცხეს ჯავახეთში მტკვრის პირად ხიდთან. მოლალატეებმა გაიარეს ხიდი და გაეშურნენ. მიჰყვნენ უკან კვალ და კვალ და მეორედ - ჭობარეთის - წყლის პირას დაამარცხეს. მოლალატეებმა თავს უშველეს, აქედან წავიდენ. მისწვდენ ქართველები და მესამედაც მეხი დასცეს ნიალის ველზე (მდინარე ხინგრის პირად თმოგვს და ერუშეთს შუა) და გაფანტეს. გამარჯვებული ჯარი ეხლა შემოტრიალდა და აგარანს მოადგა. აქ იდგა გიორგი რუსი თავის ჯარით. გიორგის პირისპირ ქართველებს წინამძღვლობდა დავით სოსლანი. მოახლოვდა თუარა დავითი, რუსი შეშინდა და იმერეთში გადვიდა. მაშინ კი მიხვდენ მოლალატეები თავის უშვერ ქცევას, დაიკიდეს ხმალი კისერზე, ხე-

ლები შეიკრეს, გამოცხადენ თამართან და ითხოვეს შენდობა. თამარმა ყველას აპატივა, მაგრამ გიორგი კი ისევ კონსტანტინეპოლში გაგზავნეს.

ამის შემდეგ იყო ომები ბარდაზე და აზრუმზე. აზრუმის მხრის ერისთავმა გუზანშა არ მოისვენა: თავის საერისთავოს ციხეები შაჰ-არმენს \*) გაღასცა და მასვე მიემხრო. თამარმა მაშინვე გაგზავნა ჯარით (სარგის თმოგველი და კახა სამძივარი). ქართველებმა, სანამ ციხეში შევიდოდა მტერი, დაამარცხეს თურქები და შაჰ-არმენი; თვითონ ვუზანი კი ტყვედ წამოიყვანეს. სულგრძელმა მეფემ კიდე აპატივა, მაგრამ მოღალატემ მაინც არ მოისვენა. მაშინ დავითმა მეორედ შეიპყრა გუზანი და სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ გაიღაშქრეს ქართველებმა გელაშვინზე \*\*) და ანბერლზე — რაღან ამ მხრიდან ერთობ ეტანებოდენ თურქები ჩვენს მხარეს — და ძლევა მოსილი დაბრუნდენ. ამავე წელს შემოვიდა ისევ რუსი. მოვიდა ადრიბეგანის ათაბაგთან და სთხოვა მას შემწეობა. ათაბაგმა ამირბუბაქარმა სიამოვნებით მთილო გიორგი და საცხოვრებლად დაუნიშნა რანი, რომელიც მაშინ ჩვენ ხელში იყო. აქედან გიორგი შემოესია ათაბაგის ჯარით კახეთს (ქიზიყს). შეიღუთ, თუ არა, ხორნაბუჯის (ჭოეთის) ციხის უფროსში მახატელიძემ, გამოუდგა

\*) სპარსეთის მპყრობელს, ორტოკის ემირს.

\*\*) (1196 წ.)

ჯარით, ეკვეთა და საოცრად დაამარცხა გიორგი.  
დაამარცხებულმა ძლიერ თავს უშველია: შერტვენილი  
რუსი გაიჭია და მის შემდეგ მისი ბედი აღარ ვიცით.

შანქარას თამა. 1203 წ. ივნისი.

გიორგის დაამარცხება ადრიბეჟანის ათაბაგსაც  
(ამირ-ბუბაქარსაც) არ უქადდა კარგ მომავალს.  
ამიტომაც მან მიმართა ხალიფას (ნასერლი-დინს)  
(1190—1236 წ.) საჩივრით: ამოიფხვრა მაჰმადიანობა  
ამ მხარეში ქართველების მიზეზითო. ხალიფამ ბრძანა,  
შეკრებილ იყვნენ ყველა მისი ქვეშევრდომი სულტ-  
ნები და ემირები და თავის ჯარით შემოსეოდენ სა-  
ქართველოს, რომ სრულიად მოეღოთ მისი ბოლო.  
აუარებელ ჯარს წინ მოუძღვოდა ხალიფას უძლეველი  
დროშა. ორივე მოპირდაპირე შეიყარენ შანქორთან  
1203 წ. ქართველების ჯარს სარდლობდა დავითი.  
ჩეენს ჯარში იყვნენ შარვანშა აღსართან (შირვანის  
მეფე) და ამირ-მირანი (ადრიბეჟანის ათაბაგის ამირ-  
ბუბაქარის შვილი), რომელიც მამისგან გამოძევებუ-  
ლი იყო და შარვანშასთან სკარვრებდა. თამარმა  
წასვლისას ჯარს უთხრა სეფე სიტყვა დალოცა და  
გაისტუმრა.\* ) წინ ქართველ ჯარს ჯვარით მიუძ-  
ღვოდა ჭყონდიდელი. ომი იყო საოცარი. წარმო-

\* ) რესის მთავარი იოანე გროზი ყაზანის აღების დროს  
ეუბნება თავის ჯარს: „მისედეთ ბრძენს და მამაკაცის მსგავს  
იბერიის მეფეს თამარს, როგორ ამარცხებს მცენს!“.

უდგენელი ოცხვი მტრის მოაწვა ქართველობას. რავითის ვეფხვებრი სიკისკასე და ლომის ქუხილი, შეერთებული ერთად მის მკლავის ძალასთან, საკმაო საბუთი იყო, რომ გაიმარჯვებდენ. ზაჰკივლეს ქართველებმა და მიენდვენ უშიშრად თავის ფარ-ხმალს. მტრი შეკრთა და პირი იბრუნა. მიჰყვენ ქართველები კვალ-და-კვალ, გაჰფანტეს და გამარჯვებულები მტრის ბანაკზე დაბრუნდენ. აუარებელი ნაალაფევი დარჩათ ქართველებს. მეორე, დღეს შანქორელებმა მოართვეს დავითს ციხის კლიტე და ითხოვეს პატივება. დავითი შევიდა შანქორში და, დაპირებისამებრ, შანქორი და მიხი მიმდგომი ციხე-ქალქები ადრიბეჭანის სულტანის შვილს ამირ-მირანს გადასცა ერთგულობისათვის. ხალიფას დროშა, რომელიც წაართვა მაჰმადიანებს შალვა ახალციხელმა, თამარმა შესწირა გელათის „ხახულის ლვის-მშობელს“.

შანქორის ომის შემდეგ, იმავე წელს, თამარს დამორჩილდა დვინი. ამ ომში დავითს ხელს უწყობდენ ჭიაბერი, და მხარგრძელები \*) დვინის დამორჩილებას მოჰყვა ყარსისკენ გალაშქრება: სანამ ზემო აღნიშნულ ომებში იყვნენ გართული ქართველები, შემოვიდენ თურქები და დაიჭირეს ყარსი და მისი ციხე. ქართველები გაეშურენ მათ წინააღმდეგ, შაგრამ, შეიტყვეს თუ არა ქართველების მიახლოვება, თავი ან ებეს ყარსს (1203 წ.). ამ საშიშს ალაგს

\*) ვარამის-ძე ზაქარია და სარგისის-ძე ზაქარია და ივანე-

ყარსის მცუველად დაადგინა თამარშა ივანე ახალცი-  
ხელი და თან მისუა ათაბაგობაც.

ბოლო ტიკეს ომი 1203 წ.

მხოლოდ იკონის და მცირე აზიოს (ალექს) სულტანი ნუქარდინი (როკნ-ელ-დინი) \*) ვერ ინე-  
ლებდა საქართველოს ასეთს გაძლიერებას და მაჰმა-  
დიანების ძლიერების დასუსტებას. იმას დღე და ღამე  
მოსვენებას არ აძლევდა შანქორის დამარცხება. უფ-  
რო გამრაზდა ნუქარდინი, როცა შეიტყო, რომ თა-  
მარმა მაჰმადიანებს ხარკი დაადვა და ხალითა ამაზე  
მას დაეთანხმა. შემოიკრიბა ნუქარდინმა, როგორც  
შატრიანე ამბობს, 800 ათასი მეომარი, თან. უკადრისი-  
წერილიც მოსწერა თამარს და გამოიწვია ბრძოლის  
ველზედ. ამ წერილის მომტანმა იმდენად თავხედური  
ჭრევა ჩაიდინა მეფის და დიდებულების წინ, რომ  
ამირ სპასალარშა ზაქარია მხარგრძელმა ისეთი საში-  
ნელი სილა გაჰკრა, რომ ის უსულოდ დავარდა ძირს.  
მოსულიერებული უკან გაგზავნეს ამბის მისატანად,  
რომ თამარი შზად არის საომრადო. თამარის ჯარი შე-  
მოკრბა ვარძიასთან. მეფემ დალოცა ჯარი, გაგზავნა  
დავითის წინამძღვლობით ყარსისკენ და თვითონ და-  
დგა ოძრხეს. შევიდენ ქართველები ბასიანში და დად-  
გნ მტრის ბანაკის პირდაპირ ბოლოსტიკეს. მოწინა-

\*) ნუქარდინი ფლობდა „საბერძნეთსა, ასიასა კაბადუ-  
კიანა“.

ვედ იყვნენ მესხები და მათი წინამძღოლი ამირ-სპასა-  
ლიარი ზაქარია მხარგრძელი. ზაქარიას მკლავს უმა-  
გრებდენ შალვა და ივანე თორელი ახალციხელები-  
მარჯვენას შეადგენდენ იმერები და მარცხენას — ამე-  
რები. ასტყდა ომი, რომელიც მოაგონებდა ალა-  
მიანს დევ-გმირების ზღაპრულ ომს. ჩალაც განგების  
ძალით ქართველებმა გაიმარჯვეს ზღვასავით მოსულ  
მტერზე; მიჰყვენ ბასიანიდან, გადვიდენ შავ - ზღვის  
პირად, დაიპყრეს ვანეთი, ცრაპიზონი, სამსონი, სი-  
ნოპი, კერასუნი, კიტორა (კოტიორა), აჭასია და  
ერაკლია 1204 წ., ამ წელსვე დაარსა თამარმა ცრა-  
პიზონის იმპერია და იმპერატორად დასვა თავის ნა-  
თესავი ვიზანტიის იმპერატორის ანდრონიკეს. შვილი  
ალექსი. გავიდა დრო. შემოიჭრენ უეცრად თურქები  
ყარსში და ხელში ჩაიგდეს. გადაიჭრა დავითი ქარ-  
თველებით, ეკვეთა მტერს, დაამარტხა და განდევნა  
ყარსიდან. ეს მოხდა 1208.

1209 დავითი გადაიცვალა. დიდ გლოვის შემ-  
დეგ, ისევ შეუდგენ საქვეყნო მართვის საქმეს. იმავე  
წელს \*) არდებილის სულტანი ალჟირმა ლამეს  
დაეცა ქ. ანს და ერთიანად გაარხმა: ამოსწუვიტა  
1-2 ათასი კაცი და ალათით დატვირთული უკან დაბ-

\*) თამარის დროს იყო განზრანვა შეერთებინათ ჩვენი და  
ურიგორიანების ეკლესია, მაგრამ ალარ მოხდა: იოანე მხარ-  
გრძელი კი მოინათლა, მაგრამ მისი ქმა ზაქარია — არა. კათა-  
ლიკოსი იყო მაშინ ივანე.

რუნდა. სამაგიეროდ თამარმა აირჩია მათი რამაზანის დილი დღესასწაული და ჩუმად გაგზავნა ჯარი შესხე-თიღან, თორიღან და კახეთიღან ჯარს წინამძღოლო-ბდა ზაქარია ამირა-სპასალარი, მხარგრძელი. ქართვე-ლებმა ის დღე ტააყენეს არდებილს, რაც მაჰმადია-ნებმა — ანს: მოსწვეს, მოაოხრეს, 12 ათასი კაცი მაგიერი მოუკლეს, თვითონ სულტანი და მისი სახ-ლობა ტყვედ მოართვეს თამარს, რომელიც ამდროს (1210 წ.) კოლაში ბრძანდებოდა.

რაღვან მაჰმადიანობა არ ისვენებდა, საჭირო იყო ყურადღება მიქცეოდა იმ კუთხეს, რომელიც იყო დაუწყნარებელ ომის ბუღედ. ეს იყო ხორა-სანი. საზოგადოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი მუდამ გა-ნუწყვეტელ ომში იყო. ამიტომ თამარმა შეკრიბა ჯარი, წარუძღვანა ზაქარია და ივანე მხარგრძელი-შვილები და მათი ბიძაშვილი ვარამ გაგელი. (ეს იყო 1211 წ.). ჯარმა გაიარა ნახჭევანი, გავიდა არეზს, აიღო ქ. მარანდა, თავრიზი, მანა, ზანგანი. ყველა ამ ქალაქებმა მორჩილება განაცხადა, მხოლოდ ეურჩა ზანგანი. ბოლოს, როგორც იყო, ისიც იძუ-ლებული შეიქნა დამორჩილებოდა თამარის დრო შას-აქედან მიადგენ ყაზვინს. ყაზვინის დამორჩილების შემდეგ ქართველობა შევიდა ხორასანს და აიღო ქ.ქ. რომეგვარი და გურგანი და აქედან გამობრუნდენ უკან. ყველა ქალაქებში, რომელიც კი აიღეს, ყველგან ციხის მცველები თავისი შეაყენეს. დაბრუნებულზე მანაში შეიტყო, რომ ციხე - ქალაქის მცველები და-

ლატით დაუხოციათ. გაბრაზებულმა ზაქარიამ მოს-  
წვა, მოაოხრა მანა და მისი მელიქი შვილებიანად  
ტყავ-გამძვრალები ძელებზე ჩამოაკიდებინა. გამარ-  
ჯვებული დაბრუნდენ საქართველოში ქართველები.  
თამარის ხმალი გადასწვდა მთასაც და მთელი ჩრდი-  
ლოეთი კავკასია მის ბრძანების ქვეშ შეიქნა. ამას  
ამტკიცებს დიდ ძალი ეკლესიები, რომელთაც ფეხი  
შეუდგამთ მთაში. ამგვარად ჩვენი საზღვარი იყო:  
ჩრდილოეთით სკვითების ქვეყანა, სამხრეთით — არეზი,  
დასავლეთით ჭანეთის ბოლო და შავი — ზღვა, აღმო-  
სავლეთით — კასპიის ზღვა. თამარი გადიცვალა 18 იან-  
ვარს 1213 წ. და დასაფლავებულა გელათს

არც ერთი მეტე არ ახსოვს ქართველობას ისე,  
როგორც თამარი. ყოველ კუთხეში თუ რამ ძველია,  
ერი მას აწერს. ის მიაჩნია ქართველებს წმინდად და  
არა თუ ქრისტიან ქართველებს, — მაჰმადიანებსაც და  
ლოცვებიც კი აქვსთ მის სახელზე გამოთქმული. ეს  
სიყვარული, უკეცელია გამოიწვია ერში მისმა ლმო-  
ბიერებამ, სინაზემ, მომხიბლავ სილამაზემ, კაცთ მო-  
ყვარეობამ, დაჩაგრულების და ლარიბებისადმი გულ-  
მტკიცნელობამ, გონიერებამ და სიბრძნემ. მან მოსპო  
სიკვდილით დასჯა, განათავისუფლა საძლვდელოება  
ყოველ ხარჯისგან. დიდი შემწე იყო თამარი აგრეთვე  
მონასტრების წმინდა ადგილებში: იერუსალიმში,  
ათონზე, სინაზე, შავ-მთაზე, ანტიოქიაში, ალექსანდ-

რიაში, მაკედონიაში, ფრაკიაში, კონსტანტინეპოლში, კიპრზე\*) თვითონ უკერავდა გლახებს და მღვდლებს შესამოსელს. უყვარდა ეკლესია, რომლის რაცხვი ერთობ გამრავლდა მის დროს. მის დროს არის აშენებული ბეთანია, კაბენი, ვარძია (მისმა მამიდამ რუსულანმა ააშენა გულარები).

ხობში არის მისი გულსაკიდი ჯვარი წარწერით. ლაილაშში არის ხატი მისი წარწერით; მის დროს წარწერა არის აგრეთვე ანჩისხატზეკ გეგუთზე.—მან გააყვანინა რამდენიმე დიდი რუ: ერთი არაფვიდან ყარაისამდინ და მეორე—ალაზნიდან შემახიამდი, რომელსაც ჰქვია „თამარ-არხ“. თამარს მხოლოდ იმას უწუნებენ, რომ მაინც კიდე ვერ შექმნა ისეთი მაგარი და შეუვალი მან ქანა, რომ მის სიკვდილის შემდეგ ისე უცებ არ არეულიყო ყველაფერი და არ დანგრეულიყო სახელმწიფო მექანიზმი— აგრეთვე წუნად სდებენ მას იმას, რომ თავისი შვილები შესაფერად ვერ აღზარდა. ამის შაგიერ მის დროს მატერიალურმა და გონებით განვითარებამ მეტად წინ წასწია ქართველობა: მის დროს მიეკუნიქს გზა ფართო და არა-ვერარის შვილობას. მის დროს ვხედავთ ქართველები უფრო ხარბად ეწაფებიან არაბულ, ბერძნულ და სპარსეთის მწერლობას.

\*) ერთხელ საბერძნეთის იმპერატორი ალექსი ანგარი დატება ბერებს, წმინდა აღვილებში რომ თამარის შეწირულება შექონდათ და წარათვა. მის მაგიერ თამარმა მეტი შესაწირავი ჭაუზავნა იმავე აღვილებში ბერებს.

შის დროს არიან მოსე ხონელი — (ამირან დარეჯანი — ანის ავტორი), სარგის თმოგველი — (ვისრამიანის მთარგმნელი), შოთა — (ვეფხვდესტყაოსნის ავტორი). ჩახრუხაძე — (თამარის ქების დამწერი); მის დროს პირველიდ ითარგმნა ქილილა და მანა \*).

### გორგი დაშა (1213—1223)

გიორგი დაიბადა 1194 წელს. მატიანის გადმოცემით, ის იყო ისეთივე შვენიერი, როგორც დედა მისი; ყველას აკვირვებდა მისი სიკისკასე, სიმკვირცხლე და მშვილდისრობა და ჯირითის ხმარება. 18 წლის იყო, ტახტზე რომ ავიდა, მაგრამ შეხედულობით სრულ აქვდა მექონს გავდა. იყო მხნე, გამბედავი და ყოვლად უშიშარი. მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მართვას იმდენად აქცევდა ყურადღებას, რამდენად ის მას ხორციელ სიამოვნებას ჰგვრიდა: უყვარდა განუწყვეტელი ლხინი და ნადირობა. ამ გარემოებამ ის, ცოტა არ იყოს, ზნეობით ერთობის დასწია. მას ემუტარებოდენ სასულიერო პირები და სახელმწიფო მოხელეები, მაგრამ ის შათ არ უსმენდა. მისშა თავ აშვებულმა ქცევამ იქამდის მიიყვანა, რომ ერთხელ ლხინში თვალი წააგდებინეს.

\* ) თამრის დროს ჩამოდის მის ნებართვით ლიპარიტ V, შვილი ივანესი, ელიქუმი კი ჭჩება განშის უმირთან. პირველისგან მომდინარეობენ ქაზაველი ლრდელიანები და შორეულებან — სომხის ორბელიანები.

მის დროს განდგა განძა, ალარ მოსუა ხარკი (1214 წ.) შემოიკრიბა ჯარი გიორგიმ, მიადგა განძას და გარშემო ალყა შემოარტყა. რადგან დიდს და მაგარ ციხეს წარმოადგენდა ქალაქი, გიორგის უნდოდა შიმშილით დაეძლია. განძელებმაც კარები ჩაიკეტეს, მაგრამ არავამოვიდარა აქედან მათთვის საკეთილო. მოვიდა, მეფე მცირე რაზმით კედლების დასათვალიერებლად და მტრის დასაზვერავად. იცნეს მეფე განძელებმა, გამოვიდენ უცებ ციხიდან და შეებრძოლენ. არ შეშინდა გიორგი, შევარდენივით შეიჭრა მტრის რაზმში და, როგორც ლომი, ისე იბრძოდა. დამარცხდენ განძელები, დაჰყარეს იარაღი; ითხოვეს ზავი და მოსუეს ძველებურად ხარკი.

გიორგის მეფობაში გამოჩნდენ აზიაში მონგოლები. მონგოლების ერთ ტომთაგანის მოთავედი იყო ვინლაც თემუჩი. ეს იყო 1202 წელს. ამ თემუჩმა დამარცხა მონგოლებისვე მეორე ტომის მთავარი უნ-ხანი. დამარცხების შემდეგ მონგოლების მომეტებულმა ნაწილმა აირჩიეს ეს თემუჩი ხაყანად ანუ მეფედ. რაკი ხაყანობა მიიღო, მაშინვე გამოიცვალა სახელი და დაირქვა ჩინგიზ-ყაენი. ჩინგიზმა 1206 წელს ისეთი სამხედრო წესი და კანონი შემოილო, რომ ყველა მამაკაცი მეომრად გადააქცია. ამ კანონის ძალით, არმია განიყოფებოდა თუმანებად (10 ათასი), თუმანი—ათასად, ათასი—ასად. ერთი თუმანი შეადგენდა ურდოს, რომელსაც მოთავეობდა რომელიმე მისი შეიღილი. დისციპლინა იყო მეტად საჭ-

ტიკი. თუ ომში ან ბრძოლაში არ იყო ჯარი, მუდამ ჩალიშობდენ (მანევრობაში იყვნენ) და ამიტომაც ჯარი ერთობ იწვრთნებოდა. ამგვარად, ჩინგიზს საჭიროებისთვის მზად ჰყავდა 600 ათასი ჯარის კარგად გამოწროთვნილი კაცი.

მონგოლების ზნე და ჩვეულება: მონგოლებმა პურის გემო არ იციან: იკვებებიან ხორცით; ტანით არის მონგოლი სრული, შეხედულობით — ახოვანი და ძლიერი, ფერით — შვენიერი და ხორცით — სპეტაკი; თვალი აქვს პატარა, თავი — დიდი, თმა — შავი და ხშირი, შუბლი — ბრტყელი, ცხვირი — ღაბალი და პატარა ნესტოებიანი; ამასთანავე მოისარი — რჩეული. უფრო მხნე არიან ცხენზე, რაღგან თითქმის სულ ცხენზე ატარებენ თავის სიცოცხლეს; მონგოლი არის გონიერი, ზრდები; ცოტას მოლაპარაკე და ტყვილის უვიცი. სწამს ერთი ღმერთი.

ამ ურდომ 1215 წ. დაიპყრა ჩინეთი; 1218 წ. ბუხარა, ხორასანი, ერაყი (ბართია); ამის შემდეგ მის ჯარის ერთმა ნაწილმა ხელში ჩაიგდო ასტრახანი, ყაზანი, ყირიმი, რუსეთი, რიაზანი; დაწვეს მოსკოვი და მთელ ქვეყანას ხარჯი დაადვეს. აქედან შევიდენ ვენგრიაში და სილეზიაში. დაბრუნებული დაბინავადენ ვოლგაზე, სადაც მათ ქონდათ უმთავრესი ბანაკი (ხარაია). მეორე ნაწილმა დაარბია და დაიპყრა ინდოეთი. მესამემ დარმორჩილა ერანი, თურანი და ადრიბეგანი ჩვენში შემოვიდენ (სუბა და ბადურის სარდლობით) განჯის მხრით ორ დასად 1120 წ.

ერთი დასი წამოვიდა წინ და მეორე მახლობლად ჩასაფრდა, დაიმალა, მაშველიად გახდა. მონგოლებს მიემხრო განძა. ამის მიუხედავად გიორგიმ შემოიკრიბა ჯარი (80 ათასი) და შეებრძოლა მტერს. მტერი იდგა ბერდუჯის წყლის კიდეზე გაგის ციხის პირდაპირ. ამ შეტაკებაში მტერი დამარცხდა, პირი იბრუნა და გაიქცა. მიჰყვა მეფე ქართველებით კვალდა-კვალ. ამდროს უკნიდან წამოუარა მეორე გუნდმა და ომი ისევ განახლდა. აქ კი ქართველები მომწყვდეული შეიქნენ მონგოლებს შეუა, და დიდის გაჭირვებით გამოჭრეს რაზმი და კაფვით გამოვიდენ, დამარცხებული დარჩენ ქართველები. მონგოლებმა ზამთარი ბარდას ახლოს გაატარეს. გაზაფხულზე \*) ისევ შემოვიდენ განჯით დაამარცხეს ქართველები, მოვიდენ სამშვილდემდის და აქედან გაბრუნდენ უკან კასპიის ზღვის პირ-პირ დარუბანდით ჩინგიზ-ყაინთან ყარაყორუმში. — ეს მონგოლები იყვნენ გამოზავნილი ქვეყნების დასაზვერიავად და ამიტომ სამშვილდეს აქეთ აღარ წამოსულან.

ცოტახანს შეისვენა ქვეყანამ. ამ ხანში ხელი სთხოვა რუსულდანს მკირე — აშიის სულთანმა შარვან შამ. მეფე გაემგზავრა ზემო-ქართლისკენ ამ საქმის გასარიგებლად, მაგრამ, მივიდა თუ არა ბაგავანს \*\*), გახდა აფად და გადაიცვალა 18 იანვარს, სიკვდილის

\*) 1221 წ.

\*\*) არანის მახლობლად.

ქამს ანდერძად დაუდვა დას, რომ, როცა მისი შეილი  
დავითი წამოიზრდებოდა, ტახტი მისთვის ჩაებარე-  
ბინა მემკვიდრეობის წესის ძალით. \*)

### რუსულნ 1128—1247.

რადგან დავით გროვერს-ჟე მცირე წლოვანი  
იყო, ძმის სურვილის და ანდერძის ძალით, ტახტზე  
ავიდა გიორგის და რუსულანი.— როგორც სრულ-  
წლოვანი იქნებოდა დავითი, ანდერძის ძალით, დას  
შაშინვე უნდა დაეთმო ტახტი ძმისწულისთვის, შაგ-  
რამ გავიღა დრო და რუსულანმა დაწვიწყა ძმის ან-  
დერძიც და აღთქმაც. მან შეირთო აზრუმის გაქრა-  
სტიანებული სელჯუკთაგანი მოგით-ედ-დინი, რომე-  
ლიც იყო რუსულანთან მძევლად. სულტანი იყო თვა-  
ლად და ტანად მეტად შვენიერი და ახოვანი, მხნე და  
შეეროვანი. მისგან შეეძინა რუსულანს დავრთი და  
თამარი. აი ამდროდან რუსულანი ფიქრობს ძმის-  
წულის დალატს: იწყებს ქვემხედველობას, რამ ნაით  
რად დალუპოს ძმის წული და ტახტი რავის შეჩლა.  
ლაქმკვიდროს. ამ განზრახვას უფრო ურთა შეესხა,  
როცა წამოიზარდა მისი ასული თამარი და მიათხოვა

\*) გიორგის დროს მოღვაწეობენ ამირ-სპასალარი ათა-  
ბაგი იოანე მხარეგრძელი, ვარამ გაგელი (მს. უწუ. ქ.), სარგის  
თმოგველი, იოანე და შალვა, ბიბლა და ბეჭა ყვარცვარე ჯა-  
ჭულის შეღლების ბოცო გურაჭულელი და მისი შეილი შემნა.

იკონის სულტანს ყიასდინს (გაიათ-ედ-დინს), რომელსაც თან წარუგზავნა დავით გიორგის-ძე.

ამ მდგომარეობაშია ქვეყნის საქმე, როცა მონაგოლების წამოიწიენ ჩვენები. ეს მოხდა ასე. მონგოლებისგან დამარცხებულ ხვარაზ-მელების სულტანი ჯალალ-ედ-დინი 140. ათასი კაციზ გამორბის, თავს უშველოს, და შემოვიდა ჩვენს საზღვრებში.

(ამდროს მოქმედებენ: ითანე ამირ სპასალარი ათაბაგი. მის შემდეგ — მისი შვილი ავაგ გაგელი, ამირ-სპასალარი ზაქარია III (შანშე I-ძე), თორელი გამრეკელი, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი, ელი-ქუმ II ორპელიანი (ლიაპარიტ V შვილი), ალბულა (ვარამ გაგელის შვილი), ცოტნე დადიანი, გრიგოლ სურამელი და მისი ძე ბექა, სარგის თმოგველი, ნიკოლოზ კათალიკოსი).

მიეგება ქართველთ ჯარი ივანე ათაბაგის. მოთავეობით. ჯალალმა, სანამ ჩვენ ჯარს შეეტაკებოდა, აილო დვინი, ანი, გაგი, განმა 1225 და დაბანაკდა გარნისთან (ურ. გლბ.). აქ გაიმართა საშინელი სისხლის ლვრა. წინა რაზმში იბრძოდენ თავდაღებული ქვეყნისთვის ივანე და შალვა. თორელი ახალციხელები. როდესაც მეტად გაუჭირდა საქმე ორივეს, მოსთხოვეს ამირ-სპასალარს მაშველი ჯარი, მაგრამ მან არ მიაშველა ჯარი განზრახ. დამარცხდენ ძმები თორელები და მთელი რაზმი. ამირ-სპასალარი მაინც არ გზავნის მაშველ ჯარს. გაშმაგებული იბრძგიან თრივე ძმა, მაგრამ ბოლოს ცხენებიც დაუ-

ხოცეს და ფარ-ხშალიც დაელეწათ ბრძოლისგან. მაშინ კი ითანე კლდეს შეეფარა, მაგრამ თვალი ატანეს მტრებმა და ზემოდან ჩაქოლეს; შალვა კი შეპყრობილი მიჰვარეს ჯალალ ედ-დინს. ჯალალმა ურჩია მაჰმალიანობის მიღება და, რადგან შალვამ ეს წინადადება უარყო, ის იწამა ჯალალისგან.\* ) ამის შემდეგ მოხდა მოლაპარაკება. ჯალალის ამირ-სპასალართან ავაგ ათაბაგთან. მოლაპარაკების შინაარსი ის იყო, რომ, თუ რუსულანი. გაჰყვებოდა მას ცოლად, მაშინ ორივე შეერთებულის ძალით შეებრძოლებოდენ მონგოლებს. რადგან ჯალალმა ვერ მიიღო რუსულანისგან დამაკმაყოფილებული პასუხი, ამიტომაც წამოიწია წინ: დაუწყო რბევა საქართველოს და მოადგა ტფილისს. ისეთი დღე, დაადგა 9 მაისს 1226 წ. ტფილისს, რომ ძნელია მისი წარმოდგენა! არც ბებერი, არც ყმაწვილი, არც დედა, არც, მამა, არც ძუძუს-მწოვარი არავინ არ დაუზოგნია ჯალალს. ამ უბედურების დროს რუსულანი ქუთაისში გაიხიზნა და ტფილისის მცველობა მიანდობოც შვილებს: მემნას და ბოცოს. ჯალალმა აიღო ტფილისი, კამბექოვანი, შილა-ქართლი, ზემო-ქართლი (თრიალეთი, კოლა, არტანი, ჯავახეთი), კარნიფოლი (აზრუმი). ეს ქვეყნის უბედურება გაგრძელდა 1229 წლამდის. რაკი ჯალალი დარწმუნდა, რომ ქართვე-

\* ) ამ დროს ივანე აღარ არის სამხედრო ასპარეზშე: შედგა მონოზნად. მის ადგილზე დაინიშნა მისი შვილი ავაგ.

ლუბი მას მხარს არ მისცემდენ, გაბრუნდა აღრი-  
ბევანისკენ და იქედან ხალიფას სთხოვა შემწეობა  
მონგოლების წინააღმდეგ, მაგრამ უიმედოდ დარჩა.  
მაშინ შეპობრუნდა ისევ ტფილისში და, რაც პირ-  
ველად დააკლო, ეხლა შესრულა (1229 წ.). ამდროს  
მონგოლები მოახდროვებული იყვნენ. შეშინუბული  
ჯალალი საბერძნეთისკენ გაეშურა. მონგოლები მი-  
ჰყვნენ კვალ-და-კვალ (გზაში სადღაც დაქანცულს  
ჯალალს დასძნაბოდა. ეს ენახა მწყემს და მოეკლო  
1231 წ.). შენგოლებმა გამოიარეს სპარსეთი, აღრი-  
ბევანი, თავრიში; აიღეს აზრუში (1234 წ.), განჭა  
(1235), ხალათი, ვალაშკერტი, ბარდა, რანი (ყარა-  
ბალი), დარუბანდი, ჰერეჟი (ქიზიყი), კახეთი, დვინი,  
რუსულანის განკარგულება იყო, თუ მონგოლები  
შემოვიდოდენ ტფილისში, მის მცველს გოჭა მხარ-  
გრძელს დაეწვა ქართვი.

### მონგოლება 1236—1243.

ამგვარად ქართლ-კახეთი დარჩა უმეფოდ.\* ) მონ-  
გოლები, კალიასავით მოელვნენ უპატრონო ქვეყა-  
ნას, სადაც მათი სრული უფლება და ზატონობა  
დამკვიდრდა 1236—1243 წლამდი. მათ გაჰყვეს მთე-  
ლი კავკასია ოთხ ნაწილად, რომელთაც მართავდა

\* ) ლაშას შვილი იკონიაშია დასთან და რუსულანი შვი-  
ლით ქუთაისშია.

ჩინგიზის ოთხი ნოინი (მთავარი, ერისთავი) ქარმალან, ჩალატარ, იოსებ, ბიჩის. ამ მდგომარეობაში იყო ქვეყანა, როცა რუსულანმა მიმართა რომის პაპს გრიგორი IX, შემწეობა მოეცა. რუსულანი თავის მხრით პირობას აძლევდა, რომ, თუ მომეშველები, მე და ჩემი ერი კათოლიკობას მივიღებთო. მაგრამ პაპს გარემოება ნებას არ აძლევდა და, შემწეობის ნაცვლად, გამოგზავნა რამდენიმე ბერი კოთოლიკობის გასავრცელებლად.

შეშინდენ მცხოვრებლები და კლდე-ლრეში, მთა და ტყეში მიიმალენ. მაგრამ, ბოლოს, რომ გაუჭირდათ, გამოვიდენ და, რუსულანის ნებართვით, მივიღენ მონგოლებთან და მორჩილება განუცხადეს. მონგოლების სარდლებშა მეტად მოიწონეს ქართველების ასეთი ქცევა და მხოლოდ ფიცი მოსთხოვეს, რომ ერთგული იქნებოდენ და არ უღალატებდენ.

რუსულანმაც უმჯობესად სცნო, ისევ მონგოლებისთვის მიემართნა, რადგან პაპისგან არავითარი პასუხი არ მოუვიდა. ამიტომაც თვითონაც განუცხადა მონგოლებს თავისი მორჩილება და მოითხოვა, რომ მისი შეილი დავითი ეცნოთ საქართველოს მეფედ. ნოინებმა მიიღეს რუსულანის თხოვნა და მოიწვიეს. მისი შეილი დავითი წარსაგზავნად \*) მანგუ-ყაენთან ყარაყორუმს, რადგან ამ ღროს ჩინგიზი გადაცვალებული იყო.

\*) საქართველოდან გზავნიდენ მეტის შვილებს მთავარ-სარდალთან ბითუსთან. (მთავარ - სარდალი იჯდა ვოლგასთან ბატონად). ამ ადგილიდან მთავარ - სარდალი გადაგზავნიდა მეტის-ძეს ყარაყორუმს დასამტკიცებლად.

უმეფობის გამო მთელი ქვეყანა შონგოლებმა გაჰყვეს და, აღვილ მართვისთვის, ჩაბარეს შემდეგ პირებს: ეგარსლან ბაკურციხელს — კახეთი შემახამდე, გრიგოლ სურამელს — ქართლი, თორელს გამრეკელს — ჯავახეთი, ცოტნე დადიანს — სამცხე აზრუმამდი, იმერეთი — რაჭის ერისთავს, ვარამ გაგელს — სომხითი. შეწუხდა ქვეყანა მათ მფობელობისგან და მოთმინებიდან გამოსული ქართველობა განდგა მონგოლების წინააღმდეგ „კოხთის-თავს“ \*). ეს შეთქმულება გაუგეს ქართველებს და სასტიკად დასაჯეს.

რადგან ორის წლის განმავალობაში რუსულანის შვილი დავითი ურდოდან ველარ დაბრუნდა, ჯავრზე ავად გახდა რუსულანი და გადაიცვალა. ეხლა სულ უმეფოდ შეიქნა ქვეყანა. დიდებულებიც ამრეზილები იყვნენ ეგარსლანზე, თაკილობდნენ მის უფროსობას და მოითხოვეს მონგოლებისგან განეთავისუფლებინათ იკონის სულტანთან ტყვედ მყოფი დავით სოსლანი. ნოინები დათანხმდენ, მით უმეტეს, რომ მათ ამდროს მზადება ჰქონდათ სელჯუკის იკონის სულტნის ყიასდინის (გაიათ-ედ-დინის) წინააღმდეგ, რომელმაც გამოიყვანა ბრძოლის ველზე 400 ათასი მებრძოლი; ამ ჯარს მოთავეობდა დარდან შარვაშიძე. მონგოლებმა საოცრად დამარცხეს ყიასდინი (1243 წ.) და გამოსთხოვეს თან დავით სოს-

\*) ეს ალაგრ ძევს ასპინძის-წყლის და კოხტა-წყალს. შეათავივე ჩადის მტკვარში ჯავახეთის-მტკვრის ქვემო.

ლანიც. დამარცხებულმა ყისლინშა მოსკა დავითი. და  
თვითონაც მონგოლების მოხარკე გახდა. ამგვარად,  
ქართველ დიდებულების სურვილი შეიწყნარეს მონგო-  
ლებმა და წარგზავნეს დავით სოსლანი მთავარ-სარდალ-  
თან ბითუსთან და იმან გაისტუმრა მანგუ-ყაენთან ყა-  
რაყორუმს, რომ მას მეფედ დაემტკიცებინა დავითი.  
(დავით სოსლანს ეხმარებოდა ყარაყორუმში ტახტის  
ძიებაში სარგის თმოველი, დავით ნარინს — ავაგ ათა-  
ბაგი). მონგოლებმა დაამტკიცეს ორივე მეფედ 1243 წ.

გამეფედენ: { დავით სოსლან IV — (1243 — 1269).  
                          { დავით ნარინ \*) V — (1243 — 1259).

ორივე გაამეფეს მონგოლებმა, მაგრამ ქვეყანას  
ახალი ბეგარა დაადვეს: მეფეებს უნდა გამოეყვანათ  
ყოველ წლივ 10 კომლზე ერთი მეომარი, და აქედან  
შესდგა 90 ათასი ჯარის კაცი. ამ ჯარით მეფეები  
უნდა გაჰყოლოდენ მონგოლებს იქ, სადაც მათ გაი-  
წვევდენ უკანასკნელები სალაშეროდ. ომის დრო-  
საც ქართველები წინა რაზმში უნდა მდგარიყვნენ.  
არც ამას აკმარეს ქვეყანა: ულუ-ყაენის ბრძანებით  
1254 წელს მთავარ-სარდალმა ბითუმ გამოგზავნა  
აწერელი არლუნი, რომელმაც ასწერა ქართლ-კახეთი  
და დანიშნა გადასახადი კაცის სულზე, საქონელზე,

\*) ნარინ ნიშნავს მონგოლურ ენაზე გონიერს.

ყანაზე, ვენახზე, ხეზე.\*). ამან მეტად დააღონა ქვეყანა. ამას გარდა ჯარს ხარკი ქვეყნისგან უნდა მისცემოდა და, სხვათა შორის, ათასის თავს — ყოველ დღე ერთი ცხეარი და ცხენზე სამი კაპეიკი უნდა მიელო. დაუბეგრავი დარჩა მხოლოდ სასულიერო წოდება, + ამ გარემოებით, რასაკვირველია, ყველა უკმაყოფილო იყო. დავით სოსლანმაც ამიტომ ძალა-უნებურად მიიღო მონაწილეობა ბალდადის აღებაში 1258 წელს ულუ-ყაენის\*\*) დროს. ქართველ მეფეების წინამდლოლობით მონგოლებმა აიღეს ეგვიპტე, სირია და მესოპოტამია.

მონგოლების ხანგრძლივმა და განუწყვეტელმა ოშმა, ჩვენგან ჯარების გაყვანამ და მათმა შენახვამ უკიდურეს მდგომარეობამდის მიყვანა ქვეყანა. ამ სულით და ხორცით ტანჯვას ვერ შეურიგდა ულუ-ყაენისგან შეძულებული დავით ნარინი და ამიტომაც, როდესაც ის დატყვევებული მიყავდათ ბარადაში, ნახვევნიდან გაიპარა და გადავრდა იმერეთში. იქ დიდის სიამოვნებით მიიღეს დავით ნარინი და 1259 წ. იმერეთის მეფედ აღიარეს. (+1286). დანარჩენმა ქართველებმა (როდესაც ისინი იყვენ ჯავახეთში) მოახდინეს შეთქმულობა მონგოლების წინააღმდეგ. შეთქმულობას მრათავეობდა დავით სოსლანი და დიდე-

\*.) ამ კანონის შესრულებისთვის დასტევა არღუნმავინე სარსელი აზიზი, რომელმაც ერთობ შეაწუხა ქვეყანა.

\*\*) მანგუს შვილი.

ჰულები. სამწუხაროდ, ეს საიდუმლო გამომეღლავნდა: ულუმ გამოგზავნა 20 ათასი კაცი მათდა დასასჯელად და სარდლად უჩინა არღუნი. მოხდა შეტაკება „შოლისპირს“ (ზემო-ქართლშია). ქართველ ჯარს მოთავეობდა ამ ბრძოლის დროს სარგის \*) ჯაყელი. დამარცხდენ ქართველები. მაშინ სარგისმა ურჩია დავითს, იმერეთში გადასულიყო, რომ არა ვნებოდა რა. რამდენიმე ხნის შემდეგ უენი და-დავითი შერიგდენ, ამიტომ დავითი გადამოვიდა იმერეთიდან, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ უენთან მიეღო ჭონაწილეობა ომში უოველ მის მცრის წინააღმდეგ \*\*). ამას გარდა მეფემ მოსთხოვა, უენს გადაეცა მისთვის ხოჯა-აზიზი სპარსელი, რომელიც არღუნისგან იყო დადგენილი ქართლ-კახეთში ხარჯის შესაკრებად და რომელიც მეტად აწუხებდა ქვეყანას. უენმა აუსრულა. დავითმა სიკვდილით დასაჯა ქვეყნის შემაწუხებელი აზიზი.

გავიდა დრო. მონგოლების მთავარ-სარდალი ბითუ გზავნის თავის შეილს ბერქას დარუბანდიდან ულუ-უენის წინააღმდეგ. დავითი და სარგისი ებრძვიან ბერქას და ემხრობიან ულუს. ბერქა დამარცხდება და გარბის. ამ დახმარებისთვის ორივეს

\*) რვაათას კაცი.

\*\*) დავითს სოსლანს ყავდა პირველი ცოლი ჯიგრა-ზათუნ უშვილო. მეორე ოსენის მთავრის ასული ალთუნ, რომლისვან მიეცა გოორგი და მესამე—ავავ ათაბაგის ქვრივი გვანცა, რაცის ერისთავის კახაბერის ქალი, რომლისაგან შეეძინა დიმიტრი.

დიდი პატივმცემელი შეიქნა ყეენი. სხვათა შრო-  
რის, ულუყეენმა მიუბოძა სარგისს ბასიანი და კარ-  
ნიფოლი. ამ გარემოებამ დავითი ეჭვში შეიყვანა,  
რად აძლიერებს ჩემს ქვეშევრდომსო. ეს შეცდომა  
რომ მონგოლებმა შეიტყვეს, გაასწორეს, მაგრამ და-  
ვითს ეს მოუფიქრებლობა და მოუზომველობა უფრო  
ძვირად დაუჯდა დაიბადა შური და მტრობა და-  
ვითს და სარგისს შუა. მათი უკმაყოფილება იქამდის  
მივიღა, რომ დავითმა სარგისი დაატყვევა! მხოლოდ  
დიდებულებმა და აბალა (ულუსშვილი) ყეენმა განა-  
თავისუფლებინეს წეფეს უს ღირსეული კაცი. ამავე  
დროს უხედავთ ჩვენ მეორე გაძლიერებულს დიდე-  
ბულს საღუნ მანკაბერდელს, რომელიც ფლობს კარს  
(კარსი) და მის მიმდგომ ქვეყანას (კარისს).\*)

ეს ის დროა, როცა გაზვიადებული რაჭის ერის-  
თავი კახაბერი იწვევს მონგოლებს (აბალას დროს),  
მიიღონ იმერეთი თავის ხელქვეშ (არ უნდოდა და-  
ვით ნარინს დამორჩილებოდა). კახაბერის წყალობით  
ორჯელ დაარბიეს და გაცარცვეს იმერეთი. მონგო-  
ლებისთვის ასეთი ჩვენი გაცალკევება, რასაკვირველია,  
მეტად სასიამოვნო იყო, რაღან ყველა ეს ხელს უწ-  
ყობდა ჩვენში მათგან შურის და მტრობის გავრცე-  
ლებას და გაძლიერებას, რომ მით უფრო თამამად  
და ფრთა შესხმულად ემოქმედათ.

\*) ისე გაძლიერდა საღუნი, რომ შეირთო ცოლად  
დიმიტრი თავდაცებულის და თამარი.

დიმიტრი დავითის-მე თავდაჭებული (1273—1289)  
მეფე ქართლის

„ქართლის ცხოვრებით“, დიმიტრი იყო ახო-  
ვანი, მხნე, შვენიერი, სრული მხედარი, მოისარი და  
ლვის მოყვარე.

ამ დროს მძვინვარებს აბალა - ყაენი. დიმიტრი  
ჯერ მცირე წლოვანია და მის მაგიერ ქვეყნის მმარ-  
თველად შეიქნება, ყენის ნებით, სადუნ მანკაბერ-  
დელი. სადუნ მანკაბერდელი, მართალია, ძლიერი  
დიდებული იყო, მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია დი-  
მიტრის ორგულება. როგორც კი დავაუკაცდა დიმი-  
ტრი, სადუნმა შეკრიბა წარჩინებული ქართველები,  
თან დიმიტრი წაიყვანეს და წავიდენ აბალასთან, რომ  
მას დაემტკიცებინა ასაკში მოსული დიმიტრი მეფედ.  
იმანაც აუსრულა ქართველებს თხოვნა და ამგვარად  
1273 წ. იკურთხა ქართლის მეფედ დიმიტრი და მიიღო  
ყენისაგან მთელი აღმოსავლეთი სამცხის გარდა,  
რომელსაც ფლობდა სარგის ჯაყელი. (დიმიტრის  
კურთხევას აღარ დაესწრო ათაბაგი სარგის ჯაყელი.  
ეს მეორე ნიშანია იმის, რომ იმერეთს გარდა აქაც  
იბადება აზრი განტალკევების, რომელიც სისრულეში  
მოვა ბექას \*) დროს.

აბალა ყაენის დროს მოხდა გალაშქრება ეგვიპ-  
ტებე, სადაც მიწვეულ იქმნა დიმიტრიც. რადგან

\*) სარგისს შველია. ბექა ფლობდა ტაშის კარიდან  
მო ყოლებული კლარჯეთს და ჭანეთს აზრუმამდის.

ქართველობა მონგოლების ომებში წინა-ჩაზმში იბრძოდენ ყოველთვის, ამიტომ ან უნდა გამწყდარი-ყვენ, ან უნდა გაემარჯვნათ. დიმიტრიც გაემგზავრა ქართველ ჯარით და მონგოლების ჯარით ერთად. მონგოლების ჯარს მოთავეობდა ყევნის ძმა მანგუ-დემურ. თუმცა დამარცხდა ქართველობა და მონგოლებიც, მაგრამ მონგოლები მაინც გაოცებული იყვენ ქართველების ვაუკაცობისგან. ამიტომაც მაინც დიდი ნდობა და მაღლობა გამოუცხადა ყევნმა დი-მიტრის და ბექას \*). (სარგისი და ბექა მაშინ ისეთ მდგომარეობაში იყვენ, რომ ემორჩილებოდენ დი-მიტრის და მსახურებდენ ყაენს).

ამტროს იმერეთში ხდება შემდეგი: გაძლიერე-რებულმა რაჭის ერისთავმა კახაბერმა ცბიერულად შეინანა თავის ლალატი მეფესთან. დავითმაც აპა-ტივა წინანდელი მისი მოქმედება, მაგრამ შეცდა: კახაბერს შერიგებით უნდოდა, უფრო აღვილად ჩა-ეგდო ხელში დავითი და ყევნისთვის შიგუვანა ტყვედ. მეფემ შეუტყო ეს ლალატი და სიკვდილით დასაჯა მოლალატე ერისთავი. აქაც ვხედავთ, რომ ითესლება განცალკევების ლვარძლიანი აზრი.

საზოგადოდ მონგოლების გაფლენამ ზნეობით ერთობ დასცა ქართველობა: ისინი მიჰყენ მონგო-

\* ) ამ დროს დიდი ყურადღება დაიმსახურეს ქართვე-ლებმა: ქართველები იაკობი და იოანე ელჩად წარგზავნა აბა-ლამ ევროპაში პაპა იოანე XXI, ფილიპე შვენიერთან და ინ-გლოისის მეფესთან.

ლებს და ყველაფერში მათ ბაძუდენ: მეფეები და  
დიდებულები ირთვენ რამდენიმე ცოლს: ამ საქციელს  
ვერ ასუდა ვერც დიმიტრი \*) და ვერც მისი სადუნი.  
რასაკვირველია, ეს ცუდი იყო ქრისტიანობისთვის.  
მონგოლებს მათი კანონი ამის ნებას აძლევდა და  
ჩეენ-არა. ამ გარემოებას ხალხის თვალში ცუდი  
შნიშვნელობა ჰქონდა და ურყევდა სარწმუნოებას.  
მონგოლებსაც ეს უნდოდათ. ამას გარდა ისინი ნერგ-  
დენ და ავრცელებდენ შურს მეფეებს და დიდებუ-  
ლებში, რომ მით მათ უტრო აღვილად ემოქმედათ  
ჩეენში. ამგვარად, დიმიტრი, აჯამელიც წინეთ მე-  
ტად ღვთის-მოსავად ითვლებოდა, ლამით აღგებოდა და  
ქალაქს ჩამოივლიდა, არის სადმე ლარისბი და ულონო,  
რომ ხვალ შემწეობა მიღცეო, დღეს საერთო გარყვნილ  
ტალღის მორევში გადაეშვა.— დიდი მოლვაწუები ნი-  
კოლოზ კათალიკოსი, მის შემდეგ აბრაამ კათალი-  
კოსი; პიმენ სალოსი გარეჯელი \*\*), ანტონი—ყველა  
ესენი ხმა მაღლა ლალადებდენ ზნეობის დაცემის წი-  
ნააღმდეგ; ამხილებდენ მეფეს და დიდებულებს, მაგ-  
რამ მათი ხმა იყო „ხმად-ლალადებისა უდაბნოსა  
შინა“: არეინ შეისმინა!.

შოკვდა ქართველების მომხრე აბალა-ყაენი და  
დაჯდა მის მაგიერ ყაენად მისი ქმა აკმად-ყაენი, რო-

\*) პიმენ სალოსი ცხოვრებლა ბელაქანში. მან მოაქრის-  
ტიანა მთიულები, ლეკები, თუშები და დილოელები.

\*\*) დამიტრის ყავდა ცოლად ტაპიზონის იმპერატო-  
რის ქალი, თათრის ქალი და ბექას ქალი ნათელა,

მელიც, ამბობენ, თურმე, წინეთ ქრისტიანულად იყო  
მონათლული, მაგრამ—ეხლა კი ქრისტიანების წინ ააღ-  
მდევგიც შეიქნა და მაჲმადიანებისაც. ამიტომაც შეი-  
თქვენ ნოინები. მათ მოთავედ გახდა მისი შვილი არ-  
ლუნი (ქრისტიანების მფარველი და მაჲმადიანების  
მდევნელი) და აჯანყდენ. გაიმართა ომი მამა-შვილს  
შეა. დიმიტრი მიემხრო აჲმად-ყაენს. დამარცხდა მამა  
და მოიკლა. არლუნმა ყველა მოწინააღმდეგე ნოინები  
და მტერი გააწყვეტინა. მოკლეს ბულა ნოინიც, რო-  
მელიც იყო დიმიტრის მზახალი და მისი მფარველი  
ყევნთან და რომელზედაც ბულას დიდი გავლენა  
ჰქონდა. ჯერი მოდგა დიმიტრიზედაც, რომელსაც  
ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ყევნმა შეთქმულო-  
ბის შემდეგ და რომელშიაც სწამებდა მონაწილეობას.  
ამიტომაც დაიბარა ურდოს (მულანს) მეფე და, მრა-  
ვალ გადასავალის შემდეგ, თავი წაჲკვეთეს 12 მარტს  
1289 წ. მეფეს თან ახლდა მისი მცირე - წლოვანი  
შვილი დავითი, რომელსაც ეგვე სატანჯველი მოე-  
ლოდა, მაგრამ ნოინმა მოსე ტაჩარმა იპატივა მეფის  
შვილი: წაიყვანა და შვილივით ზრდიდა და უვ-  
ლიდა დაობლებულ დავითს. დიმიტრის მაგიერ მე-  
ფედ დანიშნა არლუნმა იმერეთის მეფის დავით ნა-  
რინის შვილი ვახტანგ II (1289—1292 წ.)\*).

\*\*) ვახტანგის დროს ჩამოვიდენ რომის პაპისგან ნიკო-  
ლოზ II-სგან გამოგზავნილი ბერები ქართველების გასაფრან-  
გებლად. შათ მოთავეობდა იუანე ფლორენციელი.

გიორგი V დიმიტრის-შე ბრწყინვალე (1318—1346)  
შეფე ქართლისა

თამარიდან გიორგი მეფემდი განვლო თითქმის  
ასმა წელმა. ამ დროს განმავალობაში არ მოუსვენია  
მრავალ ტანჯულ საქართველოს: ჯერ ხვარასნის სულ-  
ტანმა ჯალალედინმა და მერე მონგოლებმა ერთია-  
ნიად დასცეს დიდებულ ბაგრატიდების და თამარისგან  
აშენებული სამეფო როგორც სულით, ისე ზნეობით.  
მონგოლებმა კარგად იცოდენ, ვისთან ქონდათ მათ  
საქმე, და ამიტომ ისეთ გზას დაადგენ, რომ დაეგლი-  
ჯათ ქვეყანა და ერთ ძლიერ ქვეყნისგან შეედგინათ  
რამდენიმე პატარა სამეფო და შიგ ეთესლათ და ენე-  
რგათ შური და მტრობა, რომ მით უფრო აღვილად  
ემოქმედათ თავის პირად ინტერესისთვის. ეს ასეც  
მოხდა: ჯერ საქართველოში დასცეს ორი მეფე 1243  
წელს. მათივე წყალობით 1259 წ. ერთი დაჯდა ქართ-  
ლში და მეორე — იმერეთში. ამ დაყოფამ გააზვიადა  
ერისთავებიც და დიდებულებიც: მეტი ლონე, ურჩობა  
და სიამაყე მიეცათ; მაგალითად, დიმიტრის კურთხევის  
დროს არ მოვიდა სამცხის ათაბაგი სარგის ჯაყული,  
რაჭის ერისთავი კახაბერი თავის თავს მეფედ თვლიდა.  
სვანეთის, გურიის, ოდიშის ათხაზეთის ერისთავები  
თავს აღარ იდრეკენ მეფის წინ. პანკისის ერისთავი  
თორლული აღარ ემორჩილება დავით სოსლანს \*). ამაკ

\*) ამ დროს დავით სოსლანი ომში იყო და მის მაგიერ  
ქვეყანას განაგებდა მეფის მეწდე ჯაჭური

ვარდა მონგოლების ყეენები ყოველ მეფესთან ნიშნავდენ ჯაშუშებს, რომ ქვეყანა და მეფე ალაგმული ყოლოდათ. ამ დაქსაქსულობას მოყვა ზნეობით დაცემა: შემოვიდა მაღალ წოდებაში მრავალ კოლიანობა, რამაც ერთიანად გაათახსირა ერი ზნეობით.—ჩვენმა სისუსტემ მთიულებიც კი ააყაყანა: ქვეყნის რიდი დაჰკარგეს. ამ „შავ-დროს“ გიორგი მცირე წლოვანი იყო და იზრდებოდა თავის პაპის სახლში ბექასთან. ბევრის ჭირის და ვარამის მნახველს და გამგონეს გიორგის დედის ძუძუსთან ერთად თან შეზრდილი ჰქონდა ნათელას და ბექას წყალობით ქვეყნის კვნესა და მწუხარება. ეს მდგომარეობა მას ლრმად ჩაენერგა მის ნორჩს გულში \*).

მართობა ერთობ ლვარძლიანი და ეკლიანი გზა უდვა წინ, მაგრამ მახვილ-გონიერი და შორს მჭვრეტელი მეფე არ შეუშინდა ამას. მან თავისი ჭკუა, ცოდნა და გამოცდილება მოიხმარა ისე, როგორც დროს შეეფერებოდა. ქვეყნის გაერთიანებას და წარმატებას მის აზრით, სულ ერთი იყო, რა საშვალებითაც კი მიაღწევდა. ამიტომაც ზოგს იმორჩილებდა ტკბილ სიტყვით, ზოგს—მოყიდვით, ზოგს—რისხვით და ზოგსაც—ხმლით. მაგრამ ყველას ამას

\* ) მის მცირე წლოვანობის გამო ქვეყანას განაგებდა ბექა. ამ ხანაში იმეფა გიორგიმ 1299—1301; მაშინ ის ყეყნმა გადააყენა და მეფობა მისუა მის ძმას 1301—1308; 1308 მეფობა მისუა ყეყნმა გიორგის ძმისწულს გიორგი VI და გამგედ დაუნაშნა გიორგი V. როცა გიორგი VI მოკვდა, მხოლოდ მაშინ ელირსა გიორგი V შეფობა.

შერებოდა ფრთხილად, აუჩქარებლად, გონიერად. ამ დროს ჩვენი მტრები იყვნენ: ოს-მთიულები, ღიღებულები და მონგოლები. ამიტომ ჯერ მთიულებს და ოსებს მიჰყო ხელი: გააგდო ოსები გორიდან, სადაც დაბანაკებულ იყვენ და ბატონობდენ; შევიდა ოსეთში და შათი ციხე-სიმაგრეები მიწასთან გაასწორა, დაიმორჩილა და მოხარკე გახადა. შეუკრა გზები საქართველოსკენ და ყველა ამ ადგილებზე მცველები დააყენა. ამ გვარადვე შელაგმა არავის და ქსნის ხეობის თვით-მნებელობა და დაუდგინა „სამართალი“. ნოინებშიაც დადგა ამდროს ზნეობით განხრწნის ხანა: მოკლეს თავისი ყაენი აბლაითი და ქვეყნები ერთმანეთში გაინაწილეს. ერთმა დაიპყრა სპარსეთი, მეორემ — ხორასანი, მესამემ — მცირე-აზია და სხვ. ამ ახალმა მცყრობელებმა დაუწყეს ერთმანეთს ომი თავის გაძლიერებისთვის. ამით ისარგებლა გიორგიმ, შეებრძოლა ქართლ-კახეთში მყოფ მონგოლებს, დაამარცხა და გაჰყარა საზღვრიდან.

ეს რომ გაათავა, ხელი მიჰყო ღიღებულებს: გაუმართა ერთხელ ნადიმი ღიღებულებს ციგზეა როცა ღიღებულები სიამოვნების და ოცნების მორცვში ცურავდენ, დაეცა მეფის ბრძანებით ჯარი, ყველა ურჩი გაწყვიტა და მათ ადგილებზე ლირსეული პირები დაადგინა.

ასეთი გაძლიერება და მტრების მოშორება კარგს არას უქადდა რანის, მოვაკანის, შირვანის მონგოლებს და ლეკებს. ეს მეფემაც კარგად იცოდა და,

სანამ ისინი შემოვიდოდენ ჩვენს საზღვარში, თვითონ მიეგება იქეთ. დაამარცხა ყველა, დაიმორჩილა დარუბანდამდის და ყველა დახარკა.

ამ დროს იმერეთში უწესოებაა: აღარ ემორჩილებიან მეფეს ერისთავები და ერთმანეთში განუწყვეტელი ომი აქვსთ. ამით ისარგებლა გიორგიმ და გადავიდა იმერეთში. შეშინებული მეფე ბაგრატი და ერისთავები \*) დამორჩილდენ და ტახტი გიორგის დაულოცეს. გიორგიმ იმერეთის ტახტის ნაცვლად მისუა ბაგრატს შორაპნის ერისთავობა 1330 წელს. აქედან გადავიდა გიორგი სამცხეს \*\*); დაიმორჩილა ეს მხარე, დაადგინა ერისთავები არტანს, წუნდას. ამას მოყვა კლარჯეთის შემოერთება. აქაც გიორგიმ დანიშნა ერისთავები სპერს, კალმახს, არტანუჯს.

ერთხელ კიდევ მოინდომეს შემოსევა მონგოლებმა რანიდან, მაგრამ მკვირცხლმა გიორგიმ დროზე შეუტყო და საზღვრიდან მოიშორა.

არ მოისვენა მხოლოდ მცირე-აზიის სულტანმა თრხანმა, რომელიც შემოიჭრა კლარჯეთში, მაგრამ ბოლოს ისიც დამარცხდა და გაშორდა საზღვრებს.

\*) დადიანი, გურიელი, შარვაშიძე, და სვანეთის ერისთავი.

\*\*) ამ დროს მოკვდა სარგის II ათაბაგი (+ 1334 წ.) და გიორგიმ ათაბაგობა მიუბორა მის შვილს ყვარევარე I (+ 1361). შესანუშნავი იყვნენ ათაბაგები: ბექა II (+ 1391) და აღბულა (+ 1451); მათ დასწერეს უსამართლის წიგნი<sup>4</sup>.

ასე გააკრთიანა გიორგიმ თამარისეული საქართველო და ისევ ძველ საზღვრებში ჩააყენა. დავით აღმაშენებელივით, მანაც მოახდინა სასულიერო კრება, რომელმაც გაწმინდა ეკლესია ყოველ ულის პირებისგან და წესიერება შემოიტანა მის გამგეობაში. მას, მიაწერს ისტორია „ძეგლის-დებას“, რომელიც შეეხება დაცემულ ზნეობის გასწორებას და ჭვეულის ერთგულ სამსახურს.

გიორგიმ ააშენა ცულრულაშენის და პითარეთის საუცხოვო გუმბათიანი საყდრები; განაახლა დმანისი \*) და ზედ მიაშენა საუცხოვო კარის-ბჭე, შემკული ჩუქურთმებით. მის დროს მოღვაწეობენ საზოგადო ასპარეზზე კათალიკოსი ევთიმე და მერებასილი, რომელთაც დიდი მონაწილეობა მიიღეს კრებაზე ეკლესიის გაწმენდის შესახებ. გიორგიმ ტახტი გადასცა თავის შვილს დავით VII.

### ბაგრატ V დავითის-ძე (1360—1395) დიდი.

დიდებულად შეასრულა თავის მოვალეობა ჭვეუნის წინაშე გიორგი ბრწყინვალებმ და ეგვე დაუდვა ანდერძად თავის შვილს დავითს, რომელმაც სავსებით გაამართლა მამის ანდერძი და ჭვეუნის სიყვარული დაიმსახურა. 14 წელიწადი ედგა დარაჯად ჭვეუნას და ამხნის განმავალობაში არვის ნება არ

\*) დმანისშია დასაფლავებული ვახტანგ III (1301—1307) დიმიტრის - ძე.

ქონდა, და ორც გააბედვინებდა, მისი სახელი შე-  
ელახა. ასე დაცული და გამაგრებული—გამტკიცე-  
ბული გადასცა მან თავის შვილს ბაგრატ V.

დიდი გავლენა იქონია მონგოლების მფლობე-  
ლობამ საქართველოში, რომელიც ქვეყნის კეთილ-  
დღეობას ძირს უთხრიდა. ეს იყო ერისთავების სურ-  
ვილი განზე გამდგარიყვენ, საქვეყნო საქმის წინააღ-  
მდეგ წასულიყვენ და, მაშა სადამე, ქვეყანა დამხო-  
ბილიყო. — ამის საბუთს ბევრს ვხედავთ გიორგი  
ბრწყინვალის დროსაც და უფრო აღრეც. ამ სამწუ-  
ხარო აზრმა ბაგრატის დროს უფრო მეტი ფრთა შეისხა:  
ეს იმის ნიშანი იყო, რომ მეტად პქონდა დიდებუ-  
ლებს გამჯდარი ძვალ-რბილში ურჩობა, თავმოყვა-  
რეობა, უფლების მოყვარეობა; ერთი სიტყვით პი-  
რადი ინტერესი სჭარბობდა საქვეყნო ინტერესს.  
რაკვირველია, ეს მონგოლების გავლენაც იყო, მაგ-  
რამ ჩვენი შეუგნებლობა და გამოუცდელობა კი—  
უფრო მეტი. ბაგრატის დროს პირველი ნაბიჯი ურ-  
ჩობის გზაზე გადადგა სვანეთმა: ერისთავმა ვარდა-  
ნიძემ შემოიკრიბა ჯარი, ჩამოიქრა იმერეთში, დაარ-  
ბია, გაცარცვა, დასწვა \*) ქუთაისი და გაბრუნდა  
უკან. მალე ბაგრატი იქვე გაჩნდა ჯარით; შეესია  
სვანეთს, ურჩი მოსპო, ციხეები და სიმაგრეები ხელში  
ჩაიგდო, ერისთავი ვარდანიძე დაატყვევა და მის მა-  
გიერ ერისთავად დანიშნა გელოვანი; ვარდანიძეს  
მისცა საერისთავოდ გურია.

\*) (1361 წ.).

თურქებმა რომ შეიტყვეს, მეფე მთაშიაო, შე-  
მოიჭრენ სამცხეში და დაუწყეს რბევა. ქორივით  
„გადმოფრინდა“ ბაგრატი ფერსათის მთით, დაეწია  
მტერს ორეზის ნაპირზე და ისეთი დღე დააყენა, რომ  
სანანებლად გაუხადა. აქედან გამარჯვებული გაპ-  
რუნდა სამცხეს (1361). ამ დროს გადაიცვალა ათა-  
ბაგი ყვარეყვარე I. ბაგრატმა მის ადგილზე დანიშნა  
მისივე შვილი ბექა (+1391). გადაიცვალა იმერე  
თის მეფედ ყოფილი შორაპნის ერისთავი ბაგრატ  
და მის მაგიერ შეფერ დანიშნა ერისთავად ბაგრატისვე  
შვილი ალექსანდრე. გაიარა 14 წელმა და ქვეყანა  
მოსვენებაში იყო. აღმოსავლეთით საზღვრავს ქვე-  
ყანას კასპიის — ზღვა, დასავლეთით — შავი + ზღვა,  
ჩრდილოეთით — სკვითია. რანი, მოვაკანი (შაქი-  
შირვანი) და დვინი (ერევანი) მორჩილებენ და  
ხარკს აძლევენ გიორგის\*).

ამ დროს (1375 წ.) გაძლიერდა შუაგულ აზი-  
აში კაცობრიობის ახალი მტერი მონგოლების მთავ-  
რის თარგაისძე ლანგ-თემური, რომელმაც დაიპყრა  
თურქეთი, ინდოეთი და სპარსეთი. — ბაგრატმა და-  
იწყო ციხეების მაგრება და გაამრავლა ლაშქარი,  
რომ ყოველ შემთხვევისთვის მზად ყოფილიყო. ლანგ-  
თემურმა რომ სპარსეთი აიღო, გამოეშურა საქარ-

\*) გადაიცვალა დედოფალი კლენე 1366 წ. და ბაგ-  
რატმა შეირთო ტრაპიზონის იმპერატორის მანუელ III ასული  
ანნა.

თველოსკენ; კარი აიღო და იქ დაიზამთრა, რომ გა-  
ზაფხულზე ჩვენსკენ წამოსულიყო. ამ დროს უღა-  
ლატა ბაგრატის ათაბაგმა ბექამ და მტერს მიემხრო.  
ბექას ლალატით ლანგ-თემური ალტაცებაში იყო და  
უბრძანა კიდევ მთელ სამცხეს, აღარ დამორჩილებოდა  
ბაგრატის. ბაგრატმა იცოდა მტრის სიმრავლე და შე-  
ბძოლება ვერ გამოდა „საზღვარს გარე“. რაკი ზურგი  
გაიმაგრა ლანგ-თემურმა, წამოიწია წინ. ყოველი  
ფეხის გაღმოდგმა მტერსაც ძვირად უჯდებოდა და  
დამხვდომსაც, მაგრამ არც ერთი არ შეაშინა ამ გა-  
რემოებამ. ეჭვს თვეს გაგრძელდა ეს საშინელი და  
სისხლის მღვრელი ომი. ცეცხლმა და მახვილმა მოაცვა  
მთელი არე ტფილისამდი. თანამედროვეები ამბობენ,  
რომ ასეთი წინააღმდეგობა თემურისთვის არ გაუწე-  
ვია არც ჩინეთს, არც ქაბულს, არც ბუხარას და არც  
სპარსეთს. ბოლოს მოატანა ტფილის. გამაგრდა  
მეფე ციხეში, მაგრამ მტარვალმა აიღო ტფილისი, და  
მეფე დედოფელიანად დატყვევებული შეიქნა 1387 წ.  
ციხეში ლანგ-თემურმა თავისი ჯარი შეაყენა და აქედან  
შეუსია ჯარები ქართლს. ჯარებმა დაარბიეს, მოაოხ-  
რეს ქვეყანა: ცეცხლი და მახვილი მოედვა ქვეყანას.  
დასწვეს „ქვათა-ხევი“. გადავიდენ აქედან რუსს და  
მისი დიდებული ტაძარი მიწასთან გაასწორეს. ამ სა-  
შინელების შემდეგ მობრუნდენ ისევ ტფილისში.

განცვიფრებაში მოყავდა თემური ბაგრატის ქლე-  
ვას და შეხედულობას: ის იყო ტანით ახოვანი, ჰაე-  
როვანი (შვენიერი), მკლავით — მამაცი და სულით —

შხნე. იყო მეტად დარბაისელი. მისმა შეხედულობაში შეიპყრა თემური, რომელმაც ურჩია კიდევ ბაგრატის შიელო მაჰმალიანობა, თუ უნდოდა სამეფოს დაბრუნება, მაგრამ ბაგრატი არ დათანხმდა.

თემურმა დაიპყრა შაქი, შირვანი, ლეკეთი, და შაქ-შირვანში თათრები დაასახლა. გაიარა ყარაიასი, გადავიდა მაზანდერანში და ისიც დაიმორჩილა. — ამ დროს განუდგება ბაგრატის იმერეთი, მაგრამ გიორგი ბაგრატისე გადავა ჯარით, დაამარცხებს და ალაგ-შავს მას. ქვეყნის გარემოებამ მეფე ერთობ დააფიქრა და გონებაში ჩავარდა: ბოლოს მიმართა ისევ უკანასკნელს საშეალებას: მივიღებ მაჰმალიანობას, მაგრამ გარეგნობით, ოლონდ ქვეყანას ვუმველოვო.

განუცხადა თემურს თავისი სურვილი ბაგრატმა. თემური სიხარულით ცას ეწეოდა რადგან იმედი ჰქონდა, ასეთი მოკავშირე ადვილად გაამაჰმალიანებდა ქართველობას და მაშინ საქართველოც მისთვის უშიშარი იქნებოდა. ამიტომ თემურმა განათავისუფლა ბაგრატი, რომელმაც გამოსთხოვა მტერს 12 ათასი რჩეული მეომარი, ვითომდა, მის სურვილის მისაღწევად. თემურმაც მოსცა 12 ათასი საუკეთესო მეომარი კაცი და გამოისტუმრა. ბაგრატი, მინამ თვითონ გამოეშურებოდა ჩვენსკენ, იღუმალ აცნობებს თავის შეილს გიორგის: „მომეგებე ჯარით ხრამის კიდეზე ხუნანის პირდაპირ ლამით“. გიორგიმ შემოიკრიბა ჯარი, დაესხა და ორივე მამაშვილმა ერთიანად გაულიტეს თემურის რჩეული რაზმი. აქედან გამოეშურენ ტფრის მიერთება და გამოისახლა მაჰმალიანობა და მაჰმალი გადავიდა მაზანდერანში და ისიც დაიმორჩილა. — ამ დროს განუდგება ბაგრატის იმერეთი, მაგრამ გიორგი ბაგრატისე გადავა ჯარით, დაამარცხებს და ალაგ-შავს მას. ქვეყნის გარემოებამ მეფე ერთობ დააფიქრა და გონებაში ჩავარდა: ბოლოს მიმართა ისევ უკანასკნელს საშეალებას: მივიღებ მაჰმალიანობას, მაგრამ გარეგნობით, ოლონდ ქვეყანას ვუმველოვო.

ლისისკენ. აიღეს და გააგდეს მონგოლები ტფილისის  
ციხიდან (1393 წ.).

თემურს რომ ეს ამბავი მიუვიდა „სულით იშ-  
თვებოდა და შურით განიხერხებოდა“, მაგრამ ზამ-  
თარი იყო და შედგა. გაზაფხულზე წამოვიდა „ზღვის-  
ჭვიშაზე უმრავლეს“ ჯარით: „ზარის რეკა, საყვირი,  
დაბდაბი და ბუკების“ ტკრციალი რაღაც საშინელე-  
ბას და უბედურებას უქადდა ქვეყანას. ბარდასთან  
მტერმა მტკვარზე ხიდი გასდვა და ჯარი მარცხენა  
ნაპირზე გადმოიყვანა. ბაგრატის ბრძანებით ხალხი  
მთაში დაიხიზნა. გამოვიდა თუ არა მტკვრის მარ-  
ცხენა ნაპირზე, შაქი-შირვანი მაშინვე მას მიემხრო.  
არ შეუშინდენ მტერს მარტო მამა-შვილი: ეკვეთენ  
გააფთრებული მტრები ერთმანეთს. საშინელის კალ-  
მით აგვიწერს თანამედროვე ამ ომს! „მათი ცხენის  
ნატერფალისგან გზა აღარ ჩანდა! მათის შეჯახებისგან  
მიწა იძვროდა! მათის კიუინისგან და აბჯრის ზათქის-  
გან და ცხენების ქაქანისგან აღარაფერი აღარ ისმოდა“.  
ისე ირევოდენ ქართველები მტრის გუნდში, როგორც  
ვეფხვი ცხვრის ფარაში. გაოცებული იყო თემური:  
ჯერ არსად არ შევხვედრივარ ამათთანა თავ გამო-  
დებულს და გააფთრებულ მეომრებსაო! და მართლაც,  
ისე „ანქრევდენ მტერს“, როგორც შევარდენი ჭილ-  
ყვავს. „მათი ისარი იყო მკვეთრი, ხმალი მფეთებელი  
და ოროლი მხეთქებელი! ეს საშინელი და საზარელი  
სურათი მოგაგონებს ძველ ზღაპრულ გოლიათებს და  
მათს შეხეთქებას“.

შეკრთა მონგოლების ურდო და მიღრკა გასა-  
ჭცევად. თემური ცეცხლად გადაიქცა, განიწირა თავი  
და გაქცევას სიკვდილი არჩია. ამიტომ წინა რაზმს  
უკან სხვა რაზმი დაუყენა, რომ გაქცეული მაშინვე  
მოეკლათ. ეს უკანა ჯარი შესდგებოდა ისეთ ხალ-  
ხისგან, რომელსაც მონგოლები უამივით სძულდათ.  
დანარჩენი ჯარი თემურშა გაყო არ დასად: როცა  
ერთი იბრძოდა, მეორე ისვენებდა. მონგოლებს ამის  
შემდეგ ერთიდა დარჩენოდა: ან სიკვდილი, ან გა-  
მარჯვება. ასე მოაწყო თემურმა თავისი ჯარი, იში-  
შვლა ხმალი, ერთი საოცარის ველურის ხმით უყი-  
ვლა თავის ლაშქარს და გადავარდა წინა რაზმში.  
სიბრაზისგან თემურს თვალებში სისხლი შემოადგა:  
ჭანგრძლივმა ბრძოლამ და ხმლის ტრიალმა მოქანცა  
ბაგრატის ჯარი და მაშველი სხვა კი არ საით იყო.  
ამიტომაც ჰლვასავით მოსულ მტერს ველარ გაუ-  
მაგრდა და მიენდო ციხე-სიმაგრეებს. მოპყვა უკან  
მტერი კვალ-და-კვალ და, რაც ნახა, ყველაფერი  
მიწასთან გაასწორა (1394 წ.).

როცა გაძლა ჩვენის სისხლით, გაბრუნდა ყარა-  
ბალს. ბაგრატმა ოხრებულს და გავერანებულს ქვე-  
ყანას დაუწყო მოშენება და მოღონიერება: განა-  
ახლა ასევ ციხე-სიმაგრეები და გაფანტული ნაწი-  
ლებიც შემოიერთა.

ბაგრატმა ცხადად დაანახა მტერებს, თუ რა დიდი  
საქმე შეუძლია კაცს. ქვეყნისთვის, თუ ის ლირსე-  
ულად წინამძღვრლობს ერს და თან ამავე დროს მას

ერის ერთობაც შესწევს. ამიტომ გატაცებით აქებენ  
მას არაბების ისტორიკოსები \*), როგორც „მხნეს, მა-  
მაცს, უშიშარს, შემმართებელს, ქვეყნისთვის თავდა-  
დებულს და შენიერს“.

### გიორგი VII ბაგრატის ძე (1305—1407).

ბაგრატის შემდეგ ავიდა საქართველოს ტახტზე  
მისი შეილი გიორგი VII. ტახტზე ასვლის თანავე  
თემურმა შემოუთვალა გიორგის ყარაბაღიდან: მოდი  
ჩემთან, მორჩილება გამომიცხადე და არას გავნებო.  
გიორგი ვერ დათანხდა ამ მიწვევაზე, რადგან იკოდა  
კარგად, რასაც ნიშნავდა მისი „მოდი“. ამიტომაც  
შეუთვალა: ხარჯს მოგცემ და მეკი ვერ მოვალო-  
ხარჯის მიცემით გიორგი ჟფიქრობდა, იქნება მტარვა-  
ლის გული მოლბეს და ქვეყანას ჩამოესხნასო, მაგ-  
რამ არ ისმრნა თემურმა და შემოვიდა მესამედ. მარ-  
თალია, პირველ შეჯახებაზე გაიმარჯვეს ქართვე-  
ლებმა, მაგრამ ბოლოს სძლია სიმრავლემ. ქართვე-  
ლებმა იბრუნეს პირი და მიენდვენ ციხეებს. მონ-  
გოლებმა აიღეს ისევ ტფილისი, ციხეში თავის ჯა-  
რები ჩააყენეს, ქართლი მოარბიეს და ეკლესიები  
და მონასტრები დასწვეს (1396 წ.) \*\*). ამის შემდეგ  
თემური მოვიდა და მუხრანს დადგა: უნდოდა. რამ-

\*) შიხაბედლინ ელკალკაშენდი (+1418).

\*\*) ამ დროს განლგა შეირაპნის ერისთვის კოსტანტინე  
მაგრატისმე დაიპრია იმერვეთი და გამეფდა.

ნაირად ქართველების ვე შემწეობით (ლატატით) ხელში ჩაეგდო გიორგი, მაგრამ, რომ ვერას ვახტა, გაბრუნდა ისევ ყარაბალს. მუხრანს დგომის დროს ზოგი ქართველი დიდებული მივიღა და მორჩილება განუკადა თემურს.

თემურმა ყარაიასიდან გამოგზავნა ამირჯან სპას-ჰეტი ქართლის ასაოხრებლად და გიორგის შესა-ჰყურობლად, მაგრამ შეცდა: თვითონ გადაიჭრა გიორგი ნახვევნისკენ და აიღო ალიჯანის ციხე (1396 წ.). ციხის აღების შემდეგ უთვლის თემურს, აკმაროს ქვეყანას ამდენი სისხლის ღვრა და ის მზად არის ხარკი აძლიოს, მაგრამ თემური არ დათანხმდა: მოდი ჩემთან და მორჩილ მექმენო! გიორგი ვერ წავიდა. თემური ეხლა სამცხისკენ გაეშურა. მოაოხრა, რაც კი წინ დახვდა. აქედან თემური და თათრები დაეშვენ არაგვზე, მაგრამ დამარცხდენ. დაბრუნებული დადგა მანგლისს (1396 წ.) (ამ ხანაში თემურის შვილებმა ისევ აიღეს ალიჯანის ციხე). გიორგიმ გაუგზავნა თემურს თავისი ძმა კოსტანტინე\*) დიდის ძლვნით და ითხოვა ჩამოხსნოდა ქვეყანას, და თავის მხრით გიორგი მზად იყო მიეცა ხარკი. აღუთქვა თემურმა, მაგრამ ასრულებით არ შეასრულა. მანგლისიდან წავიდა თემური ბარდას და იქედან შემოუსია ჯარი დარუბანდელებს და ლეკებს. ლეკეთიდან გადავიდა ჯარი ოსეთში. მილეწ-მოლეწა, დაანგრია ყველაფერი და ისევ მანგლისს

\*) კოსტანტინე ლასაფლავებულია ვარძიაში.

დაბრუნდა. მანგლისიდან გამოგზავნა (შიხ-აბრამ-შარ-ვანშა) თავისი ერთგულთაგანი სარდალი ქართველების გასამაჰმადიანებლად და თან დაავალა, შეეტყო, რა შემოსავალი ქონდა მეფეს. მეფემ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს და დახიზნა ხალხი, თვითონ კი საომრად მოემზადა. თემურმა ეს რომ შეიტყო, დაა-წრო და შემოვიდა მანგლისიდან. მოადგა ბირთვისს და, დიდის გაჭირვებით, ძლივს აიღო.

აქედან თემური მცირე აზის დასაპყრობლად გაე-შურა. ამ დროს თურქების (აწ ასმალების) სულთანი ბაიაზეთი კოსტანტინეპოლის უპირებდა აღებას. როცა შეიტყო თემურმა, აღმოსავლეთი ბაიაზეთმა დაიპ-ყრაო, შეებრძოლა 1402 წ. 20 ივლისს. ანგორის მინდორზე გაიმართა საოცარი ბრძოლა, რომელშია ც დამარცხდა ბაიაზეთი და ტყვედ ჩაუვარდა ხელში თემურს. აქედან თემური გავიდა სამარყანდს და თან გადაიყვანა ტყვედ იქ დასასახლებლად 6.0 ათასი ქარ-თველი\*\*). სამარყანდში თემური მალე გადაიცვალა. მის სიკვდილის შემდეგ შვილებს მოუვიდათ ერთმა-ნეთში ჩხუბი და ამით მამის იმპერია ერთობ შესუ-სტდა. მაშინ ისარგებლა გიორგიმ გარემობით, შე-ებრძოლა ჩვენში დარჩენილ თათრებს და საზღვრი-დან გარეკა.

ამ დროს იმერეთში მოკლეს კოსტანტინე. გი-ორგი გადავიდა ჯარით და მორჩილებაში. მოიყვანა.

\*\*) ამას მოწმობს მწერალი მექობი.

იმერეთი. ამავე დროს დამორჩილდებიან გიორგის და დიანი (მამია), გურიელი, შარვაშიძე და სვანეთი. აქედან გაეშურა გიორგი სამცხეს და კლარჯეთს იქაურ საქმეების მოსაწყობად. ბოლოს ერთხელ კი დე შემოვლო არეზის ნაპირები და გაწმინდა საზღვრები არა-სასურველ თათრებისგან. გაბრაზდა მაჰმადიანობა: შეკრბა ყველა მეზობელი მაჰმადიანობა და ქვიშაზე უმრავლეს ჯარით წამოვიდა გიორგიზე. შემოვიდა ქართლში მტერი: მას მიეგება გიორგი. ამ საშინელ ბრძოლაში, მართალია, გიორგიმ გაიმარჯვა, მაგრამ თვითონაც ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა: ჭრილობისგან გადაიცვალა.\*).

### სლექსანდრე გრაფგის-ძე (1413—1442).

ზარ განხდილი ერი, მიმობნეული ტამერლანის დროდან, ჯერ კიდე მტკიცედ ვერ დაბინავებულა თავის ალაგს, თუმცა გიორგიმ თავი შესწირა ქვეყანას.

მთელი ოცი წელიწადი მოანდომა ალექსადრემ გაემხნევინებინა სულით და გულით ქართველობა, რომ ფეხზე წამომდგარიყო და თავისუფლად ამოესუნთქა. გაუწყნარებლად დადიოდა ერთ კუთხიდან მეორეში, შეეტყო გაჭირვება და ხელი მიეწვდინა. ყოველ საერისთავოში მოგზაურობდა და წესებს ამ ყარებდა. განაახლა და ალადგინა გავერანებული სოფლები, ქალაქები და ეკლესიები, რომელნიც კი მი-

\*) დასაფლავებულია. მცხეთას.

წასთან იყო გასწორებული; მან განაახლა მცხეთა,  
რუისი.

რადგან ეკლესიას მონგოლების და სპარსების  
გამო შემოერია უწესობა, ამიტომ მან მოახდინა  
კრება, რომელმაც გაწმინდა ეკლესია ღვარძლისგან  
და მის ნაცვლად შემოიტანა კანონიერი წეს-რიგი \*).

ალექსანდრეს დროს ატყდა ომი სამეგრელოს  
და აფხაზეთს შეუა. ალექსანდრე გადავიდა ჯარით,  
დაამშვიდა ირივე და დაბრუნდა უკან. გურიელი და  
სვანეთის ერისთავი ფიქრობდენ განდგომას, მაგრამ  
ბოლოს იძულებული შეიქნენ, ისინიც დამორჩილე-  
ბოდენ ალექსანდრეს: მეფემ დაადგინა იმერეთში  
ერისთავად დიმიტრი, დავით ნარინის სახლთაგანი.  
მარტო გამედიდურებული და გაზვიადებული სამცხის  
ათაბაგი იოანე არ იხრიდა თავს, უარ-ყოფდა მის  
მორჩილებას. ამან ალექსანდრე ააღელვა: ამიტომ  
შემოიკრიბა ჯარი (1414 წ.), გადვიდა, შეებრძოლა,  
დაამარცხა ათაბაგი კოხტის-თავს (1415 წ.), თვითონ  
ათაბაგი დაატყვევა და სამცხე კი შემოიერთა.\*\*) ამ  
დროს შემოდიან სამხრეთით იდუმალ თურქები ლო-  
რეში და დაიჭირენ მას (1430 წ.). ალექსანდრე

\*) მის დროს იყო (1439) კრება ფლორენციაში სარ-  
წეუნოების შეერთების შესახებ, სადაც დაესწრო ქართველი  
მიტროპოლიტი სოფრონიოსი.

\*\*) მალე ისევ განათავისუფლა ალექსანდრემ იოანე  
ტყვეობისგან და: სამცხეც დაუბრუნა მხოლოდ ფუც ქვეშ, რომ  
უროგული იქნებოდა.

(1431 წ.) შეებრძოლება მათ, წაართმევს ისევ ლო-  
რეს და განდევნის.

განდგენ განძელები, შირვანელები და დარუ-  
ბანდელები (1437 წ.). ჩაიჭრა ალექსანდრე განძას,  
დაამარცხა განძელები და მოხარკე გახადა. ეს რომ-  
ნახეს დარუბანდელებმა და შირვანელებმა, თვითონ  
გამოცხადდენ ალექსანდრესთან, დამორჩილდენ და  
და ხარკი მოსცეს.

ასე კეთილად იბრძოდა ქვეყნისთვის ალექ-  
სანდრე, მაგრამ ბოლო მაინც ვერ გაატანა: გაჰყო  
სამეფო სამართლი მისცა უფროსს. შვილს ვახ-  
ტანგს, იმერეთი შუათანას — დიმიტრის და უმცროსს  
— გიორგის — კახეთი. თვითონ შემონაზონდა და  
იწოდა ათანასედ. დასაფლავებულია მცხეთას მისგან-  
ვე ჩრდილოეთით მიშენებულ ეკვდერში, რომელიც  
დღეს მოშლილია.

### გიორგი VIII (1445—1469) ალექსანდრეს-ძე\*)

გიორგის მეფობის დროს შინაურ განხეთჭი-  
ლებამ უფრო გაშალა ფრთა: ყვარუვარე, რომელიც  
წინააღმდეგი იყო გიორგის, წაეჩეუბა თავის. ძმას  
სამცხელ ათაბაგს აღბუღას იმიტომ, რომ აღბუღა მე-  
ფის მომხრე და ქვეყნის ერთიანობის მიმდევარი იყო.

\*) მისი უფროსი ძმა ვახტანგი IV (1442—1445) და-  
ხაფლავებულია ბანას თავის მეუღლესთან სითო: ხათუნთან, რო-  
მელიც იყო ფანასკერტელ ციციშვილის ასული.

გაიმართა ოში ქმებს შუა და ყვარყვარებ სძლია; დამარ-  
ცხებულმა აღბულამ მომართა გიორგის შემწეობისთვის.  
გიორგიმ გაგზავნა ჯარი ყვარყვარეს დასასჯელად,  
მაგრამ, სანამ ჯარი სამცხეში ავიდოდა, გამოცხადდა  
ყვარყვარე მეფესთან და თავისი დანაშაული მის წინ  
აღიარა. მეფემ ათაბაგად დაადგინა ისევ აღბულა \*) და  
ყვარყვარე თავისთან დაკავა. ამის შემდეგ ყვარყვა-  
რე იღუმალ კიდე უფრო ცდილობდა თავის მიზანს  
მიღწეოდა.

ოსმალთ. ამ დროს ერთობ მისუსტებული იყო  
ბიზანტია: მას გარ შემო ერტყა მურად II, ოსმალების  
ხონთქარი. ვინ არიან ეს ოსმალობები? ისინი არიან  
მონგოლის ტომთაგანი თურქები. ისინი პირველად  
მოსახლობდენ კასპიის ზღვის და აღტაის მთებს შუა.  
აქედან შეესიენ (XI ს.) მცირე — აზიას და იქ დაბი-  
ნავდენ. უფრო გაძლიერდენ თურქები მათ ხონთქ-  
რის ოსმანის (1299—1326) დროს. ამ ოსმანის-  
განვე დაერქვა თურქების სამფლობელოს ოსმალთ,  
ოსმალეთი. პირველად ევროპაში ფეხი შემოდგა ოს-  
მანის შვილი-შვილმა მურად I, დამკვიდრდა ადრია-  
ნოპოლიში (1361 წ.) და ეს ქალაქი თავის სატახტო  
ქალაქად გამოაცხადა. მურად II დროს ბიზანტია  
შეიცავდა კოსტანტინეპოლის, მორეას, აქაიას და ლეს-  
ბოსს, დანარჩენი კი ოსმალების ხელში იყო. 1453

\*) აღბულამ დასწერა სამართლის წიგნი, რომელსაც ვეტ-  
ყვით: „აღბულას კანონს“.

წელს 29 მაისს 300 ათასი ჯარის კაცი შემოარტყა  
გარშემო კოსტანტინეპოლის ზარბაზნებით მურადმა  
და, საშინელ ომის შემდეგ, ქალაქი აიღო და თვით  
იმპერატორი კოსტანტინე ამში მოიკლა. 1462 წ.  
ე. ი. ათის წლის შემდეგ დაამხვეს ასმალებმა ტრა-  
პიზონის იმპერია \*).

იმერეთის განდგომა. ამ განსაცდელის დროს  
საქართველო გაერთიანებაზე არ ფიქრობს. ყველა პი-  
რად ინტერესით სარგებლობს. აღმულას შემდეგ \*\*)  
ათაბაგად არის სამცხეში ყვარყვარე. სწორედ ამ დროს  
განუდგა საქართველოს იმერეთი: ყვარყვარე ათაბაგის  
რჩევით იმერლებმა აღიარეს მეფედ ბაგრატ ერისთავი.  
ამას ეხმარებოდენ დადიანი, გურიელი, შარვაშიძე,  
გელოვანი. რატომ? იმიტომ რომ ყველას აღუთქვა  
დამოუკიდებლობა და შემწეობა, თუ გიორგის წი-  
ნააღმდეგი იქნებოდენ. ამ გვარივე იმედი ჰქონდა  
ყვარყვარეს იმერეთისგან და დანარჩენ მთავრებისგან.  
ეს რომ გიორგიმ შეიტყო, გადავიდა ჯარით იმე-  
რეთში და შეებძოლა ბაგრატს ჩხარის მახლობლად,  
ჩიხორს. ამ ბრძოლამ დაარწმუნა ყველა, რომ ქვე-  
ყანა უნდა გამსკდარიყო, გახეთქილიყო, დაყოფი-  
ლიყო: გიორგი დამარცხდა ჩიხორს 1462 წელს. ამ  
გვარად ბაგრატ აღიარებული იქნა ბაგრატ II და იმე-  
რეთის მეფედ. იმავე წელს გაჩნდა იმერეთში კიდე

\*) მაშინ აქ მეფობდა დავითი.

\*\*) (+ 1451 წ.).

ოთხი სამთავრო, თუმცა ჯერ კიდე სამთავროები მაინც ნომინალურად (ძალა-უნებურად) იმერეთის მეფეს ემორჩილებიან. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ყვარცვარესაც: ისიც განუდგა მეფეს. მეფე გაეშურა ჯარით (1463 წ.) სამცხეს. აქ, ფანავარის-ტბის პირას, დადგა გიორგი, რომელიც კინალამ მოკლეს შეთქმულებმა, რომ ითამ ზედგინიძეს არ ეხსნა. ყვარცვარეს ეხმარებოდენ ამ საქმეში თავისი მოკავშირეები.— ეს ომი იყო უბედური გიორგისთვის: მიუხტა ყვარცვარე უგრძნეულად დაამარცხა მეფე, ტყვედ ჩაიგდო ხელში (1465 წ.) და, სანამ დამოუკიდებლობა არ მისცა, არ განათავისუფლა \*.

განვითარეთ განვითარეთ. როცა გიორგი ტყვედ იყო სამცხეს ყვარცვარესთან, ბაგრატი გადმოვიდა ლიხის მთაზე, ჩაიგდო ხელში ქართლი და მერე კახეთშიაც აპირებდა შესვლას. შემთხვევით, რასაკვირველია, კახელებმაც ისარგებლეს: ალექსანდრე მეფის შვილის ლიმიტრის შვილი დავითი გაამეფეს და უწოდეს დავით I. ყვარცვარემ ურჩია გიორგი მეფეს: მომეც დამოუკიდებლობა და მოგეხმარები ქართლ-კახეთის დაჲყრობაშია. მეფე იძულებული შეიქნა მიეცა დამოუკიდებლობა. მაშინ ყვარცვარემ მოსცა გიორ-

\*) სამცხის განთავისუფლებამდე იყვენ ჯაყელის სახლისგან შემდევი ათაბაგები: სარგისი I (+1285), ბეჭა I (+1306), სარგის II (+1334), ყვარცვარე I (+1361, ბეჭა II (+1391), იოანე (+1444), აღმულა I (+1451), ყვარცვარე II (+1466).

გის ჯარებიც. გიორგი გაეშურა კახეთისკენ. შეშინდა კახეთის მეფე დავითი და ლილიში ავიდა. ამ გარე-მოებამ ბაგრატიც დააფიქრა და დაბრუნდა უკან იმე-რეთში. მართალია, ქართლი და კახეთი დამორჩილდა გიორგის, მაგრამ დროებით. ამის შემდეგ გიორგი გაეშურა შირვანს, შევიდა ყაბალას, დაიმორჩილა, და-ხარკა და მობრუნდა ქართლში.

გიორგი გადაიცვალა 1469 წ. მაშინ ჩამოვიდა ლილეთიდან დავითი I, ეკურთხა ბოლბეში (1469 წ.) და დაჯდა კახეთის მეფედ.

ამგვარად, ამ დროდან იწყება ქართლის, იმე-რეთის, კახეთის და სამცხის ცხოვრება ცალკე. და-ნარჩენი სამთავროები ჯერ კიდე ემორჩილებიან ნომინალურად (ძალა-უნებურად) იმერეთს. ამ დრო-დან ქვეყანამ თანდათან დაკარგა შემაერთებელი იდეა, მთელი საქართველო ერთი ყოფილიყო, და მის ნაცვლად გაბატონდა კერძო პირადი ინტერესი. ამ უბედურებამ გამოიწვია თავის მხრით ქვეყნის დასუ-სტება და დაქსაქსვა როგორც კერძოდ, ისე საერ-თოდ: აღარავის საქართველოს რიდი და პატივის ცემა აღარ ქონდა: აღმოსავლეთისკენ ნავარდობდა, ჩვენი მიზეზის გამო, სპარსეთი და დასავლეთისკენ — ისმალო. ორივე ეს მოსისხლე მტერი ცდილობდა მეფეებს და მთავრებს შეა ჩამოეგდო განუწყვეტელი შური და მტრობა, რომ მით უფრო თავისუფლად ემოქმედნათ თვითოვეულ კუთხეში, და ისიც — ჩვენი-ვე ჯაშუშების შემწეობით. ამ უბედურებას მოჰყვა

ეკლესიის გათიშვაც: 1426 წლიდან საქართველოში ვხედავთ ორ კათალიკოსს: ერთია მცხეთაში და მეორე — ბიჭვინტაში. ამ წელს იერუსალიმის და ანტიოქიის პატრიარქი მიხაილი იყო ქუთაისში, სადაც მეფის ბაგრატის (1455—1478) სურვილით და დადიან — გურიელ — შარვაშიძის თანხმობით დაადგინეს ბედიის მთავარ ეპისკოპოსი იოვაკიმე პატრიარქად იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთში.

ამგვარადვე მოწყდა მცხეთას ზემო-ქართლიც: 1592 წლამდის სამცხის მიტროპოლიტს აწყურში ნიშნავდა მცხეთის კათალიკოსი, ამ წლიდან კი — ანტიოქიის პატრიარქი; ეპისკოპოსებს აკურთხებს სამცხეში ამ წლიდან მაწყვერელი და არა მცხეთის კათალიკოსი.

აგრევე მოიქცა კახეთის ეკლესიაც: ალავერდს და ემორჩილა კახეთის დანარჩენი ეპარქიები ე. ი. ალავერდელი აკურთხევდა ეპისკოპოსებს კახეთის-თვის და არა — მცხეთის კათალიკოსი. მხოლოდ ალავერდელს კი აკურთხევდა მცხეთის კათალიკოსი.

ასე და ამ გვარად, ამდროდან თვითონეული კუთხე თავის ფარგალს იქეთ აღარ იხედება და, თუ იხედება, იმიტომ, რომ ყველა მტრად ეჩვენება, ყველას მტრად თვლის და თვითონაც საპასუხოდ ემზადება. ასე თანდათან დაწვერილმანდა და დაიქსაქსა საქეეყნო ინტერესი. ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, მეგრელი, სვანი ისე უცემერიან ერთმანეთს,

თითქმ ისინი ძმები არ იყვენ, თითქმ თვითოვეული მათგანი ერთმანეთისთვის უცხო იყო, როგორც სპარსელი ან ოსმალი.

გაყოფის შემდეგ არიან მეფეებად:

**ქართლში:** კოსტანტინე III გიორგისძე (1469—1505).

**ქახეთში:** დავით I დიმიტრისძე\*) (1466—1471).

**იმერეთში:** ბაგრატ II დიმიტრისძე (1455—1478).

დაღვა საშინელი ხანა: ძმა ძმის მტერი შეიქნა: ქართლის მეფეს უნდა კახეთი შეიერთოს; იმერეთის სას სურს ქართლი დაიჭიროს. ასე ერთმანეთის მტრობაში არიან, როდესაც გადაიცვალა კახეთის მეფე დავითი და მის მაგიერ ტახტზე ავიდა მისი შვილი გიორგი I (1471—1492). ამ გიორგიმ და იმერეთის მეფემ ბაგრატ II დასდვეს პირობა დაიმორჩილონ ქართლი და შუაში გაიყონ. გიორგიმ, რომ უფრო მოიდგას ფეხი კახეთში, შემოიტანა შემდეგი ცვლილება: დასცვალა ყველა ძველი ერისთავები და მათ მაგიერ თავის მომხრეები დანიშნა. გააშენა და გააშვენა გრემი. მოსპონ ხმარებიდან „ჰერეთი“ და იწოდა „კახეთის მეფედ“\*\*). იმერეთის მეფემ, ჯერ დაიმორჩილა დადიანი და მერე წამოვიდა ქართლში. ქართლის მეფე კოსტანტინე დამორჩილდა მას

\*) რომელიც იყო ვახტანგის (1442—1445) ძმა.

\*\*) გიორგი ველარ მოეხმარა ბაგრატ II-ს ქართლის დამორჩილებაში, რაღვან მას ამ დროს შემოვსა იაკუბ-ხანი და აიღო საგურამო და მარტყოფი. გიორგის რომ ტახტი არ დაეკარგა, სრული მორჩილება განუცხადა ყევნს უზუნ-ასანს.

უბრძოლველად. მაგრამ, როცა დაბრუნდა უკან რაჭით, გზაში გარდაიცვალა (1478 წ.) და ტახტი დარჩა მის შვილს ალექსაქნდრე II (1478—1510). ალექსანდრეს აღარ ემორჩილება დადიანი; დადიანს მიბაძეს გურიელმა, შარვაშიძემ და გელოვანმა. ამით ისარგებლა კოსტანტინემ, გადავლო ლიხის მთა და დაიპყრა იმერეთი. დანარჩენ სამთავროებმა თვითონ იცნეს კოსტანტინე თავის მეფედ. შეშინებული ალექსანდრე მთაში მიიმალა. აქედან კოსტანტინე ავიდა სამცხეში და ისიც დაიმორჩილა. დამარცხბული ათაბაგი გაიქცა. კოსტანტინემ გაამაგრა სამცხეში ციხეები, შიგ ჯარი შეაყენა და თვითონ ისევ ქართლში შემობრუნდა მეორე წელს კიდე მოხდა არეულობა იმერეთში. მეფე უნდა გადასულიყო ჯარით, მაგრამ ამ დროს ისარგებლა შემთხვევით მანუჩარ ათაბაგმა და ისევ განუდგა. მეფე რომ სამცხეში შევიდა, ათაბაგი წინ მოეგება ჯარით. დამარცხდა მეფე და დაბრუნდა (1483 წ.) უკან. ეს რომ იმერეთის მეფემ ალექსანდრემ შეიტყო, მეორედ აიღო ქუთაისი და დაიპყრა იმერეთი. სამცხეს დამარცხებული კოსტანტინე გადაიჭრა იმერეთისკენ, დაიმორჩილა იმერეთი, აიღო ქუთაისი და იწყო მისი მაგრება. კოსტანტინე რომ იმერეთს იპყრობდა, შემოესია ქართლს და სამცხეს იაკუბ-ხანი; გამოვლო და აიღო დმანისი და ქვეშისხევი (1486 წ.). ორი წლის შემდეგ მოვიდა ხალილბეგ, ყენისგან გამოგზავნილი სარდალი, რომელმაც ჩამოვლო ზემო-ქართლი ომით, აიღო და მოადგა ტფი-

ლისს (1485 წ.). დიდი ბრძოლა გაიმართა აქ მტერსა-  
და ქართველებს შორის (თავი ისახელის ქაიხოსრო  
ციციშვილმა, ჯავახ ჯავახიშვილმა და ბარათაშვილმა).  
მეფემ რომ ეს შეიტყო, გამოეშურა იმერეთიდან.  
შეშინებულმა თატრებმა პირი იბრუნეს და გაიქცენ,  
მაგრამ მისწვდენ ყუმისის ბოლოს ქართველები, შე-  
უკრეს გზა (ციციშვილმა და ბარათაშვილმა) და სულ  
ერთიანად ამოულიტეს.

კოსტანტინეს გადმოსვლისათანავე ისევ გამეფ-  
ლა იმერეთში ალექსანდრე.

ისევ შემოუსია ყაენშა სპარსელები ქართლს (1486 წ.).

მეფემ შემწეობა სთხოვა კახეთს და სამცხეს,  
მაგრამ ისინი არ შოეშველენ. მაშინ მან იწყო  
ქვეყნის მაგრება. სპარსელები მოვიდენ კოჯორს.  
აიღეს კოჯორის ციხე და მოადგენ ტფილისს. მეფე  
რყო ნიჩბისში: ტფილისიდან თათრის რაზმები გაი-  
ფანტენ, მოედვენ ქართლს და იწყეს რბევა. (შეებრ-  
ძოლენ მტერს ბარათაშვილი სულხან, ქაიხოსრო ცი-  
ციშვილი, ქაიხოსრო თურმანიძე, ქაიხოსრო ჯავახი  
და სოლალაშვილები). ეს რომ მეფემ შეიტყო, გა-  
მოესწრაფა ჯარით. შეებრძოლა და განდევნა. მათ  
შიაყოლეს სპარსელების შეორე რაზმი, რომელიც  
ტფილისთან იდგა მის ასაღებად. რაკი სპარსელები  
მოიშორეს თავიდან, ცოტათი ამოისუნთქეს.

ამ დროს კოსტანტინეშ მოახდინა კრება გაფან-  
ტულ ნაწილების შეერთების შესახებ, მაგრამ დიდე-  
ბულებმა არ ურჩიეს: ვინადგან იმერნი, კახნი და

სამცხელნი მტკიცედ ერთგულებენ თავის ბატონსაო, ვაცადოთ, იქნება დრომ მოიტანოს და მაშინ ვიფიქროთო.—ამაზე შედგა მეფე.

გაძლიერდა ოსმალეთი, ამ დროს სამცხეში ბატონობს მზეჭაბუკ \*) ათაბაგი. მზეჭაბუკის დროს, 1500 წ., ოსმალომ წაართვა გურიელს ჭანეთი და აჭარა. შეშინებული ათაბაგი მზეჭაბუკი მივიდა და მორჩილება გამოუწხადა ოსმალოს. ამისთვის ოსმალომ აჭარა და ჭანეთი მას დაუმტკიცა და ათაბაგადაც იცნო. აქედან ოსმალო შევიდა იმერეთში, აიღო ქუთაისი, გაცარუვა, დასწვა გელთთი და დაბრუნდა უკან. ბაგრატ მეფე შეშინდა და მთაში მიიმალა. მეორე მხრით გაძლიერდა სპარსეთიც: შახისმაილმა დაიპყრა ბალხი, ბუხარა, ქობული, ადრიბეგანი. შემოვიდა ჩვენში (დავით VIII კოსტანტინესძის დროს), აიღო შირვანი და მოადგა ტფილისს. აიღო ქალაქი და ციხე. ციხეში თავისი მცველები შეაყენა; ეკლესიები და ხატები სიონის შეურაცხყო და ავლაბრის ხიდთან ციხის პირდაპირ ააშენა მაჰმადიანებისთვის პირველი მიზგითა; მოსწვა, მოარბია ჭვეყანა და წავიდა. შაჰ ისმაილი გადაიცვალა 1523 წელს. დაჯდა მის წილ ყევნად შაჰ-თამაზ. სანამ შაჰ-თამაზი გაყენდებოდა, იმერეთი\*\*), ქართლი\*\*\*). და

\*) ქაიხოსროს შვილი.

\*\*) ალექსანდრე II ბაგრატისძე (1478—1510).

\*\*\*) დავით VIII კოსტანტინე (1505—1525).

კახეთი \*) ერთშანეთს პროტესტანტულ მართვას და-  
ვის პირად ინტერესების გამო. ეხლა კი, როდესაც  
ჩერქეზები, რომ სამხრეთ-დასავლეთიდან აჭუხებდა ქვე-  
ყანას ოსმალეთი და აღმოსავლეთ-სამხრეთიდან სპარ-  
ხეთი, შეკრბენ სამივე მეფე.

ქართლის გიორგი IX კახატიანტიშვილი (1525  
— 1534).

კახეთის მეფე ლევან I (1520 — 1574).

და იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510 — 1548).

ამათ შეკრეს პირობა, ერთად იომონ საერთო  
შტრის წინააღმდეგ. ამათვე მიემხრო სამცხის ათა-  
ბაგი ყვარყვარე IV; შავრამ ერთობ გაძლიერებულმა  
ოსმალობ მაინც ხელში ჩაიგდო. ჭოროხის ხეობა  
(1526 წ.). ამის შემდეგ გადმოინაცელა ოსმალობ  
და სპარსეთის წინააღმდეგ წამოვიდა ჩვენში, სადაც  
სპარსელების გავლენის გაძლიერებას ვერ ითმენდა.  
შეიბერ სასიკვდილოდ ორივე გაშმაგებული, თუ  
ვის უნდა კუთვნებოდა ჩვენი ქვეყანა. დამარცხდა  
სპარსეთი: ოსმალობ (სულეიმან ხონთქარმა) აიღო  
ერევანი 1529 წელს. ოსმალოს სურს, სრულიად  
ამოკვეთოს ჩვენში სპარსეთის გავლენა და, ვითომ  
მეგობრობით, იწვევს ქართველებს იერუსალიმში,  
ჩაიბარონ წმინდა აღგილები, რომელნიც ძველიად  
მათ სჭერიათ. მართლაც დაიჭირეს ეს აღგილები  
ამავე წელს. ამით უნდა ოსმალოს ქართველების გული  
მიიბიროს და სპარსეთს ჩამოაშოროს.

\*) ალექსანდრე I (1492 — 1511) გიორგის-ძე.

ოსმალოს ბატონობას ქართლში და კახეთში სპარსეთი ვერ შეურიგდა და ასტყდა. საშინელი ომი მათ შუა: ხან ერთი ერეოდა, ხან — მეორე. ბოლოს შეჯერდენ და გაჰყვეს საქართველო ორ დიდ ნაწილად: ქართლ-კახეთში დამკვიდრდა სპარსეთის (შაჰისმაილ) გავლენა, დასავლეთ-საქართველოში — ოსმალეთის (სულტან სულეიმან). ეს უბედური წელიწადი იყო 1556 წ. ამ დროს მეფობენ:

ქართლში. ლუარსაბ I (1534—1558) დავით VIII-ძე  
ქახეთში. ლევან I (1520—1574) გიორგის-ძე\*)  
იმერეთში. გიორგი II (1548—1581) ბაგრატ III-ძე.

ოდიშში მთავრობს ლევან დადიანი, გურიაში — როსტომ გურიელი და სამცხეში — ყვარყვარე IV.

ყველა დამორჩილდა თავის ბედს, მაგრამ ლუარსაბ I არც ერთის ბატონობა უნდოდა და არც მეორის: მან შეკრა ზავი კახეთთან; გაამაგრა ციხეები და ელოდა მტერს. ათაბაგიც ემხრობოდა მეფეს. გაბრიაზებული სპარსეთის ყეენი შაჰ-თამაზი წამოვიდა ურიცხვ ჯარით ქართლზე. გადმოიარა სამცხე, თრიალეთი და მოადგა ბირთვისის ციხეს. დიდ ბრძოლის შემდეგ აიღო ციხე და შემოვიდა შიდა — ქართლშია: აიღო გორი, წედისის — ციხე, ვერის — ციხე და ატენის — ციხე (ყველა ატენის ხეობაშია). ამას არ დააჯერა ქვეყანა: 30 ათასი ქართველი ტყვედ წარყვანა.

\*) ეს გიორგია ავ-გიორგი II, რომელმაც მოკლა თავის მამა ალექსანდრე I და თვითონ გამეფდა.

და სპარსეთში გაგზავნა. თამაზმა წასვლის დროს განჯაში დატევა ბეგლარბეგად შაჰ-ვერდი და უბრძანა ქართლის ციხეების დაცვა და მცხოვრებლების თვალყურის გდება, რომ არაფერი გაებედნათ მის წინააღმდეგ. ამისთვის ციხეების მახლობლიად იყო დაბინავებული სპარსელების რამდენიმე რაზმი. არ მიაქცია ამას ყურადღება ლუარსაბმა, შემოიკრიბა ჯარი, ეკვეთა ქართლში მყოფ სპარსელებს, დაამარცხა და განდევნა\*). ამ გარემოებამ გამოალაშქრა შაჰ-ვერდი ქართლზე (1557 წ.). ლუარსაბი დახვდა მტერს „ვარხუნაში“ (აღბულახთან არის და ეწოდებოდა ძველად „ვერხუნალი“) და ისეთი დაამარცხა, რომ ძლივს თავს უშველა შაჰ-ვერდიმ. ამ ოშშივე დაიჭრა ლუარსაბი და ჭრილობისგან გადაიცვალა (1557 წ.). დასაფლავებულია „სვეტი-ცხოველში“.

### სიმთხ ლუარსაბის-ძე (1558—1600).

ლუარსაბის შემდეგ ქართლის ტახტზე ავიდა ოცის წლის სიმონი, რომელიც იყო მამასავით გამბედავი, მხნე, მამაცი და დამოუკიდებლობის მოყვარული. მამამ სიკეთე უყო ქართლს მით, რომ თავის საზღვრიდან გააძევა სპარსელები, სიმონი კი ციხეებიდან უპირებს გაგდებას: შემოიკრიბა ჯარი, მიიჭრა გორის ციხესთან შეებრძოლა მტერს, დაამარ-

\*). ამავე დროს (1547 წ.) ლევანმა გაიმარჯვა შირვანის მმართველზე ასან-ბეგზე, რომელიც იყო იქ დატევებული იმის-თვის, რომ იქედან ერბია კახეთი.

ცხა და გააგდო გორიდან. 1559 წ. სიმონმა შეირთო  
კახეთის მეფის ლევან I ასული ნესტან-დარეჯან და  
(1561 წ.) სთხოვა სიმამრს შემწეობა სპარსეთის წი-  
ნააღმდეგ ტფილისის და მის ციხეების აღების დროს,  
მეფე რომ ამ მზადებაში იყო, უეცრად დაეცა მას, ძე-  
გვში მყოფს, შავერდი ბეგლარბეგი ჯარით აღდგომა  
დღეს. ცხარე ომის შემდეგ მეფე იძულებული შეიქნა  
უკან დაწეული იყო; გამაგრდა გორში. აქ მოხდა ერთი  
გარემოება, რომელმაც ძალიან დააბრკოლა სიმონი.  
საზოგადოდ ყველაზე მეტი გაჭირვება აუგა საქართვე-  
ლოს სამხრეთ ნაწილს; ამიტომ ამ ნაწილის დიდებუ-  
ლები და ერისთავები მუდამ მშვიდობიანობის ნატვრაში  
იყვენ, მაგრამ ვერ ახერხებდენ. ეხლა მათ შემთხვევაშ  
ნება მისუა: შეიკრიბენ საქართველოს სამხრეთის  
დიდებულები, მიიბირეს მეფის ძმა დავითი და, ცი-  
ხე-დიდის ომის შემდეგ, გაეშურენ ყაზვინს შავ-  
თამაზთან მორჩილების გამოსაცხადებლად. გასაოც-  
რად მიიღეს სტუმრები ყაზვინს მასპინძლებმა. ამ პა-  
ტივის ცემამ ისე მოხიბლა სტუმარი ქართველობა,  
რომ ყველამ მაჭმადიანობა მიიღო. აღტაცებაში იყო  
შავ-თამაზ. ამ მოულოდნელ შემთხვევის გამო დი-  
დად დაასაჩუქრა ყველა, მისუა დავითს (მაჭმადიანო-  
ბაში დაუთხანი) ქართლის მეფობა და გამოისტუმრა  
ჯარით \*) ჩვენსკენ. შემოვიდა დავითი ტფილისში

\*) ჯარს სპარსელები ამ შემთხვევაში მიტომ ატანდენ  
მეფეებს, რომ მით თავისი თავიც დაეცვათ და სპარსეთის გავ-  
ლენაც ჩვენში.

და მეფედ ლაჯდა (1566 წ.). დავითს დაემორჩილა ტფილისი და სამხრეთი, დანარჩენი კი სიმონის მხარეზე იყო. მართალია, დავითი ქართლის და ტფილისის ბატონი შეიქნა ყევნის ბრძანებით, მაგრამ ტფილისის ციხეს მცველად მაინც კიდე დაინიშნა სპარსელთაგანი ხანი, რომლის დაუკითხავად დავითს არაფერი არ შეეძლო. სიმონმა მაინც კიდე თავისი არ დაიშალა: შეკრიბა ჯარი და დიღომში დაბანაკდა, რომ იქედან იერიშით მივიდეს ტფილისზე და აიღოს. დავითიც მიეგება სპარსელების ჯარით დიღომს, ეკვეთენ ერთმანეთს ძმები (1567 წ.). იძლია დავითი და გაიჭია მეორედაც დაამარცხა სიმონმა დავითი და მოადგა ტფილისს, მაგრამ მისი აღება გაუჭირდა. დავითის თხოვნით სპარსეთმა ახალი ჯარი მიაშველა მას. სიმონმა რომ ეს ნახა, მოშორდა ტფილისს და სამადლოზე ავიდა (კოჯრის გადაღმა). მიეგება დავითი სამადლოზე, მაგრამ აქაც დამარცხდა. ამ დამარცხების შემდეგ სამჯერ მივიდა იერიშით ტფილისზე სიმონი, მაგრამ ვერას ლონის ძებით ვერ აიღო და გაბრუნდა გორს. ეს გარემოება დავითმა ყევნს აცნობა. გაბრაზდა ამისგამო ყევნი და თავის საბრძანებლიდან გამოვზავნა (1569 წ.) ძლიერი ჯარი დავითის მოსაშველებლად. ჯარი დაბანაკდა ხუნანთან და გზის უკოდინარობის გამო, არ იცოდა რა ექნა. ამდროს გამოცხადდა დავითთან კახაბერ ყორლანა შვილი და გზის ჩვენებას დაპირდა. მას გამოყვენ სპარსელები და ფარცხისთან მოვიდენ. აქ მიეგება მტერს

სიმონი და ატყდა საშინელი ქლეტა. გამწარებულ ბრძოლაში სიმონს იარაღი დაელეწა და ტყველ ჩა- უვარდა ხელში სპარსელებს. დატყვევებული მეფე გაუგზავნეს ყეენს. ქართლში დარჩა მეფელ დავითი (დაუთ-ხან). ყეენმა ბევრი ურჩია სიმონს მიეღო მაჰ- მადიანობა, მაგრამ მან სრული უარი განუცხადა და ამიტომაც ყეენის ბრძანებით გაგზავნილ იქმნა ალა- მუტის ციხეში, სადაც დარჩა შაჰ-თამაზის სიკვდი- ლამდე (1576).

1577 წ. დაჯდა სპარსეთის ტახტზე თამაზის შვილი ხუდაბენდი, „ბრძა და საქმის ვერ მცოდნე“, რომელიც ერთობ კარგად ეპყრობოდა ქართველებს როგორც ჩვენში, ისე სპარსეთში. ხუდაბენდიმ გა- მოიყვანა ციხიდან სიმონი, დიდი პატივი სუა და ქართლში დაბრუნება დაპირდა. ეს რომ დავითმა გაიგო, ოსმალოს მიმართა და მორჩილება განუცხადა.

ხონთქარს ეს გარემოება მეტად ესიამოვნა და გამოვზავნა ჯარი ლალა-ფაშის სარდლობით (1578 წ.) სპარსეთის წინაღმდეგ. ოსმალოს დედა მიზანი იყო, სპარსეთი დაესუსტებინა, თუ აღმოსავლეთისკენ ბა- ტონობას ისურვებდა. ლალა-ფაშას ბრძანება ქონდა, სრულად დაეპყრა საქართველო. წამოსული ლალა- ფაშა, შევიდა სპარსეთში, დაამარცხა საგრძნობლად მეტოქე პირველ შეტაკებაში, მაგრამ მეორედ ქურ- თისტანში იძლია ლალა და პირი ზემო-ქართლისკენ იბრუნა. აქ ყვარყვარე და მისი ძმა მანუჩარი თავის ნებით დამორჩილდენ ოსმალოს. ლალა-ფაშა სამ-

ცხედან გამოეშურა ტფილისისკენ; აიღო დმანისი, სამშვილლე, ტფილისი, გორი; ჩაიგდო ხელში მთელი ქართლი და კახეთი, აქედან მიყვა და შირვანიც თავის მფლობელობის ქვეშ მოიგდო. ამგვარად აღმოსავლეთ საქართველოშიაც გაბატონდა ოსმალო. ამ გარემოებამ აიძულა სიმონი მიეღო მაჰმადინობა გარეგნობით, ოღონდ თავის ქვეყნისთვის რამე ეშველა. ხუდაბენდსაც ეს უნდოდა: აუსრულა თხოვნა, რაკი მიზანს მიაღწია და გამოგზავნა სიმონი და ყველა სხვა ქართველი ტყვე სპარსეთიდან (1578 წ.). ეს რომ დავითმა გაიგო, თავის ნებით დაუთმო ლალა-ფაშას ყველა ციხეები და გაეშურა ხონთქართან, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

დაბრუნებული სიმონი შეუდგა თავის საქმეს: უნდოდა თავიდან ლალა-ფაშა მოეშორებინა: უშოვა კიდეც დრო, ეკვეთა და დაამარცხა. დამარცხებული ლალა გაეშურა სამცხისკენ. სიმონმა აიღო გორის ციხე და ლორის ციხე და შიგ თავისი ჯარი შეაყენა, შოლალატეები კი ყველა დასაჯა.

სიმონის მტერი იყო, სხვათა შორის, კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574—1605) ლევანისძე, რომელმაც, რაკი ქართლი ხელში ვერ ჩაიგდო, ბეზლობას მიყო ხელი. ბეზლობამ გასჭრა: სპარსეთმა ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა სიმონს, მაგრამ, რაღვან ჯერ სხვაგან ჰქონდა საქმე, მისთვის არ ეცალა. ყევნს უნდოდა დაებრუნებინა შირვანი და ამიტომაც მოიხმეს განჯაში სიმონიც და ალექსანდრეც. ორივე და-

აფიცეს სპარსეთის ერთგულებაზე, დაადვეს ხარკი და მძევლად ორივეს მრთხოვეს შვილები. სიმონი იძუ-  
ლებული იყო (როგორც აღექსანდრეც) მიეცა მძევ-  
ლად თავის 12 წლებს ლუარსაბი.

ეს ის ხანაა, როდესაც (1581 წ.) ხონთქარი  
გზავნის ჯარს ქართლის ციხეების დასაპყრობლად და  
ტფილისის გარნიზონის მჩსაშველებლად. დაიპყრეს  
კიდეც: ლორის ციხეც და შორის ციხეც. გორიდან  
რომ ტფილისისკენ მოდიოდენ ასმალები, დახვდა  
სიმონი მუხრანში, დამარცხა და გააჭია. აქედან  
სიმონი გამოეშურა ტფილისისკენ და იღო ტფი-  
ლისი და მისი ციხე (1583).

ეხლა ასმალომ გამოგზავნა თავისი ჯარი ფე-  
რად-ფაშის სარდლობით. ფერად შემოვიდა ქართლში  
და დაბანაკდა ხატის-სოფელში (ბოლნისთან არის  
ახლო). აქ შეებრძოლა სიმონი მტერს და დაამარცხა  
(1584 წ.).

სიმონს ჰქონდა სახეში შემოეერთებინა იშერეთი,  
გურია და სამეგრელო, რამდენჯერმე დაიპყრა კი-  
დეც, მაგრამ ფხო ვერ მოიდგა და ბოლოს ს. ოფშ-  
ქვითთან დამჯრუებული დაბრუნდა უკან (1590 წ.).

მევის დამარცხება რომ გაიგეს ასმალებმა ლო-  
რუს-ციხეში, გამოვიდენ და დაიწყეს ქართლის რბევა.  
მეფე მიეგება მათ ტაშირის ველზე დაამარცხა და  
ციხეც აიღო. დარჩად შხოლოდ ხელში ასმალებს  
გორის ციხე. სიმონი აქაც მიეჭრა მათ დაამარცხა  
და აიღო ციხე (1599 წელს).

ეს ოომ მოჰამედ ხონთქარმა შეიტყო, ხელახლად გამოგზავნა ჯარი და ამირ-სპასალარი ჯაფარ-ფაშა (12 ათას კაცით). სიმონი დაბანაკდა საღირაშენში, ოსმალო — ნახიდურში. სამრ დღე უცდიდენ ერთმანეთს, ვის უნდა დაეწყო ომი. არ მოუთმინა სიმონს სულმა. გავიდა აფის კაცით იდუმალ მტრის დასაზვერავად, მაგრამ იცნეს და გამოუდგენ. გზაში ცხენილიაში ჩაეფლა და დაატყვევეს (1600 წ.). დატყვევებული მეფე ჯაფარმა მაშინვე ხონთქართან გაგზავნა კოსტანტინეპოლში, საღაც მალე გადაიცვალა.\*).

სიმონი იყო მეტად მამაცი მეომარი, უშიშარი და სიცოცხლით სავსე, მაგრამ მას არ შეეძლო იმ მიზნის მიღწევა, რომელსაც ემსახურებოდა. რატომ? მას ყავდა მტერი სპარსეთი და ოსმალო და ამას გარდა შინ ყველა მეფეებთან და მთავრებთან უკმაყოფილოდ იყო.

ამ მდგომარეობაში იყო ქვეყანა, როდესაც ავიდა სპარსეთის ტახტზე შაჰ-აბას I დიდი (1585—1628). აბასს ვერც კი წარმოედგინა, რომ შაჰ-ისმაილის და ხუდაბენდის დროს ოსმალოს ასეთი გავლენა მოეპოვებინა ქართლ-კახეთში. ამიტომ, როცა აღმოა სავლეთისკენ საქმეებს მორჩა, შემობრუნდა ოსმალეთისკენ და შეებრძოლა მას: უნდა გადამწყდარიყო, რომელს უნდა ჰქონოდა ბატონობა ჩვენში.

\*) დასაფლავებულია მცხეთაში. ოსმალები მას „დელის“ (გიუს) ეძახდენ.

ამ დროს მეფობენ:

ქართლშა გიორგი X (1600—1605) სიმონისძე.

ქახეთში ალექსანდრე II ლევან II-ძე (1574—1605).

იმერეთში ლევან გიორგი II-ძე (1581—1590) და როსტომ კოსტანტინეს-ძე (1590—1605).

აბასმა დაიბარა ქართლის და კახეთის მეფეები და გამოუცხადა მათ, ოსმალეთის წინააღმდეგ ეომნათ თავის ჯარით სპარსელებთან ერთად. ამის მიხედვით კახეთში გამგედ დანიშნა ყენმა ალექსანდრეს შვილი დავით. შეერთებულმა ჯარებმა აიღეს (1602) თავრიზი და ნახჭევანი. ამის შემდეგ (1603 წ.) მიადგენ ერევანს და პირველად ქალაქში შეიჭრა ქართველების ავანგარდი. მეფეები, რასაკვირველია, ამ თავ გამეტებისთვის სიკეთეს და მაღლობას მოელოდენ ყენმასგან, მაგრამ მოტყუვდენ: მაღლობის ნაცვლად ყენმა გიორგის ჩამოართვა ლორე და ალექსანდრეს — კახი. არც ერთს არ უნდოდა დაეთმო, მაგრამ ძალმომრეობას რას უქდენ. მაინც კახეთის მეფე ალექსანდრე მიიქცა რუსეთისკენ და ითხოვა ბორის გოდუნოვისგან მფარველობა და შემწეობა. იგივე ითხოვა გიორგიმაც. (ამ დროსვე მოხდა შემდეგი: რუსეთის მეფისგან მოვიდენ ტატიშჩევი და ივანოვი. გოდუნოვი ითხოვდა გიორგისგან, მიეცა მისი ასული ელენე თეოდორესთვის და აგრეთვე გიორგის ძმისწულს ქახხოსჩოს შეერთო ბორისის ქალი ქსენია. მაგრამ გარემოება შეიცვალა: ბორისი მოკვდა და ეს პლანები დაირღვა). ყენს არაფერი ეს არ გამოპარვია და ამი-

ტომაც შეუდგა რუსეთის მომხრეების დასჯას და გაწყვეტას. კახეთის გამგებ, დაუით ალექსანდრესძემ, ყევნის ჩამონა გებით შეიპყრა თავისი ძმა გიორგი და მოხუცებული მამა და თორლას ციხეში დაამწყვდია. სხვა მოწინაღმდეგე ჭოეთის (ხორნაბუჯი) ციხიდან გადმოყარა. ასე გამეფდა კახეთში ეს ულირსი და მრიხხან კაცი.

დავითს ყავდა მეუღლედ მუხრან ბატონის ქალი ქეთევან, რომლისგან მიეცა მას თეიმურაზი. როცა დავითი მოკვდა (1603 წ.), მისი შვილი თეიმურაზი სპარსეთს გაგზავნეს მეფობის მისაღებად. ყევნთანვე იყო ამ დროს სპარსეთში კახეთის მეფის ალექსანდრეს შვილი გამაჰმადიანებული კოსტანტინე. ყევნმა მისცა მას მეფობა და გამოგზავნა ჯარით კახეთს; თან განაზრახა: მამა (ალექსანდრე) და ძმა გიორგი მოეკლა და თვითონ დასაკუთრებოდა კახეთს. კოსტანტინე ჩამოვიდა კახეთს, მიიწვია მამა და ძმა და ორივე მოაკლევინა. ეს საზიზლარი საქმე რომ ჩაიღინა, წინადადება მისცა ქეთევანს, მას გაყოლოდა ცოლად. ქეთევანმა, რასაკვირველია, უარი განუცხადა ზიზლით. მისმა საზიზლარმა წინადადებამ მეტად ააღელვა კახელები: აჯანყდენ და მეფედ დასვეს ქეთევანი. შემოიკრიბა ქეთევანმა ჯარი; მოიშველა ქართლის მეფე გიორგი ციხესტანის, დაამარცხეს და მოკლეს (1605). ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ყევნს, რომელმაც მაინც კახელების თხოვნით კახეთის ტახტზე გამოგზავნა ძალა-უნებურად თეიმურაზი.

ამ გვარად ქახეთის ტახტზე ავიდა 13 წლის  
თეომურაზ I დავითისძე (1605—1663).

ყევნმა უჩჩია ქართლის მეფეს გიორგი X მიეღო  
მაჭმალიანობა, თუ უნდოდა ქართლის მეფობა. შერჩე-  
ნოდა ხელში, მაგრამ გიორგიმ უარი განაცხადა მაჭმა-  
ლიანობაზე. ამიტომ ყევნის ბრძანებით გიორგი მო-  
წამლულ იქნა და მის მაგიერ ქართლის ტახტზე  
ავიდა ლუარსაბ II გიორგი X-ე (1605—1616 წ.).

ამერეთის ტახტზე ზის ამდროს გიორგი III  
(1605—1639) კოსტანტინესძე (როსტომ მეფის ძმა).  
ამ ხანაში ჯერჯერობით ქვეყანა დაწყნარებულია.  
ამიტომ ყველამ შინაგან განკარგებას მიყო ხელი.  
იმერეთის მეფემ მიაქცია ყურადღება დაცემულ ზე-  
ობის გასწორებას: მის დროს ყიდდენ ტყვედ ქალს  
და ვაჟს განურჩევლად. ოსმალოს გავლენამაც მრა-  
ვალ-ცოლიანობა შემოიტანა და ამან ერთობ გარუცნა  
ხალხი. გიორგიმ მოახდინა კრება, რომელზედაც  
დაესწრო მცხეთის კათალიკოსი მალაქია და აფხაზე-  
თის—ევლემონ. ამ კრებამ დაადგინა წესები, რომ-  
ლის წინააღმდეგი სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

ქართლში ამ დროს სხვა ამბავია: აბასი დაემო-  
ყვრა ქართველობას: შეირთო ლუარსაბის და თინა-  
თინი. დაქორწინების შემდეგ ყევნმა გაილაშქრა  
შირვანის დასაპყრობლად (1607 წ.) და თეიმურაზიც  
თან მიიწვია. ქეთევანი შეშინდა შვილის დაბარე-  
ბაზე და თვითონ ეახლა ქართველთ ჯარით. აბასის  
შირვანში ყოფნის დროს, მანუჩარ ათაბაგს დაესხა

ოსმალოს ჯარი და აუკინა ქვეყანა. მანუჩარი სთხოვს შემწეობას აბასს; აბასი მისცემს. ათაბაგმა ამ ჯარით და თავისით ერთად დაამარცხა უსუფ-ფაშა და თან ახალციხეც დაიჭირა. გაბრაზდა ოსმალო და უფრო მეტი ჯარი გამოგზავნა მანუჩარის წინააღმდეგ. მანუჩარმა კიდე სთხოვა შემწეობა უეენსაც და ლუარსაბსაც. ამ ომშიაც გაიმარჯვა მანუჩარმა, მაგრამ ოსმალომ მაინც არ მოისვენა: უბრძანა ფერად-ფაშას დაერბია ქართლი, მოყოლებული თრიალეთი-დან. ამანაც ბრძანება აუსრულა.

თათარების შემოსევა 1609 წ.

აპარა ხონთქარმა ბალდადს რომ გაილაშქრა, შემწეობა სთხოვა ყირიმის ხანს სელამათ-გირეის. სელამათმა მიაშველა მას 30 ათასი კაცი. ხონთქარმა ბალდადი აიღო. ბალდადის აღების შემდეგ სელამათი დაბრუნდა უკან და, ფერად-ფაშის შეგონებით, განიზრახა ქართლზე გავლა და ისე მისვლა ყირიმში. რასაკვირველია, გავლის დროს ქართლი უნდა აეკლო სელამათ-გირეის. ამ დროს ხანთან არის უსუფ-ფაშაც. როგორც კი ლუარსაბმა ეს შეიტყო, მაშინვე გაგზავნა იარალი, გზები ჩაეხერგათ და ეყარაულნათ, არ შემოსულიყო მტერი. თვითონ შეფე ამ დროს ცხირეთს იყო: საუბედუროდ იარალს ჩასძინებოდა. ამ დროს წაწყდებიან თავს თათრები და დახოცენ. აქედან დაქანდენ თათრები მანგლისისკენ, დასწვეს მანგლისი 6

და მოვიდენ კველთას. იქ ნახეს თედორე მღვდელი, რომელსაც უთხრეს, ეჩვენ ებინა მათთვის ლუარსაბის ბინა. თევდორემ ატარა თათრები გოსთიბის თავზე, გაიყვანა ქვენანდრის გზაზე და მეფეს კი ააშორა, თათრებმა რომ ეს გაუგეს, მოკლეს.

ჩამოვიდა თათრობა ერთა-წმინდას და ახალქა-ლაქს. მხოლოდ მაშინ დაინახა მეფემ ცხირეთიდან მტერი და მსწრაფლ გიორგი სააკაძე და ზაზა ციცი-შვილი გაგზავნა ჯარების შესაკრებად. ქართველები დაუხვდენ მტერს ნიაბის ბოლოს სხერთი-ჭალას და შეებრძოლენ. გაცხარებულ ომის და ხმლის ტრიალის დროს მიიჭრა შევარდენივით ზაზა ციციშვილი, ჰერა ხმალი ფაშას, მოკვეთა თავი, დაიჭირა წვერებით კბილებში, კაფვით გამოვიდა თათრის რაზმიდან და მოართვა მეფეს. ეს ისე უეცრად და მსწრაფლ მოხდა, რომ თათრებს თავზარი დაეკა. ამან ისეთი გავლენა იქონია მათზე, რომ მაშინვე აირივნენ და გაიჭენ. გაქცეულები დაეშვენ გორისკენ. აქ მათ გორელებმა ხილი აუშალეს. მაშინ თათრები იძულებული შეიქნენ, ისევ საციციანოში მიეცათ თავი. ბრბონას რომ მივიდენ, გადვეს მტკვარზე ხილი, გავიდენ მარცხენა ნაპირზე და დადგენ ტაშის-კარის ბოლოს. დაედევნენ მათ უკან მეფე და მისი ჯარი. ახალდაბას რომ მივიდენ, ხილი აღარ დახვდათ: ადრ-დებულ მტკვარს წაელო. არც მრისხანე მტკვარს შეუშინდენ ქართველები: გადაცვიდენ აღელვებულ მტკვარში, გასცურეს მეორე ნაპირზე და დილით

ადრე დაეცენ მტრის რაზმს. დამარცხდენ თათრები (1609 წ., ივნისი) და თავს უშველეს. აქედან გად-  
ვიდენ გამარჯვებულები სამცხეს, გააგდეს იქედანაც  
ოსმალები და სამცხის ციხეები ხელში ჩაიგდეს.

სანამ თეიმურაზი ყმაწვილი იყო, (17 წლის  
იყო), კახეთს განაგებდა ქეთევანი. თუმცა ყევნი ამ  
დღოს არ აწუხებდა კახეთს, მაგრამ მაინც არ მოსა-  
წონდა, რომ ქვეყანას ასეთის ენერგიით და ჭკურ  
სავსე აღამიანი მართავდა. ამიტომაც იხმარა ვერაგობა  
აბასმა: თეიმურაზს მოსუკუდა იმ ხანში ცოლი. ყევნმა  
დიდი სამძიმარი შემოუთვალა და თან სთხოვა ხლე-  
ბოდა მას, რომ მწუხარების შემდეგ გართობილიყო  
შასთან. თეიმურაზიც წავიდა. ყევნმა მოინდომა შუ-  
რი დაეთესა დედასა და შვილს შუა, რომ ამით კა-  
ხეთის ძალა დაესუსტებინა. აბასმა ჩააგონა თეიმუ-  
რაზი, რომ მისი სარდალი ქაიხოსრო ამანიშვილი  
ქეთევანის შერთვას აპირებსო. — ამასთანავე ურჩია  
თავის მახლობელი ნათესავი, ლუარსაბის და (ხორე-  
შან), შეერთო ცოლად და ამგვარად მისი ქვისლი  
გამხდარიყო. თეიმურაზმა ჯერ უარი გამოაცხადა,  
მაგრამ, რომ არა გამოვიდარა, დათანხმდა. ამ უკა-  
ნონო ჯვარის წერით (ნათესავი იყო), ყევნს, რასაცვირ-  
ველია, უნდოდა, თეიმურაზს პატივისცემა დაკარგოდა  
ხალხში, რადგან თეიმურაზის ეს საქციელი სარწმუ-  
ნოების და ზნეობის დამცემი იქნებოდა. ჩამოვიდა  
თუარა თეიმურაზი, შეირთო ლუარსაბის და და თან  
ქაიხოსროს შურის ძიებას შეუდგა. შემთხვევამაც ნება

მისცა. ამ დროს კახეთს დაეცენ ლეკები. მეფემ გაგზავნა ქაიხოსრო ჯარით. შეებრძოლა ქაიხოსრო მტერს. და დაამარცხა. რომ უფრო მეტი შიშის ზარი დაეცა. მათვის, ქაიხოსრომ მოითხოვა ბუკი. ეს გარემოება მეფეს აუხსნეს მტრებმა ისე, რომ ვითომ ქაიხოსრო მეფის ღირსების მითვისებას ცდილობდეს. ამიტომ დაიბარა მეფემ თავისი სარდალი და ღალატით მოაკვლევინა. ეს მდგომარეობაა კახეთში, როდესაც ლუარსაბმა, თათარხანების ომის შემდეგ, შეირთო გიორგი სააკაძის და და ჯვარი დაიწერა „ქვათახევში“.

გიორგი სააკაძე. გიორგი სააკაძე იყო ერთი ღარიბ აზნაურთაგანი. ოცის წლის იქნებოდა, მეფეს რომ დაუახლოვდა და მეტად შეაყვარა თავი თავის ღირსებით: ის იყო მეტად მამაცი, მხნე, ჰაეროვანი, გონიერი, მაგრამ ცბიერი. მეფემ ჩაბარა მას ტფილისის, გორის და ცხინვალის მოურავობა.\* ) მის დაზე რომ ლუარსაბმა ჯვარი დაიწერა, აყაყანდენ დიდებულები და უფრო — ქალები; თავიანთ თავს შეურაცხყოფილად თვლიდენ, რომ უბრალო ქალთაგანი შეიქნა მათი დედოფალი. ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ როგორც დიდებულები, ისე მათი ცოლები, რამნაირად განქორწინება მოეხდინათ და მეფისთვის.

\*.) თავადობის ხარისხი მიიღეს სააკაძეებმა (1503 წ.) გიორგი X მეფის დროს და იწოდებოდენ მოურავებად. შეასმა 1622 წ. დაუმტკიცა გიორგის „თარხნობა“.

შხვა შეერთოთ, ამ საქმეში მოწადინებული იყო მეფის მამა-მძევებელი შალიმან ბარათაშვილი. ბოლოს დიდიბულების თხოვნა-შეგონებამ გასჭრა და მეფე და-თანხდა. ყველამ იცოდა, რომ ამ საშინელს და უშვერს საქციელს, სააკაძე მეფეს არ შეარჩენდა, არ დაუთმობდა და ამიტომ ურჩიეს კიდევ მისი მოკვლა, რადგან, მათის აზრით, შესაძლებელი იყო, მეფეს ცუდს რასმე შეამოხვევდა. მეფემაც გადაწყვიტა, მხოლოდ საჭირო იყო მისი შესრულება. ესეც აღვი-ლად მოახერხეს. მეფემ მისწერა წავკისილან გი-ორგის (1612 წ.), სანადიროდ მოვდივარ ყარაიასში და მოდიო.

გიორგი, თუმცა ფრთხილად იყო, შაგრამ ამგვარ დალატს მაინც ვერ წარმოიდგენდა, და ამიტომ ეახლა მეფეს. გაიმართა ნადიმი. ყველა შეზარბოშებული იყო და თავიანთ სახლებში გაეშურენ. გიორგიც თავის სახლშია. ამ დროს გზავნიან კაცებს გიორგის მოსა-კლავად, მაგრამ, სანამ ისინი გაგზავნიდენ კაცებს სააკა-ძესთან მოსაკლავად, კახაბერ ხერხეულიძემ აცნობა გიორგის მეფის განზრახვა. გიორგი გახდილი იყო. უცებ წამოვარდა ახალუხის ამარა შემოირტყა ახა-ლუხზე ხმალი, მოახტა თავის ცხენს უბელოდ და გასწია უძოსკენ. \*) გამოუდევნ მდევრები უკან. სააკაძემ ურჩია ყველას უკან დაბრუნებულიყვენ და მისთვის თავი დაენებებინათ. იმათაც ხელი უშვეს.

\*) შეტყობინებისთვის ხერხეულიძეს ცხვირი მოსჭრეს.

მოურავი მოვიდა სამადლოს. აქედან გადავიდა დიდ-  
გორს და დაეშვა წოსტეს ცოლ-შვილთან. აყარა-  
ხახლობა, აიყვანა ტყეში და მიიმალა. იმავე ლამეს  
მოაწყდა მეფის ჯარი ნოსტეს: ეგონათ, მოურავი იქ  
იქნებოდა, მაგრამ შესცდენ. მდევრებმა დასწვეს და  
გაიტაცეს, რაც რამ ებადა მოურავს. ამ დროს მოუ-  
რავი ზემოდან დასცეკეროდა მწუხარე ცრემლით, მის-  
სასახლეს რომ აღიოდა. მოურავმა იმავე ლამეს  
გადაწყვიტა წასულიყო თავის სიმამრთან ნუგზარარი-  
გვის ერისთავთან. ამიტომ ჩუმად ჩამოგზავნა ტყიდან  
კაცები; ამათ მოპარეს მარბევლებს 7 ცხენი. ამავე  
დროს მისმა ერთგულთაგანმა პაპუნა ჩივაძემ წავკი-  
სიდან მოართვა მას მისი იარალი, რომელიც არეუ-  
ლობის დროს, მდევარი რომ დაადევნეს საკაძეს წავ-  
კისში, მოეპარა. მეორე დღეს ლამით მოურავი თე-  
ლოვანს მოვიდა. აქ ისევ ტყეში დაიმალა. მესამე  
დღეს მივიდა კარსანს. აქედან გაგზავნა კაცები მცხე-  
თას ხილის დასათვალიერებლად. შეიტყეს, რომ ხილზე  
მცველები დგანან და უცდიან მის გასვლის. მაშინ  
გიორგიმ განიწირა თავი: გადაგდო ცხენი აღელოჭე-  
ბულ მტკვარში სახლობით და მშვიდობით გასცურა-  
მცხეთის პირდაპირ და გასწია დუშეთს სიმამრთან.  
ეს რომ ლუარსაბმა შეიტყო, მოსთხოვა ერისთავში.  
მოეცა საკაძე. ნუგზარმა კარგად იცოდა, ამას რაც  
მოყვებოდა და ორივე, სიძე-სიმამრი, სახლობით გაე-  
შურენ ყენთან, რომ შემწეობა ეთხოვათ მისგან, თუ  
მეფე მათ ცუდ რამეს შეახვედრებდა. წავიდენ, გადა-

იარეს საგურამშა, ლილო, ლოჭინის ხევი; ყურყუთას რომ აპირებდა გასვლას ფონით, შეხედა მოურავმა, მისდევს მას ვიღაც კოლოტაური, რომელსაც უნდოდა „ცოცხლად“ დაეჭირა მოურავი და მეფისთვის წარედგნა. მოუბრუნდა მოურავი, შეებრძოლა, ჩამოაგდო ცხენიდან დიგლიგით (შუბის ბოლო) და ცემით გულ შეწუხებული იქ დააგდო, არ მოკლა კი. აქედან გორგი და ნუგზარი მივიდენ აღჯა-ყალას ყაზახის სულ-თანთან. ცოლ-შეილი აქ დასტევა და სიძე-სიმამრი გამოცხადდენ ყეენთან, რომელიც იმ დროს შემახიაში იყო. ყეენს იაშა მათი მისვლა და ორივე თან გაიყოლა, შემახითან რომ დაბრუნდა ყეენი, ნუგზარი დასაჩუქრებული სახლში დაითხოვა და გიორგი კი იქ დაიტევა.

რომ გიორგის სიტყვას მეტი ძალა და გავლენა ქონოდა ყეენის თვალში, გამაჰმადიანდა კიდეც და ამით ყეენისგან უფრო კიდე მეტი ყურადღება დაიმსახურა:

შაპ-აბასის დიდი სურვილი ქონდა, ქართლი და კახეთი დაეპყრა, მაგრამ ისე, რომ სხვისი ხელით ეგლიჯა ნარი: უნდოდა შიგ ქვეყანაში ჩამოეედო განხეთქილება, დაეთესა შური და მის შემწეობით აღვილად გაეწყო თავისი საქმე; ამიტომაც მოსწერა ყაზახის ხანს: მოპკალ ლუარსაბი და თავი აქ გამომიგზავნეო. უგივე მოსწერა ლუარსაბს: მოპკალ ყაზახის ხანი და თავი აქ გამომიგზავნეო. ყეენი ფიქრობდა, იქნება ხანმა მოასწროს და მოკლას ლუარ-

საბიო, მაგრამ შესცდა: დაასწრო ლუარსაბმა, მო-  
კლა ხანი და თავი ყენეს გაუგზავნა.— ეს ცბიე-  
რობა ბოლოს გამომუღავნდა და ერთობ დაფიქრდენ  
ლუარსაბიც და თეიმურაზიც. ამ ამბის შემდეგ მეფეები  
იძულებული შეიქნენ, უფრო მჭიდროდ შეეკრათ  
ერთმანეთთან კავშირი და საერთო მტერს ერთად  
გამკლავებოდენ.— რაკი ამ ხერხმა არ გაქრა. აბასი  
ეხლა სხვა ვერაგობას დაადგა: მოსწერა ლუარსაბ მე-  
ფეს საიდუმლოდ, მოჰკალ თეიმურაზიო და მე შემ-  
წეობას მოგცემო. ამასვე სწერდა თეიმურაზს. ამ გვა-  
რივე უკმაყოფილება უნდოდა ჩამოეგდო მეფეებს და  
თავად-აზნაურებს შუა. უკანასკნელებს ურჩევდა. და  
უძაგებდა მეფეებს და დიდ წყალობას პირდებოდა  
დიდებულებს, თუ მისი ერთგულები იქნებოდენ. ამ  
გვარმა მისმა საქციელმა ბევრი თავად-აზნაურთაგანი  
მოინალირა და ყენისკენ გადიბირა; კინალამ მეფეებიც  
გადაკიდა ერთმანეთს, მაგრამ ადრე მიხვდენ დიდებუ-  
ლები ყენის ცბიერ მოქმედებას და ურჩიეს მეფეებს  
შერიგებულიყვნენ და შერიგდენ კიდეც.

ამ ხანაში საკაძე ყენის დიდი დაახლოებული  
და ერთგული ყმა შეიქნა. გიორგი მუდამ აქეზებდა  
ყენს მეფეების წინალმდევ. მან ჩააგონა კიდეც ყე-  
ნი, რომ, ვითომ ლუარსაბმა რომ ცოლად მას თი-  
ნათინი მიათხოვა იმაზე უფრო ლამაზია ხორეშან,  
რომელიც ეხლა თეიმურაზს ჰყავს ცოლად. ყენმა  
იშვება საბაბი და მოსწერა ლუარსაბს, გაეგზავნა მის-  
თვის ხორეშან. ორჯერ მოსწერა ყენმა მეფეს მაგ-

რამ პასუხი არ მიუღია. ეს საკმაო საბუთი იყო აბა-  
სისთვის; გამოლაშქრებულიყო.

1614 წ. ყენი მოვიდა ყარაბაღს, გაჩერდა გან-  
ჯაში და შემოუთვალი თეიმურაზს: ოსმალოზე მივ-  
ღივარ საომრად და მძევლად შენი შვილი გამომიგ-  
ზავნე, რომ არ მიღალატებო.. თეიმურაზს არ უნდოდა  
ყენის სურვილს დაყოლოდა, მაგრამ კახელებმა ურ-  
ჩიეს, უსათუოდ გაეგზავნა. თეიმურაზი დათანხმდა და  
ძალა-უნებურად უმცროსი შვილი ალექსანდრე გა-  
უგზავნა და თან გააყოლა თავისი დედა ქეთევან,  
რომელსაც აახლო ნოდარ ჯორჯაძე. ყენმა მოიმი-  
ზეზა: მე ხომ ძიძა არავარ, უსუსურს რომ მიგზავნიო:  
გამომიგზავნე უფროსი შვილიო. ქეთევანი იწერებოდა,  
არ გამოგზავნო, ცუდს რასმე შეამთხვევენო. არც  
მამას უნდოდა გაგზავნა, მაგრამ აქაც კახელების რჩე-  
ვამ გასჭრა და თეიმურაზი ეხლაც იძულებული შე-  
იქნა უფროსი შვილი ლევანიც გაეგზავნა. ლევანს  
გააყოლა მეფემ დავით ასლანიშვილი. ბებია და ორი  
შვილი-შვილი რომ ხელში იგდო ყენი, ეხლა  
თვითონ თეიმურაზი მიიწვია: ვცანი შენი ერთგუ-  
ლება და მოდი ყველაფრით აგავსოო. ეხლა კი  
ყველა მიხვდა, რას ნიშნავდა ყენის მიპატიუება.  
თეიმურაზი, რასაკვირველია, აღარ წავიდა.

გაბრაზებულმა ყენმა ქეთევანი და მისი შვილი-  
შვილები შირაზში გაგზავნა\*). ეხლა უფრო თავისუფ-

\*) აქ ქეთევანი აწამეს 1624 წ. მისი შვილი-შვილილები  
დღაასაკურისეს 1620 წ.

ლად გაშალა ფრთა ყევნმა: გარბიან და გამორბიან  
მისი აგენტები ქართლ-კახეთში და ხალხს აგონებენ,  
რომ, ვითომ ყევნს მისთვის არაფერი ცუდი არ სურს,  
მხოლოდ მეფეების წინაღმდეგია: ამ გარემოებამ კიდევ  
უფრო გაამტკიცა მეფეების კავშირი.— ამ უბედურ  
წამის დროს ულალატეს ლუარსაბს დიდებულებმა:  
ნუგზარ ერისთავმა, ქსნის ერისთავმა იესემ, ანდუ-  
ყაფარ ამილახვარმა, ფეშანგ ფალავანდიშვილმა და ალა-  
თანგ ხერხეულიძემ: წავიდენ ყევნის ბანაკში და მორჩი-  
ლება განუცხადეს. მეფეებმა მაშინვე გახიზნეს მცხოვ-  
რებლები, რადგან იკოდენ, რაც მოელოდა მათ. ამი-  
ტომაც გაამაგრეს ციხეები და მოემზადენ საომრად-  
ყენმა გადაწყიტა ქართლ-კახეთში შემოსულიყო, რად-  
გან მაშინ ხალხი მთაში, სიცივის გამო, ვერ წავი-  
დოდა დასახიზნავად და ქვეყანასაც ამიტომ უფრო  
აღვილად ჩაიგდებდა ხელში.

### შიდგენი შემოსევა 1615 წელს.

ყევნი შევიდა კახეთში დეკემბერში და ისე იქ-  
ცეოდა, როგორც, ვითომ, მამა: ყველას საჩუქრებს  
აძლევდა და ტკბილ სიტყვით ეგებებოდა. შეპყრობილ  
მწყემსებსაც კი ხალათს აძლევდა და გაუშვებდა: უნ-  
დოდა ამით ხალხის გული მოეგო. კახელებმა რომ  
ეს ნახეს, მიატევეს თეიმურაზი და ყევნს მიენდვენ.  
თეიმურაზმა შეატყო, რომ ეხლა იქ მისი დარჩენა

აღარ შეიძლებოდა და წავიდა ქართლს ლუარსაბთან  
უალეთით. აქ უეცრად ყეენისგან გაგზავნილ ჯარს  
წაწყდა. შეებრძოლა თავ გამეტებით თეიმურაზი  
სპარსელებს თავის პატარა რაზმით, დაამარცხა, გააქცია  
და თვითონ მშვიდობით მივიდა ლუარსაბთან. აქ მოხდა  
თათბირი, რომ შეერთებულის ძალით შეძრძოლებო-  
დენ ყეენს, მაგრამ, რაღაც კახელებმა ამაზე უარი გა-  
ნუცხადეს, მეფეები იმერეთში გადავიდენ გიორგი მე-  
ფე ფესთან. კახეთის მეფედ ყეენმა დანიშნა თეიმურაზის  
ბიძაშვილი იესე \*) (მაჰმადიანობაში ისახან) 1615 წ.  
ამის შემდეგ გასცა ყეენმა ბრძანება: გამოსულიყო  
მიმალული ერი მთებიდან, ტყეებიდან და ციხეებიდან.  
ყეენი სიტყვას აძლევდა, რომ ის მათ არ ერჩოდა,  
თუ მორჩილებას განუცხადებდენ. მხოლოდ მათ დასა-  
ჯიდა ყეენი, ვინც მისი წინაღმდეგი გახდებოდა. ბევრ  
წყალობას პირდებოდა აგრეთვე თავად-აზნაურობას,  
თუ ის გამოცხადდებოდა მასთან და მორჩილებას  
აღიარებდა. ამ აღთქმამ ბევრი მოხიბლა და არც  
ყეენმა მოატყუა. ამ ვერაგულმა ქცევამ ქართლის და-  
ტახეთის ძალა გათიშა. მაინც შეებრძოლა ქართვე-  
ლობა უმრავლეს მტერს, თუმცა ამაოდ: ბევრი ქარ-  
თველობა გაწყდა ამ ბრძოლის დროს; ბევრი ეკლე-  
სია, სოფელი და ქალაქი აოხრდა და დაიწვა სპარ-  
სელებისგან. გრემის ეკლესიაში თვითონ აბასმა გა-

\*) რომელიც პატარაობითვე პარსეთში იზრდებოდა.  
იქნეს ყეენმა მთავარ-ვეზირად დაუნიშნა ნოღარ ჯორჯაძე და  
დავით ასლანიშვილი.

მოაცხადა ამბიონიდან მაჰმადის სჯული. გრემში შე-  
იტყო ყევნმა აგრეთვე, რომ თორლის ციხეში გამა-  
გრებულან კახელები და არ უნდათ იცნონ მეფედ  
ისეს (ისახან). ყევნმა გაგზავნა ერთი რაზმი თორ-  
ლას. თორლის აღების შემდეგ ხელში ჩაიგდეს სპარ-  
სელებმა მთელი კახეთი. აქედან ყევნი ერწო თია-  
ნეთით გადავიდა ქართლზე. ვინც ურჩი ნახა ერწო  
თიანეთში, დაატყვევა. ამავე დროს ძალით 30 ათასი  
სული გამაჰმადიანა. ერწო თიანეთიდან ჩამოვიდა  
არაგვზე და აქედან გასცა ისეთივე ბრძანება ქართ-  
ლში, როგორიც კახეთში: არავის გერჩით, გამოდით  
მიმალულ ალაგებიდან და დაბინავდით თქვენს ალა-  
გებზეო. თვითონ კი ჩამოვიდა გორს. გორიდან ჰეზავ-  
ნის იმერეთში წერილებს გიორგი მეფესთან, გად-  
მოგზავნოს მეფეები. შადიმან ბარათაშვილი კი გაუ-  
გზავნა ლუარსაბს, დაბრუნებულიყო თავის ქართლში.  
იმერეთის მეფე გიორგი თავს იმით მართლულობდა,  
რომ ნათესავია და როგორ არ მივიღო. მაგრამ  
მაინც გაუგზავნა გეგუთის სასახლიდან, თათბირის  
შემდეგ, საღაც დაესწრენ ყველა მეფეები და იმერე-  
თის დიდებულები, მალაქია კათალიკოსი და ლევან  
აბაშიძე: „პატივი გვეც და დაუბრუნეთ ორივეს სა-  
კუთარი სამეფოები“. აბასი უთვლის გიორგის მო-  
ციქულების პირით: თუ გამოცხადდებიან და პირად  
ითხოვენ, თანახმა ვარო. მაგრამ თეიმურაზს მაინც  
ვერ ვენდობიო. ლუარსაბი შეცდა და გადმოვიდა.  
ყევნი მიეგება მას რუისში ცრემლით და ტირილით:

როგორ გიქ ბოროტს ახოვანს და ჩემს შვილსო. (იმავე დროს გზავნის იღუმალ კაცს (თათარს) მოკლას თეიმურაზი, მაგრამ შეუტყობენ). რუისიდან მეფე და ყეენი ჩამოვიდენ გორში, გორიდან — ტფილისში. აქ მოუვიდა ყეენს ამბავი, კახელები აჯანყდენო: იესე ბატონიშვილი, რაღვან საზიზლრად ექცევა ქრისტიანებს და ქართველობას, არ გვინდაო. კახეთის და-სამშვიდებლად გაგზავნა ყეენმა ჯარი და თვითონ ლუ-არსაბი ტფილისიდან, ვითომ სანადიროდ, ყარაიასში წაიყვანა. ყარაიასიდან გადინაცვლეს ყეენმა და მეფემ ყარაბაღისკენ. ყარაბაღიდან წავიდენ, ვითომდა კი-დევ შოსანადირებლად, მაზანდერანს. აქ მეფეს ურ-ჩია ყეენმა გამაჰმადიანებულიყო, მაგრამ მეფე არ დათანხმდა. ამიტომაც ის შეაგდეს შირაზის ციხეში \*). ქართლში კი დანიშნა ყეენმა მეფედ ბაგრატ V \*\*), დაუთხანის შვილი, რომელიც სპარსეთში ცხოვრობდა და თან შეზრდილი ჰქონდა სპარსელების ზნე-ჩვეულება და სარწმუნოება \*\*\*) (1616—1619).

### მეორე შემთხვევა ყეენის 1616 წ.

როგორც კი ყეენი სპარსეთს წავიდა, სამი თვის შემდეგ აჯანყეს ნოღარმა და დავითმა კახეთი, მოკ-

\*) ამ ციხეში მოაშთვეს ლუარსაბი საბლით 1622 წ.

\*\*) სიმონ მეფის ძმისწული.

\*\*\*) ბაგრატი შიშით ტფილისში ვერ ჩამოდიოდა: ცხოვრობდა მუდამ საბარათიანოში და ამიტომ მას საბარათიანოს ბატონს ეძახდენ.

ლეს იესე (ისახან) და კახეთის ტახტზე მოიწვიეს თეიმურაზი, თეიმურაზმა ამავე დროს ხონთქარს სთხოვა შემწეობა. ხონთქარმა მოსცა ჯარი. მეფეს მიემხრო შირვანიც. ეს რომ ყევნმა გაიგო, გამოგზავნა ჯარი, რომელიც ტფილისიდან გაეშურა არაგვზე. აქ წიწამურასთან დახვდა, მათ თეიმურაზი, შეებრძოლა, და-ამარცხა, გააქცია და 2500 სპარსელის თავი ხონთქარს გაუგზავნა.

ეს ველარ მოითმინა აბასმა: შემოიკრიბა, რაც ძალ-ლონე ჰქონდა, და თვითონ გამოეშურა საშონელის სისწრაფით: მოვიდა ტფილისს. თეიმურაზმა რომ ზღვასავით მოსული ჯარი ნახა, კახელებისვე რჩევით, იმერეთში გადავიდა. ყევნმა იესეს ადგილზე 1616 წ. დაადგინა ბატონალ ფეიქარ-ხანი და ამავე დროს ლეკებს უბრძანა: ვინც გადმოვიდეს თქვენსკენ ქართველთაგანი; უსათუოლ მოკალითო და ჩემგან წყალობას მიიღებთო. თვითონ ყევნი შეესია კახეთს: ასეთი უბედური ტლე ჯერ არ უნახავს კახეთს. სპარსელებმა დაარბიეს, დასწვეს სოფლები, ეკლესიები და ქალაქები. ამ დროდან თითქმის დაცალი-ერდა კახეთი. მემატიანე ამბობს, ტყვედ წაიყვანეს ასი ათასიო და გასწყვიტეს ამდენივეო. ყევნი დარჩა კახეთში ზამთარში 1616—1617 წ.წ. აქ შეიტყო, სხვათა შორის, ყევნმა, რომ იკრიბება ოსმალეთის ჯარი და სპარსეთს შებმას უპირებსო. ამან ცოტათი დააფრთხო ყევნი, აიყარა და წავიდა.

ამ ხანაში ჩამოდიან ლეკები იჭერენ კახეთის იმ

ნაწილს, რომელსაც ჰქვია საინგილო და მცხოვრებლებს ამავმაღიანებენ. ლეკებმა აქ აიშენეს ციხეები: ბელა-ქანი, ზაქათალა და კატეხი. როგორც კი წავიდა ყევნი, დავით ასლანის შვილი და თამაზ გაჩნაძემ დაიპურეს კახეთი. ყევნმა გამოვზავნა მათ წინააღმდეგ ჯარით ყორჩიბაშ ისახანი და გაზაფხულზე თვითონ შემოვიდა (1617 წ.) და, რაც დააკლო, ისედაც გავერანებულ კახეთს, ეხლა შეუსრულა. მოსპო კახეთში თითქმის სულის ფეთქა და დაბრუნდა. ტფილისში. მმართველად კახეთში მაინც ისევ ფეიქარ-ხანი დატევა. (ფეიქარ-ხანმა დიდი ღვაწლი დასდუა სპარსეთს; მან დასახლა კახეთში თათრის ელები ადმალოს, მუდა-ლოს, თაჭლას, გაჭეს).

იმერუთიდან თეიმურაზი გადავიდა სამცხეს. აქ მას მიუბოდა ხონთქარმა გონია, ოლთისი, არტანუჯი და ნარიმანი. 1618 წ. თეიმურაზი ისევ იმერეთში გადმოვიდა.

თეიმურაზმა გაგზავნა რუსეთში მოციქული ხარიტონ იღუმენი. მოციქული ჩავიდა მოსკოვს 1619 წელს და მოახსენა მიხაილ თეოდერეს ძეს მეფის თხოვნა: მიშვამდგომლე, შვილები და დედა გამომისხენი, ჩემი სამეფო დამიბრუნე, და შენ მფარველობის ქვეშ ვიქნებიო. ამ გვარივე თხოვნა ერთგულების და მფარველობის ითხოვეს გიორგი მეფემ, მამია გურიელმა და ლევან დადიანმა. ამნაირადვე იშუამდგომლა მოციქულმა ლუარსაბისთვის. რუსეთის მეფემ იშვამდგომლა ყევნთან, მაგრამ უკანას-

კნელმა ამისთანა პასუხი მისცა რუსეთს: თეიმურაზის დედა და შვილები ჩემთან მძევლებად არიან, რომ ისმალოს არ მიმხრობოდა, მაგრამ პირი გატეხაო. ეხლა, თუ მოვა და პირად მთხოვს, დედასაც გავუშვებ და შვილებსაც \*

1619 წ. მოკვდა ბაგრატ V და მის მაგიერ ქართლში ყენმა დანიშნა მისი შვილი სიმონი (1619—1629), (რომელსაც შერთო ყორჩიხანის ასული) და თან მზრუნველად გამოაყოლა გიორგი სააკაძე. სიმონი დაბადებიდანვე მაჰმადიანი იყო და, მაშასადამე, ყენის ერთგული ყმა.

(ამდროს მოკვდა ნუგზარ ერისთავი და არაგვის ერისთავად გახდა მისი შვილი ბაალურ. ზურაბი არ დაემორჩილა ძმას და ყაენთან წავიდა საჩივლელად. ყენმა მისცა ზურაბს ერისთავობა და გამოისტუმრა უკან. თან უბრძანა: სიმონს მოეხმარეო. მეფის დახმარებით ზურაბი გაერისთავდა. მერე ბარათა ბარათა შვილის შემწეობით ზურაბმა დაიპყრა მთიულეთი და ხევი. ეს არ მოეწონა სიმონს და ყაენთან წავიდა საჩივლელად. არ დამასწროს ყაენთან საჩივარით და ზურაბიც თან გაჰყვა).

ამ დროს მოვიდა ამბავი: კახელებმა პირი შეკრეს თეიმურაზთან სპარსელების წინააღმდეგო. ყენმა გამოგზავნა ჯარი ყორჩიხანის სარდლობით და

\*) რაკი რუსეთთან ვერას გახდა თეიმურაზი, სტამბოლში წავიდა, მაგრამ, იქაც იმედ მიღებული, დაბრუნდა ისევ გონიას:

თანაშემწუდ მისცა აქვე მყოფი გიორგი სააკაძე. ყორჩიხიხანს ჭონდა საიდუმლო ბრძანება, მოესპო ყოველი მღელვარება და სამუდამოდ დაემკვიდრებინა სპარსეთის უფლება ქართლ-კახეთში და ურჩები ან გაეწყვიტა, ან სპარსეთში გადაესახლებინა. ამ განზრახვის მიმღევარმა ყორჩიხანმა სიმონი ტფილისში დატევა და თვითონ ჯარით დაბანაკდა საფურცლეს. აქ დაიბარა კახელეთ ბი, ვითომ-და იმიტომ, რომ იმერეთზე მიღის გასა-ლაშქრებლად და მათ შემწეობას თხოულობდეს. ნამდვილ კი სხვა განზრახვა იყო. თან იმასაც ამბობდა, ვითომ ყევნისგან წყალობა და ხალათი მაქვს მათდა გადასაცემადო. ზოგი მოტყუფდა და ამისთვისაც სიკვდილის მსხვერპლი შეიქნა. ზოგმა ხრლმით გაიკაფა გზა და თავს უშველა.

### გარეჯის კლება 1622 წ.

ყორჩიხანი შეუდგა ქართლის რბევას: ერთი რაზმთაგანი მიადგა აღდგომა დილას გარეჯას უდაბნოს და, როცა ბერები ლიტანის უვლიდენ ეკლესიას გარშემო სანთლებით, დაეცნენ და სრულიად ამო-წყვიტეს\*).

ამავე დროს ლოკინოში ნადირობდა გიორგი სააკაძე. ყორჩიხანს მოდის წერილი ყევნისგან: კახეთი

\* ) ამ დროს მოაშვეს ლუარსაბი შირაზში გულაბყალას—ციხეში.

გასწყვიტე, ქართლი აჰყარე და გადმოასახლე; სააკა-  
ძესაც თავი მოსჭერ და გამომიგზავნ ეო. წერილის  
წამომღები შემთხვევით შეხვდა სააკაძეს, რომელმაც  
მას გამოართვა წერილი და წაიკითხა. მაშინ კი იკბინა  
თითზე სააკაძემ: არ ეგონა, თუ აბასი ასე გაიმეტებდა  
მას. ამიტომ ერთთავად იბრუნა პირი: მოკლა შიკრიკი  
და იქვე დაფლა; თვითონ კი შეკრიბა დიდებულები  
და მოახდინა შეთქმულობა, რომ მოესპოთ სპარსე-  
ლების ხსენება ქართლ-კახეთში. ამ შეთქმულობაში  
არ შიიწვიეს ანდუყაფარ ამილახვარი, რაღაც ის  
იყო გამაჰმადიანებული და ქვისლი სიმონ მეფის (ე.  
ი. ყავდა ცოლად ყორჩიბაშ ისახანის. ასული). ამი-  
ტომ დაიჭირეს ანდუყაფარ საფურცლეს და ცოლი-  
ანად არშის ციხეში დააპატარეს, თეიმურაზი კი  
მოიწვიეს ისევ გონიიდან და გაამეფეს 1623 წ.

გიორგი სააკაძის ჩურაბი შეიქნა თეიმუ-  
რაზის სიძე (შეირთო მისი ქალი დარეჯან). ამგვარად  
ამ სამშა პირმა გადასწყვიტეს ქვეყნის ხსნა მტარვალე-  
ბისგან. სააკაძესთან იყო მისი შვილი ავთანდილ. ესენი  
დაეცენ სპარსელებს და დაამარცხეს; თვითონ გიორგიმ  
მოკლა ყორჩიხანი და ავთანდილმა — მისი შვილი. ამის  
შემდეგ ჯარი გაიყო სამ რაზმად: ერთი გადიჭრა ახალ-  
ციხეს და აილო ციხე-ქალაქი. მეორე რაზმი ზურაბის  
სარდლობით გაეშურა კახეთს; მესამე გიორგი სააკა-  
ძის სარდლობით მოადგა ტფილისს და აილო ქალაქი,  
შხოლოდ გაუმაგრდა ციხე. მაგრამ ციხეს თავი დაანება  
გიორგიმ და გადაიჭრა კახეთში ზურაბის მისაშვე-

ლებლად, დამარცხდა ფეიქარ-ხანი და გაიქცა. ქართველებმა სდიეს ბარდამღის; მერე შემოვლეს და მოარბიეს განჯა, და ყარაბალი. ეხლა გიორგიმ სიმონ მეფეც აღარ ინდომა და მის მაგიერ ქართლის მეფედ გამოაცხადა ქაიხოსრო ვახტანგის-ძე მუხრანბატონი, რომელიც მხოლოდ სახელით იხსენებოდა, თორემ ნამდვილ კი ყველა საქმეს გიორგი განაგებდა. ამან მოთმინებიდან გამოიყვანა სპარსეთის მბრძანებელი.

მარაბდა 1624 წ. გაბრაზებულმა ყევნმა წარმოგზავნა ურიცხვი ჯარი და სარდლად უჩინა ყორჩიბაში ისახანი. ამას გარდა მოუწერა ადერბეჯანის, ერევნის, შირვანის, ყარაბალის ბეგლარბეგებს და ყაზახის ხანს, ყველა მიშველებოდა ისახანს. მტრის ჯარი გაიშალა და დაბანაკდა ალგეთის ნაპირზე. არ იყო მხოლოდ მოსული ადერბეჯანის ბეგლარ-ბეგის (შაჰ-ბენდლე-ხანის) ჯარები. ქართველების ჯარი შეკრბა ტაბახმელას. შეიქნა თათბირი, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. აზრი გაიყო. სააკაძე ამბობდა: ვინაიდგან ცოტა ვართ, ციხეებს მივენდვეთ და იქ ვიბრძოლოთ, ხალხი კი დავხიზნოთო. მამუქარ ათაბაგმა სთქვა: „ომი საზღვარს მესაზღვრესაო“ . სააკაძე ამტკიცებდა, რომ ივნისია, ძალიან ცხელა და ძნელია ქართველებისთვის ბრძოლა სიცხეშით. თან, ურჩევდა სააკაძე, ტფილისამდე მოვუშვათ და იქ დავეცეთო. სამხედრო ბჭობაში მამუქარის აზრმა სძლია. ასტყდა საშინელი ბრძოლა. ქართველებმა კარგად იცოდენ, თუ რა მოელოდა მათ

დამარცხებას და ამიტომაც განიწირეს თვეი \*). პირ-  
ველ შეტაკებაზე დამარცხდენ სპარსელები და პირი  
იბრუნეს. ქართველებმა სდიეს გატეხილ — ხილამდის.  
მაგრამ; როცა დაგვიანებულმა ადერბეჯანის ბეგლარ-  
ბეგმა გაიგო სპარსელების დამარცხება, საშინელ სის-  
წრაფით წამოვიდა. მოატანა თუ არა მარაბდას, მან  
დაინახა სპარსელების გაქცეული ჯარი, შეაჩერა და  
უკან მოაბრუნა. განახლდა ისევ ომი მარაბდას. მთელი  
მინდორი ბრძოლის ველად გადაიჭირა: ყველა სიკვდილს  
მოელოდა და ამიტომაც უშიშრად იღვენ. აქ გამოჩნ-  
დენ თავის ლომურ ვაჟკაცობით თეიმურაზ მუხრანბა-  
ტონი, სააკაძე და მამუჩარ ათაბაგი, რომელმაც შუაზე  
გაუპო თავი ერევნის ბეგლარბეგს, ისეთი დაჰკრა თავში  
ხმალი. გავარდა ხმა: მოკლეს თეიმურაზიო. ყველას  
ეგონა მეფე თეიმურაზის სიკვდილი, მაგრამ მოკლული  
კი თეიმურაზ მუხრანბატონი აღმოჩნდა. მაინც ხმამ  
არია ქართველობა. არეულობამ დააკარგვინა სასწორი  
და დამარცხდენ. (აქ მოიკლა თეიმურაზ მუხრან-ბა-  
ტონიშვილი, დავით ასლანიშვილი, ბაადურ ციცი-  
შვილი, 9 ქმა ხერხეულიძე, 9 ქმა მაჩაბელი, შვიდი  
ქმა ჩოლაყაშვილია. სულ გაწყდა ცხრა ათასი კაცი  
ამ დღეს \*\*). ქართველობამ დაიხია უკან და ციხე-  
ებს მიენდო. მტერი მოადგა ტფილისს და აიღო.

\* ) აქ იყვენ თეიმურაზ, მამუჩარ, ზურაბ, სააკაძე, დავით  
ასლანიშვილი, აღათანგ ხერხეულიძე, ბარათა ბარათაშვილი,  
იგეს ქსნის ერისთავი და თეიმურაზ მუხრანბატონი.

\*\*) დაიჭრა ზურაბ ერისთავი.

აქედან აპირებს ქართლის რბევას მტერი, მაგრამ ეს გა-  
სული ჯარი ტფილისიღან ქართლის დასარბევად ორ-  
ჯელ დაამარცხა საკუძემ. თეიმურაზი ისევ იმერეთს  
გადავიდა:

ბრძოლა ქსანზე. სპარსელებს უნდოდათ ან დუ-  
ყაფარის გამოხსნა და ეზრახენ ზურაბს. ზურაბი და-  
თანხმდა (მოყიდულ იქმნა) მხოლოდ იმ პირობით, თუ  
არაგვზე ავიდოდენ სპარსელები და ქსანზე დაეშვებო-  
დენ და მის მამულს არას ავნებდენ. ისახანმა აღუთქვა.  
ამის შემდეგ ისახანმა გაგზავნა ჯარი არაგვზე ხოსრო  
მირზას \*) უფროსობით. ჯარი შევიდა დუშეთში,  
გაიარა მთიულები და მივიდა ხევშა. არშის ციხის  
მცველებმა მოსცეს ანდუყაფარ ცოლით. ქსანზე ხო-  
სრო მირზა დაწინაურდა. უკან დარჩენ ყაზახის ხანი,  
ადერ ბევანის და შირვანის ბეგლარბეგები. ამ დროს  
ჩასაფრებულ ალაგიდან გაისმა იესჲ ერისთავის ჯარის  
თავის ხმა. იესესთან იყო ზურაბის ძმა გიორგი: გაი-  
მართა ბრძოლა. დამარცხდენ სპარსელები: შირვანის  
ბეგლარბეგი და ყაზახის ხანი ტყვედ მოყვათ ხელში  
ქართველებს და ადერბევანის ბეგლარბეგი კი გიორგი  
საკაძემ მოკლა. დაწინაურებული ხოსრო-მირზა მშვი-  
ლობით მივიდა ტფილისში და მიიყვანა ანდუყაფარ,  
სახლობით და არც კი შეუტყვია, თუ რა დაემართა  
არიერგარდს. ამის შემდეგ საკაძემ გაამაგრა ციხეები:  
კიკანაბერი, კეხვი, ალი და სურამი; გადავიდა სამ-

\*) შემდეგ როსტომ მეფე დაუთ-ხანისმე.

ცხეს ცოლ-შვილთან. ისახანმა რომ შეიტყო, მოუ-  
რავი სამცხეს წავიდათ, მოინდომა სამცხის დაბურობა.  
და სააკაძის ხელში ჩაგდება სახლობით. ჯართ მივიდა-  
ასპინძას. ამ დროს სანადიროდან დაბრუნებული ხა-  
აკაძე-დაესხმება მტერს, დაამარცხებს და გააქცევს მას.  
ამის შემდეგ მიუხტა სააკაძე იმ ციხეებს სამცხეში, რო-  
მელიც სპარსელებს ეჭირათ (ზერთვისი, ახალციხე, აწ-  
ყური), წაართვა და თავისი ჯარები შეაყენა. აქედან,  
მოციქულად გაგზავნა სააკაძემ ხონთქართან გიორგი  
ქავთარიშვილი, ჩაიბაროს სამცხის ციხეები. ხონთ-  
ქარმა მადლობა შემოუთვალია და დაიჭირა (ციხეები \*).  
ისახანი გაბრუნდა სპარსეთში. როგორც კი წავიდა-  
ისახანი სპარსეთში, თეიმურაზი გადმოვიდა კახეთში  
და ისევ გამეფდა.

განდგა ამ დროს დვალეთი, აღარ ემორჩილება.  
გიორგის გადიჭრა, დაამარცხა, ალაგმა, და-  
ხარკა და გამობრუნდა უკან. ეგევე დღე დააყენა  
სომხითის მელიქებს, რომელნიც ყენს. ერთგულო-  
ბოდენ: დაეცა სააკაძე ორგულებს, დაამარცხა, დაარ-  
ბია და თვითონ ისინი დაატუსალა. არც ქაიხოსრო  
ბარათაშვილი ემორჩილებოდა გიორგის: უფრო ყე-  
ნის ერთგული იყო. მან მოიყვანა 500 სპარსელო

\*) ამ დროს მანუჩარ ათაბაგი მოკლა მისმა ბიძამ ბექამ,  
წავიდა სტამბოლს, მოილო მაჰმადიანობა და ხონთქარმა ამის-  
თვის მოსურა მას ათაბაგობა, მაგრამ, რაღ გამაჰმადიანდა, უწო-  
დეს საფარ-ფაშა. ეს იყო 1625 წ. აქედან ათაბაგების მაგიერ  
არიან არა-ქრისტიანები და იწოდებიან ფაშად.

და ბირთვისში შეაყენა. ამიტომ უშოვა დრო მასაც გიორგიმ; დაეცა ტბისში, დაამარცხა და შეიპყრა ძმიანად (ხოსია); სპარხელები კი, რომელთ წყალობით ომობდა, დაამარცხა და გასწყვეტა. ეს დღე დააყენა ქველ წერეთელს მუქარისთვის: მიუხტა, მოსწვა და მოაოხრა: გამოუდგა ჟკან წერეთელი, მაგრამ დაამარცხებული ისევ დაბრუნდა.

სააკაძის ამ გვარი თვითმნებლობა არავის არ მოსწონდა და მით უმეტეს ზურაბს, რომელსაც არაფერში აღარ ირევდა. ამიტომ ზურაბმა უჩჩია თეიმურაზს ქართლის მეფეობაც მიეღო. ზოგი დიდებულიც მიემხრო თეიმურაზს. ამიტომაც თეიმურაზი მოვიდა კახეთის ჯარით დუშეთში. სააკაძემ თხოვა შემწეობა იმერეთის მეფეს და აღუთქვა მას მის შეილის გამეფება ქართლში. აგრეთვე თხოვა შემწეობა დადიანს და ათაბაგს (საფარ-ფაშას). მოსულ ჯარით და თავის რაზმით შეებრძოლენ მტრები ერთმანეთს. ბაზალეთს. დაამარცხდა სააკაძე, თუმცა ორივე (თეიმურაზიც და სააკაძეც) დაიჭრა. თეიმურაზმა დაიპყრა ქართლი. სააკაძე, ქიხოსრო, მუხრანბატონი და მისი მომხრევბი გაეშურენ სამცხეს და აქედან — ხონთქართან. მათ სთხოვეს ხონთქარს შემწეობა ქართლის დასაპყრობლად. რაღვან სპარხეთს და ოსმალოს ზავი ქონდათ ერთმანეთში, ხონთქარმა გიორგი გაგზავნა აზრუმისკენ. თან დაარწმუნა: თუ დაიპყრობ იმ ქვეყანას, მაშინ მოგცემ ჯარსაო. ჯარს ახლდა ხონთქრის სიდევეზირი აზამ სარდლოად. ბრძოლის ველიდგან მოდი-

ოდა ქება მარტო სააკაძის და ქაიხოსროს. ამან გა-  
აბრაზა აზამის მეუღლე და შეაგულიანა ქმარი, რომ  
სულ სხვისი ქება ესმის ხონთქარსო და მისი — არაო-  
ამიტომ აზამმა შურით მოაკვლევინა გიორგიც და  
ქაიხოსროც 1629 ოვლისში.

1627 თეიმურაზმა მოინდომა შერიგება ყევნთან  
და მოციქულობა მიანდო ფარსისტანის ბეგლარბეგის.  
შვილს დაუთხან უნდილაძეს. უნდილაძემ აცნობა ეს  
გარემოება ყევნს და თვითონაც სთხოვა თავის მხრით  
მიეტევებინა მეფისთვის; თურამ დანაშაული ქონდა.  
ყევნი დათანხდა და წყალობის წერილი მოსწერა.

1628 წ. მოკვდა აბასი და ერანის მპუმბელი  
შეიქნა მისი შვილი-შვილი შაჰ-სეფი (+1642)\*)

ამ ხანში ჩამოვარდა განხეთქილება თეიმურაზს  
და ზურაბს შუაც. ამიტომ ზურაბი მივიდა სიმონ მე-  
ფესთან, მორჩილება განუცხადა და ქართლიც მას  
დაუმორჩილა. თეიმურაზმა ამგვარ ქცევისთვის ამხილა  
ზურაბი და დაემუქრა კიდეც. მხილებამ გასჭრა;  
სინიდისმა შეაწუხა ზურაბი. ამიტომ მიეპარა და-  
მით სიმონ მეფეს, რომელიც იმ დროს ცხვილოში  
იყო, მოკლა, თავი თეიმურაზს მოართვა და ისევ

\*) შაჰმა მოსთხოვა თეიმურაზს ასული თინათინ ცოლად,  
თან თეიმურაზს თავის შვილის დავითისთვის უნდა გაერიგე-  
ბინა იმამ-ყული-ხანის ასული. თეიმურაზმა ლრივეზე უარი შე-  
ჟერვალა: მაჰმადიანს ვერც შევირთავთ და ფურც ქალს მივა-  
თხოვებთო. ამისთვის ყევნი შემოწყრა თეიმურაზს.

მოიწვია ქართლში შეფედ (1629 წ.). ამ გვარად  
თეიმურაზი შეიქნა ქართლ-კახეთის მეფე.

რადგან ზურაბი, სააკძის შემდეგ ხელს ურევდა  
ყველა საქმეში და ეს არც მეფეს მოსწონდა და არც  
ქართველობას, ურჩიეს თეიმურაზს: უფრთხილდით,  
თორემ, ვინც სიმონი მოკლა, ის თქვენ მოკვლასაც  
გაბედავს და სამეფოს ხელში ჩაიგდებსო. არც ყევნი  
შეგარჩენს სიმონის მოკვლასო. ამიტომ მეფის ბრძა-  
ნებით დაეცენ ზურაბს საფურცლეს, მოკლეს და  
თავი ყევნს გაუგზავნეს: თან თეიმურაზმა შეუთვალა  
ყევნს: მე სიკვდილით დავსაჯე ზურაბი იმიტომ, რომ  
მან მოკლა სიმონ მეფეო. ყევნს იამა ეს ამბავი და  
ქართლიც თეიმურაზს დაუმტკიცა. ამის შემდეგ მე-  
ფემ დაიპყრა ყარაბაღი იქაურ ბეგლარბეგის დავით  
უნდილაძის შემწეობით\*). მაგრამ, რადგან იცოდა,  
ამისთვის ყევნი ორივეს პასუხს მოსთხოვდა, თეიმუ-  
რაზმა მისცა მამული უნდილაძეს იორის პირზე და  
დაასახლა მისი ელებით ბარდაში და ყაზახში. ყევნს  
ამ დროს არ ეცალა, მაგრამ, როცა ომი გაათავა ოსმა-  
ლეთთან, მოსთხოვა მეფეს უნდილაძე. მეფემ უარი  
შეუთვალა. მაშინ ყევნმა გამოგზავნა ჯარი როსტომ  
სააკაძის\*\*) სარდლობით და თან გამოატანა მეფედ  
ქართლში ხოსრო-მირზა ბატონიშვილი.

\*) ამ დროს უნდილაძე იყო ყარაბაღში ბეგლარბეგად.

\*\*) გიორგისძე.

როსტომ I დავითისძე ქართლის მეფე (1634—1658).

(მაჭიადიანთბაში ხასრა-მირზა).

როდესაც ქართლიდან გააძევეს (სტამბოლში მოკვდა) დავითი (დაუთ-ხან), მისი შვილი ბაგრატ და ხოსრო სპარსეთს წავიდენ და იქ იზრდებოდენ ყევნის მფარველობის ქვეშ. ხოსრო მეტად მოხერხებული, ჰკვიანი და გამჭრიახე იყო. როდესაც შაჰ-აბასი I მოკვდა და; ტახტის გამო, სპარსეთში არეულობა მოხდა, ხოსროს წყალობით სპარსეთის ტახტზე ავიდა შაჰ-სეფი \*). ეს საკმარისი იყო, ხოსროს ყევნის გული მოეგო. ახალმა ყევნმა მადლობა მით გადუხადა როსტომს, რომ ქართლის მეფედ დანიშნა \*\*). როსტომს გამოყვენ სპარსეთიდან როსტომ სააკაძე ჯარით და ყველა ქართლის თავადები, რომელთაც, დროთა ვითარების გამო, სამშობლო დაეგდოთ და სპარსეთს შეკედლებოდენ. ახალი მეფე ჩამოვიდა და გამეფდა ქართლში. თეიმურაზი ფიქრობდა შებრძოლებოდა და არ ჩამოეშვა როსტომი ქართლში, მაგრამ ვერას გახდა: პირველად, მართალია, დამარცხდა კიდევც როსტომი ალგეთზე, მაგრამ ბოლოს მაინც იძლია თეიმურაზი. დამარცხებული გადვიდა იმერეთს.

თეიმურაზის შემდეგ ყევნის ბრძანებით კახეთში დაინიშნა ხანად სელიმ-ხანი. როსტომს რომ ჯარი ჩამოყვა, იმის დანიშნულება იმაში მდგომარეობდა,

\*) აბასის შვილი-შვილი.

\*\*) ამ დროს როსტომი 67 წლის იყო.

რომ მას დაეცვა როსტომი და სპარსეთის გავლენა ჩვენში. ამიტომ საჭირო იყო, მაშინდელ დროს მიხდვით, ციხეები ხელში ქონოდათ. ესეც იყო: ტფილისის, გორის და სურამის ციხე მის ხელში გადავიდა და შიგ მისივე ჯარები იდგენ. მეფეს ემორჩილებოდა აგრეთვე ყაზახის, ბორჩალოს, შამშაღილის და ლორეს ხანები. როსტომი თუმცა გარეგნობით მაჰადიანი იყო, მაგრამ გულით და სულით ნამდვილი ქრისტიანი იყო და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა სპარსელებს და ქართველებში ერთმანეთის სიყვარული ჩაენერგა. მის აზრით, მხოლოდ ეს დაამყარებდა მშვიდობიანობას ქვეყანაში და მარტო ამას შეეძლო მისი ხსნა. ის ფიქრობდა: თუ ქართლი სპარსეთის ზეხელმწიფებას აღიარებს, ქვეყანას კეთილი მოელოდა. ამიტომ მთელი მისი სიცოცხლე იყო მიმართული ამ მხრისკენ. მაგრამ ქართველმა თავადობამ ეს არ ინდომა და დაუწყო წინააღმდეგობა.

\* როსტომმა (1634 წ.) შეირთო მთავრის ლევან დადიანის ასული შარიამ \*). ამ დროდან იწყება შფოთი ქართლში. შფოთს მოთავეობენ არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი, მუხრან-ბატონი: ამათ უნდათ, ისევ თეიმურაზი გაამეფონ. გადმოვიდა კიდეც ქართლში თეიმურაზი და შეება როსტომს, მაგრამ დამარცხდა. მაშინ თეიმურაზმა მიმართა რუსეთს. (1635 წ.) გაუგზავნა ელჩად ნეკიფორე მიტროპოლიტი

\*) მისი პირველი ცოლი იყო გოჯასპ აბაშიძის ასული ქეთევან.

და სთხოვდა რუსეთის მეფეს შაშველ ჯარს \*). ამავე დროს თვითონ მოკავშირების შემწეობით გადავიდა კახეთში, გააძევა სელიმ-ხანი და დაიჭირა ქვეყანა. ყევნიც ამ დროს გაჭირვებაში იყო, და დაამტკიცა კახეთის მეფედ თეიმურაზი. ყევნი ამ დროს ებრძოდა ოსმალოს ერევანთან (1636 წ.) და დამარცხდა: ხონთქარმა მურადმა აიღო ერევანი; ამის შემდეგ შერიგდენ და გაიყვეს მთელი კავკასია: აღმოსავლეთი წაიღო შაჰ-სეფიმ და დასავლეთი — მურადმა. პირობის და ზავის ძალით ერთი მეორის ნაწილს ველარ შეედავებოდა. ამგვარად ქართლ — კახეთში დამკვიდრდა სპარსეთის წარმომადგენელობა და იმერეთისკენ — ოსმალეთის.

ქართველ დიდებულებს მაინც არ უნდოდათ დამორჩილებოდენ სპარსეთის წარმომადგენელს როსტომს და მოახდინეს შეთქმულობა, თუმცა ამაოდ. ამის შემდეგ ცხადლივ დაიწყეს მოქმედება: შეება თეიმურაზი (1641 წ.) კავთის-ხევის ბოლოს როსტომს \*\*). დამარცხდენ როსტომის მოწინააღმდეგები. თეიმურაზმა მაინც თავისი არ დაიშალა. შაჰ-აბას მეორის მოციქულები ურჩევდენ თეიმურაზს, დაჯერებულიყო კახეთს და ქართლისთვის თავი დაენებებინა. აგრეთვე

\* ) მეორედ სთხოვა 1646 წ. ალექსი მიხაილის-ძეს. მეს სამედ — 1653 წ. მერე თვითონ წავიდა მოსკოვს 1656 წ.

\*\*) მეამბოხეები იყვენ: არაგვის ერისთავი ზაალ, იოთამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი, იორამ სააკაძე გიორგი-შვილი.

ჩამოხსნდა, რუსუთს, მაგრამ თეიმურაზმა ეს ვერ მო-  
აბურხადა მაინც მოინდომა ქართლის ხელში ჩაგდება.  
განუდგენ როსტომს (2642 წ.). ქართლის ღიდებუ-  
ლები, რომელთაც მოთავეობდა თეიმურაზი: მოახდი-  
ნეს შეთქმულობა ახალგორს. ეს რომ როსტომმა  
გაიგო, დაეცა უგრძნეულად მოღალატეებს და და-  
მარცხა.

რადგან როსტომ მეფე უშვილო იყო, იშვილა  
თეიმურაზის შვილი ლუარსაბი, რომელიც იყო სპარ-  
სეთში და იქ იზრდებოდა. როდესაც ყეენმა მის  
თხოვნით ლუარსაბი გამოგზავნა, კიდე მოახდინეს  
ახალი შეთქმულობა (1644 წ.). ამ დროს როსტომი  
იდგა ცხირეთს და ყველაფერი გაიგო. ამიტომ აჯან-  
ჭება ჩაიშალა: როსტომმა ყველა მიწასთან გაასწორა  
და ამ საქმეში მონაწილე ევდემოზ კათალიკოსი ტფი-  
ლისის ციხიდან გადააგდებინა. აქედან როსტომი გაე-  
შურა კახეთს თეიმურაზის წინააღმდეგ, მაგრამ და-  
მარცხდა და დაბრუნდა უკან. ეს დამარცხება როს-  
ტომმა აცნობა ყეენს. ყეენმა მოსცა ჯარი და სარდ-  
ლად უჩინა როსტომის დისწული ადამ ანდრონიკა-  
შვილი. მეამბოხეები შეშინდენ და შენდობა ითხო-  
ვეს, რადგან ყეენი ყველას დასჯას თხოულობდა.  
როსტომმა თვითონ იშვამდგომლა ყეენთან მათი პა-  
ტივება და ყეენმა მიუტევა კიდეც ყველა მეამბოხე-  
ებს. მაგრამ თეიმურაზი მაინც არ დაცხა: იმერეთის  
მეფეს ალექსანდრეს სთხოვა შემწეობა როსტომის  
წინააღმდეგ. მაშინ როსტომი გაეშურა თიანეთის-

კენ თეიმურაზის პირდაპირ საომრად. მოხდა ომი უღლისს (1648 წ.) და თეიმურაზი დაიწია უკან გრე-  
მისკენ. როსტომის მეორე რაზმა გაიმარჯვა ამავე  
დროს მაღაროში კახეთზე და ამგვარად თეიმურაზი  
ორ ჯარს შუა შეიქნა მომწყვდეული. ამიტომ შე-  
შინდა თეიმურაზი და ითხოვა როსტომისგან იმე-  
რეთს გადასვლა. როსტომმა აუსრულა. ამგვარად კა-  
ხეთი დარჩა უმეფოდ. ეს გარემოება როსტომმა აც-  
ნობა ყენს, რომელმაც კახეთიც როსტომს დაულოცა  
და საჩუქარიც ბევრი გამოუგზავნა.

როსტომმა თავისი შვილებული ლუარსაბ და  
აქორწინა (1650 წ.) ადამ ანდრონიკაშვილის ქალზე  
თამარზე. როსტომს ეგონა მოისვენა და დააწყნარა  
ქვეყანა, მაგრამ, სამწუხაროდ ქართველ თავადიშვი-  
ლებმა ლალატით მოკლეს ლუარსაბი (1653 წ.). ამ  
უბედურებამ მეტად დაალონა მეფე და იძულებული  
ჰყო ეთხოვა ყენისთვის, შემკვიდრედ გამაჰმა-  
დიანებული ვახტანგ V მუხრან-ბატონი მოეცა და  
ის გამოეგზავნა ქართლის მეფედ. 1658 წელს ყე-  
ნმა გამოუცვალა სახელი ვახტანგს, დაარქვა შაჰ-  
ნავაზ და გამოეგზავნა ქართლის მეფედ.

როსტომმა ააშენა ტფილისში სასახლე, შემო-  
ავლო მეტებს კედელი, ააშენა ტფილისში ქარვასლა,  
ხილი ხრაზე, მეფის — ქალაქი, თექამაზე (ეხლანდელი  
ახალ-ქალაქი); განახლეს ორივე მეუღლემ სიონის,  
მცხეთის, ურბნისის და ალავერდის ტაძრები.

მის დროს ითარგმნა სპარსულიდან როსტომიანი  
(შაჰ-ნამე) ხოსრო თურქანიძისგან და ყორანი—ფარ-  
სადან გიორგიჯანიძისგან.

განცენგ V თემურაზ შუკრან-ბატონდს შვილი.

(1658—1675 წ.)

(შაჰ-ნავაზ I)

როსტომ მეფის შუამდგომლობით და სპარსეთის  
ნება-რთვით ქართლის ტახტზე ავიდა ქართლის მე-  
ფის კოსტანტინეს \*) შთამომავალი ვახტანგ მუხრან-  
ბატონი, რომელიც იძულებული იყო გამაჭმალიან ებუ-  
ლიყო (1657 წ.). კახეთში ყენისვე ნებით ინიშნება სე-  
ლიმ-ხანი (1657—1659). სელიმ-ხანი იყო ნამდვილი  
სპარსელი და ყენის სურვილის მიმართულების და  
მისვე ნების აღმასრულებელი. მან, როგორც ბრძა-  
ნება ჰქონდა თავის ბატონისგან, შეუდგა სპარსელე-  
ბის ჩასახლებას კახეთში. სანამ ახალ-შენები წყნარად  
იყვენ, კახელები ითმენდენ ძალა-უნებურად, მაგრამ,  
როცა მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ეკლესიას და ქვე-  
ყანას, მაშინ ამაყად აღიმაღლეს თავი ბიძინა ჩოლა-  
ყაშვილმა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა:  
გამოიყვანეს თუშ-ფშავ-ხევსურები, დაეცენ, შეებრძო-  
ლენ, დაამარცხეს და გაავდეს კახეთიდან სპარსე-  
ლები. ამავე დროს ვახტანგის დას ანუკას ირთავს  
ყენი \*\*).

\*) (1469—1505 წ.).

\*\*) აბას II (1652—1667). ვახტანგის გამეფებას წინა-

ვახტანგი ფიქრობდა, კახეთსაც მე მომცემსო, მაგრამ სელიმ-ხანის შემდეგ ყევნმა დანიშნა გამგელ კარხეთში მურტუზ-ალი-ხან (1659—1664), რომელსაც ჰქონდა ბრძანება, შეეპყრა ბიძინა, შალვა და ელიზბარ და ყევნთან გაეგზავნა. მურტუზმა ყევნის ბრძანება აასრულა: შეიპყრა სამივე და გაუგზავნა. ყევნმა წინადაღება მისცა მათ, მიეღოთ მაჰმადიანობა, მაგრამ, რაღვან არ მიიღეს მაჰმადის სარწმუნოება, წამებულ იქმნენ (1661 წ.) \*).

ვახტანგმა, მართალია, მიიღო მაჰმადიანობა, მაგრამ სულით და გულით იყო ნამდვილი ქრისტიანი და თან მამაცი, შორს მხედველი, გამოცდილი, ფრთხილი და ოუჩქარებელი: კათალიკოსად დაადგინა ვახტანგმა თავისი ნათესავი დომენტი, კაცი განათლებული და მართებული. ძალაუნებურად ამავე დროს ყევნის სურვილისამებრ მან შეირთო მარიაშ დედოფალი, როსტომ მეფის ქვრივი, რომ ამით კიდეულორო მეტი გავლენა ჰქონოდა ყევნზე და ქვეყნის საქმეც კარგათ წარემართა.

ამ დროს იმერეთში წარმოუდგენელი შფოთი, რევა და რყევაა: მეფეს და მთავრებს განუწყვეტელი ომი აქვსთ ერთმანეთში: უნდა ერთმა დაიმორჩილოს მეორე. სისხლის ლვრას დასასრული არ აქვს, სარ-

ალუდგა არაგვის ერისთავი ზაალი, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მეფესთან ომი ნიშნავდა ყევნთან ომს და ამიტომ თავი დაანება და უკან დაბრუნდა.

\*) მათი ხსენებას 18 სექტემბერს.

წმუნოება დაეცა, ზნეობა მიწასთან გასწორდა. ამ გარემოებამ აიძულა დასავლეთ-საქართველო მოემართნა ვახტანგისთვის, რომ მას მიეღო იმერეთის სამეფო. ვახტანგი გადავიდა ჯარით და შემოერტყა სკანდის ციხეს, სადაც ცხოვრობდა თეიმურაზი. თეიმურაზმა სთხოვა ვახტანგს, თავისუფლად გაეშვა მას ის სპარსეთში. ვახტანგმა თხოვნა აუსრულა. თეიმურაზი წავიდა სპარსეთში. დიდის პატივით მიიღეს მეფე სპარსეთში. აქ თეიმურაზს უნდოდა კახეთი მიეცათ ბატონი შვილის ერეკლე I-სთვის. ყეენმა მოითხოვა ერეკლე, მაგრამ ერეკლე სპარსეთს არ წავიდა და რუსეთს გაემგზავრა. ყეენმა ბევრი ურჩია თეიმურაზს, მიეღო მაჰმადიანობა, მაგრამ, რაღგან არ მიიღო, გადაგზავნა ასტარაბადს, სადაც გადიცვალა მონაზონობაში (1663 წ.). და დასაფლავებულია ალავერდში. ვახტანგმა აიღო ქუთაისი, ყველა ციხეები და შიგთავისი ჯარი შეაყენა (1661 წ.). აქედან გავიდა ვახტანგი სამეგრელოში, სადაც მას მოერთო დადიანი და მორჩილება განუცხადა. დადიანის მაგალითს მიჰყვა შარვაშიძე. აფხაზეთიდან ვახტანგი დაბრუნდა ქუთაისს, სადაც მასთან გამოცხადდა გურიელი, რომ მელმაც უმდაბლესი მორჩილება განუცხადა.

ხასიათით ბევრში ჰგავდა ვახტანგი როსტომს: მას უნდოდა სიმტკიცე დანერგილ იყო ამერ-იმერეთში და ამიტომ მეფედ დაადგინა იმერეთში (1661 წ.) თავისი 16 წლის შვილი არჩილი. ამის შემდეგ ვახტანგი მობრუნდა ქართლს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის შეერთება ვახტანგის გაძლიერებას მოასწავებდა და ყევნმა ამას სხვანაირად შეხედა. ოსმალოც ზავის ძალით (1636 წ.) წინა-აღუდგა ვახტანგის ბატონობას იმერეთში და მოაწერა ყევნს საჩივარი. ყევნმა \*) დაიბარა (1663 წ.) არჩილი და ურჩია მაჰმადიანობა მიეღო; თან აღუთქვა კიდეც, მურტუზალიხანის შემდეგ შენ მოგცემ კახეთსო. არჩილი დათანხმდა და, მართლაც, მურტუზის შემდეგ კახეთი ყევნმა მას მისცა (1664 წ.). როცა აბას II მოკვდა და სპარსეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი სულეიმანი (1667—1692 წ.), მან სხვა თვალით შეხედა ვახტანგს: რომ მეფე მუდამ მის გავლენის ქვეშ ყოფილიყო, გამოუგზავნა ვახტანგს ფული, ქალაქს გარშემო დიდი ზღუდე შემოავლეო. ვახტანგმა აასრულა ყევნის განკარგულება, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ კარის მცველებად ყევნმა დააყენა სპარსელები, ასე რომ, ქალაქში მყოფი მეფე, გარემოებით, მათი ტყვე შეიქნა. ვახტანგი კარგად ხედავდა ამას და ამოტომ შიგ ქალაქში თავისი სასახლე მიატევა და ქალაქის ზღუდის გარეთ გაიშენა სხვა ახალი სასახლე \*\*). ეს რომ ყევნმა შეიტყო, ციხის კარის მცველები უკან გაიხმო. მაშინ ვახტანგი ისევ შევიდა ქალაქში \*\*\*).

\*) აბას II.

\*\*) ეხლა იმ ადგილას არის, საეკლესიო სახლი. სახელოსნო სკოლის მახლობლად.

\*\*\*) ვახტანგის დროს მოგზაურობდა საქართველოში ჭარდუნი.

არ მოისვენეს არც არჩილმა და არც თერმურა-  
ზის შვილმა ერეკლემ. ერეკლეს უთვლიდა არჩილი:  
შენ კახეთი წაიღე და მე იმერეთში წავალო. ეს გან-  
ზრახვა არ მოუწონა შვილს ვახტანგმა, მაგრამ არ-  
ჩილმა არ დაიჯერა და მაინც გადავიდა იმერეთში და  
გამეფუდა. მოუსვენარი. არჩილი ერთის წლის უკან ისევ-  
გამობრუნდა, რადგან ეს მისი ქცევა სპარსეთ-ოსმა-  
ლეთის შეკრულობის დარღვევა იყო. ამ გარემოებაშ  
ვახტანგი ერთობ დააფიქრა და მისწერა ყეენს: ვერც  
არჩილს და ვერც ერეკლეს ვერ შევასმინე რაო.  
ერეკლე აღრე დაიბარა ყეენმა. ვახტანგმაც თავის  
გასამართლებად გამოსთხოვა ნება ყეენს, წისულიყო  
მასთან. წავიდა კიდეც ვახტანგი და ქართლში გამგედ  
თავისი შვილი გიორგი დატევა. მაგრამ, სამწუხაროდ,  
მისული ხოშკაროს, დასწულდა და გადაიცვალა

1675 წ.

ყეენმა ბევრი უჩიია ერეკლეს გამაჰმალიან ებუ-  
ლიყო, მაგრამ, რადგან არ დათანხმდა, დაკარგა „ქართ-  
ლიც და კახეთიც“. ამიტომაც ქართლიდან დაიბარა  
ყეენმა გიორგი ვახტანგის-ძე მეფობის მისაღებად.  
გიორგიმ დატევა ქართლის გამგედ თავისი ძმა ლევანი  
და წავიდა. ამ დროს იღუმალ ალექსანდრემ შეასმინა  
ყეენს თავისი ძმა გიორგი, რადგან მას უნდოდა გამე-  
ფება, მაგრამ ყეენის დაახლოვებულ პირერების გავ-  
ლენით გიორგიმ მაინც მიიღო მეფობა, გამაჰმა-  
ლიანდა და იწოდა შაჰ-ნავაზ II.

არჩილ განკუთხანგ V-ს მე (1664—1675) განხეთის მეფე  
(შავენაზარ-ხან).

მართალია, არჩილი გაამეფა მამამ იმერეთში  
1663 წ., მაგრამ მალე იძულებული შეიქნა მიეტე-  
ვებინა მისი ახალი სამეფო, რადგან მისი იქ გამეფება  
ოსმალოს და სპარსეთის ხელ შეკრულობის წინა-  
აღმდეგი იყო \*). ყევნის რჩევით არჩილი გაემგზავრა  
მასთან სპარსეთში. აქ ყევნმა წინადადება მისცა  
მას გამაჰმადიანებულიყო, თუ უნდოდა ოდესმე სა-  
მეფოს მიღება. მართლაც, როცა მურტუზ-ალი-  
ხან მოკვდა, კახეთი მისცა ყევნმა არჩილს, მაგრამ  
გამაჰმადიანა (1664 წ.) და უწოდა შავ-ნაზარ-ხან.

მატიანის თქმით, არჩილი იყო თვალიდ შვენი-  
ნიერი, მამაცი, მხნე, ახოვანი, სულით მაღალი, მორ-  
წმუნე და ქვეყნის მოყვარული. და, რასაკვირველია,  
ამისთანა პირს უცებ შეიყვარებდა კახეთი, და შეი-  
ყვარა კიდეც. მაჰმადიანი იყო, მაგრამ გარეგნობით,  
და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა ქრისტიანობას  
მიშველებოდა ჩვენში. მის ღროს ქვეყანამ ცოტათი  
მოისვენა: ყევნი წყალობდა მას და, მაშასადამე, ვერც  
დიდებულები და ვერც აქ მყოფი სპარსელები ვერა-  
ფერს უბედავდენ. გალალებულმა ლეკებმაც ისწავ-  
ლეს, თუ რაა მორჩილება: მის ღროს ატყდენ ლე-  
კები. არჩილი შეიჭრა მათ მხარეში, დაარბია, მოსწვა  
და მიწასთან გაასწორა მათი სიმაგრეები. ამგვარ მოქ-

\* ) ეს ზავია 1636 წლის.

შედებით, რასაკვირველია, უფრო მეტი ნდობა დაიმ-  
სახურა ყევნის, და ეს ქვეყნისთვისაც ერთობ სა-  
ჭირო იყო.

არჩილმა მიაქცია დიდი ყურადღება შინაგან საქ-  
მეებს. სამეფო ტახტი გრემიდან გადმოიტანა თელავში  
და აქ ააგო სასახლე. რაღაც ქართულის ლრმა მცოდნე  
იყო და სამშობლო ენის მოყვარული, მიჰყო ხელი  
წიგნების სწორებას და წერას. მან პირველად შეაგროვა  
ერთად და ერთ წიგნად აქცია ცალკე ნაწილებად  
გაფანტული დაბადება. ზირაქის და მაკაბელების წი-  
გნი რომ ვერ ნახა, პირდაპირ ბერძნულიდან გად-  
მოთარგმნა. თვითონ დასწერა „არჩილიანი“ (რო-  
მელშიაც მოთხობილია ქართლის ცხოვრება 1605—  
1663 წლამდის და შეიცავს თეიმურაზის I ცხოვ-  
რებას, მოურავის ლალატს, მებატონეების გაზვიადე-  
ბას, და შაჰ-აბაზისგან ქვეყნის აოხრებას). ამ დროს  
იმერეთში საშინელი ამბავია: მეფეს ბაგრატს აღარც  
დიდებულები (ხოსია ჩხეიძე) და აღარც მთავრები  
(ლევან დადიანი) არც ერთი აღარ ემორჩილებიან.  
ამით (ჩვენ ვიცით) იხელმძღვანელა არჩილის მამამ  
ვახტანგ V და დაიმორჩილა კიდეც იმერეთი, მაგ-  
რამ, როცა ვახტანგი გადაიცვალა, არჩილმა ქართ-  
ლის და იმერეთის შემოერთება მოინდომა. ეს რომ  
ყევნმა სულეიმანმა შეიტყო, წაართვა კახეთი არ-  
ჩილს და ქრისტიანობის მსმელს სპარსელს ბეჭანხანს \*)

\*) ცხოვრობდა ყარა-ლაჯას ლაგოდეხის და დელოფლის

მისცა, ქართლი კი—ვახტანგ V შვილს გოორგი XI. არჩილმა მაინც არ დაკარგა იმედი: გადავიდა იმერეთს და გამეფდა, მაგრამ იქედან მალე გამოაძევა-ოსმალოს ჯარმა (ახალციხის ფაშამ ასლანმა).

საზოგადოდ მეტად მკვირცხლი, მღელვარე, მო-  
უსვენარი და სიცოცხლით სავსე პირი იყო არჩილი:  
ხუთჯერ გამეფდა იმერეთში და ხუთჯერ იძულებული-  
იყო თავი დაენებებინა; ჩერქეზებსაც კი ჩაუვარდა  
ხელში ტყველ, როცა რუსეთში მიდიოდა.

რუსეთსაც ბევრჯელ სთხოვა შემწეობა, თვი-  
თონაც იყო იქ, მაგრამ არაგამოვიდარა. ის იყო  
უფრო პოეტი, მეცნიერი და არა სამეცო კაცი.  
თავის ხასიათის გამო მან დაკარგა ქართლი, კახეთი,  
იმერეთი და წავიდა რუსეთს, სადაც გადაიცვალა  
(1712 წ.), დასაფლავებულია მოსკოვს დონის მო-  
ნასტერში.

გვთავგი XI გახტენგ V. ბე მეფე ქართლის  
(1676—1688 წ.) (შაჟ-ნაგაზ II).

ვახტანგის შემდეგ ქართლის ტახტზე ავიდა გი-  
ორგი. მართალია, ბევრში გავდა მამას გიორგი, მაგ-  
რამ მაინც მამასავით შორს მხედველი ვერ იყო: მან  
ვერ დააყენა საქმე ისე, რომ ყევენს მაზედ ჟევი არ

წყაროს შუა, სადაც ჩსპდენ მმართველები, ოსმალეონისაც და  
სპარსეთისაც.

შემოეტანა. ამიტომაც იყო, რომ ამ ეჭვემა მძევალი მოათხოვინა ყევნს გიორგისგან (1676 წ.). ეს მძევალი იყო მისივე ძმა ლუარსაბი. გიორგის არ უნდოდა გაეგზავნა, მაგრამ, რას იქდა? უნდა გარემოებას დამორჩილებოდა. რაკი დიდებულებმა შეამჩნიეს, ყევნი მეფეს აღარ წყალობსო, თვითონაც ურჩობა დაუწყეს \*). ამათის წყალობით სპარსელები ჯაშუშობდენ ყევნთან გიორგიზე, შენი ერთგული არ არისო. მაგიერსაც კარგად უხდიდა გიორგი მოღალატეებს, — მაგალ. მოაკვლევინა: არაგვის ერისთავი, იასონ და სომხითის მელიქი (ქამარბეგ), ერეკლე მუხრანბატონი და მაჩაბლები დააპატიმრებინა. უკმაყოფრლების მიზეზი ის იყო, რომ გიორგი ცდილობდა არჩილი გაემეფებინა კახეთში, სადაც გამგედ ყევნისგან იყო დანიშნული ბეჭან-ხან (1677—1683) \*\*), რომელიც ერთობ ცუდად იქცეოდა. ხან ააშენა ყარა-ლაჯში სასახლე და იქ დაბინავდა. რომ სპარსეთის სურვილი განეხორციელებინა და ყოველი ქართული კახეთიდან ამოეხოცა, დაიწყო იდუმალ და ცხადადაც კახელების ხოცვა და მოწამლვა. ამ მისმა მოქმედებამ კახეთი ერთობ ააღელვა

\* ) ესენი იყვენ ერიკთავები, სომხითის მელიქები, მუხრან-პატონი, მაჩაბლები.

\*\*) ბეჭან-ხანი დაინიშნა, გამგედ მას შემდევ, რაც არჩილი ყევნმა დაიბარა და თან დაიტევა, რადგან მაჰმადიანობა არ მიიღო. ბეჭან-ხანის შემდევ იყო ხანი (1683—1688), აბაზ-ყული-ხანი (1688—1695), ქელბალი-ხან (1695—1703).

და წინააღმდეგა მას. ამას, რასაკვირველია, გიორგიც ხელს უწყობდა, რამდენადაც შეიძლებოდა, რომ რამნაირად თავიდან მოეშორებინათ ბეჭან-ხანი. შეუჩინა კიდეც კაცები და თოფით მხარი მოსტეხს. გამწარდა ბეჭან-ხან: შეუსია თათრები და ლეკები კახელებს და სულ ააოხრებინა და ააკლებინა. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ბეჭანი იძულებული შეიქნა გასულიყო კახეთიდან.

რადგან გიორგიმ ყველა მოღალატე დასაჯა, და თან ბეჭან-ხანის დაჭრასაც მას აბრალებდა ყევნი, ამიტომ მოთხოვა მას მძევლად მეორე ძმა ლევანი \*) და შვილი ბაგრატ. მეფე დალონდა, მოილაპარაკა კახელებთან, რომ პირი შეეკრათ და შეერთებულის. ძალით გამკლავებოდენ მტერს, მაგრამ ბოლოს ისევ კახელებმა უღალატეს და მეფეც იძულებული შეიქნა გაეგზავნა ორივე. ყველა ეს რომ ყევნმა შეიტყო ლუარსაბი ქირმანს გაგზავნა და ბაგრატი ლევანით — ჰერათში, ქართლის მეფობა კი მისცა თეიმურაზ I შვილი-შვილს ერეკლეს (1688—1703) (ერეკლე იყო წინააღმდეგი 1675 წელს, რომ ვახტანგ V წინააღმდეგ ემოქმედნა). მაშინ გიორგი ავიდა რაჭას, ოდიშს, გურიას, აფხაზეთს და იქვედან — სამცხეს.

\*) მაჰმადიანობაში შაჰ-ყული-ხან.

ერეკლე\*) დავითის-ძე ქართლის მეფე (1688—1703).  
(ნაზარალი-ხან).

გიორგის მაგიერ ყევნმა გამოგზავნა ქართლის მეფედ ერეკლე დავითის-ძე, რომელიც იყო თვალად ჰაეროვანი, მხნე, მაგრამ ლირწი, უშვერი და სმის და ლხინის მოყვარე. ის იყო აღზრდილი სპარსეთს და რუსეთს და ამიტომ ქვეყნის არა გაეგებოდარა. შართალია, ქართლის მეფედ იყო დადგენილი, მაგრამ მას კახეთი უფრო უყვარდა, ვინემ ქართლი. გამეფებისათანავე გამოცვალა ძველი მოხელეები და ყველა გიორგი მეფის ორგულები დანიშნა. თუმცა ეს კი ჩაიდინა, მაგრამ არც გიორგის და არ არჩილს არც ერთს მტრულად არ ექცეოდა; მეფების მტრები კი აქეზებდენ ერეკლეს, მტრობა გაეწია გიორგისა და არჩილისთვის. იმერეთში რომ არჩილი გამეფდა 1690 წ. ერეკლემ ყევნს მოახსენა. ყევნმა ხონთქარს მოსთხოვა არჩილიც და გიორგიც. ხონთქარის ბრძანებით ახალციხის ფაშამ ასლანმა\*\*) დაატყვევა გიორგიც

\*) მიიცვალა ისპაანს 1710 წ.

\*\*) ყვარლებარეს სახლიდან ფაშები: საფარ-ფაშა (1624—1635), უსუ-ფაშა (1635—1647), როსტომ-ფაშა (1647—1659), ასლან-ფაშა I (1659—1677), უსუფ-ფაშა II (1677—1690), სელიმ-ფაშა (1690—1701), ისააკ-ფაშა და ამლან-ფაშა (1701—1737), უსუფ-ფაშა (1737—1744). ამ დროდან მოისპო ათაბაგის სახლიდან ფაშობა—სხვები ინიშნებიან.

და არჩილიც, და ისევ ალექსანდრე გამეფდა იშერეთში; ალექსანდრე კი გაამეფეს, მაგრამ გიორგი მეფე ყე- ენს აღარ მისცეს.

ერეკლემ თავის საქციელით ქართლში უკმაყოფილება გამოიწვია: ქართლელებს დევნიდა და კახელებს აწინაურებდა. მისის ნებით ციხეში მყოფი სპარსელები თავისუფლად გამოდიოდენ ციხიდან, იკლებდენ მცხოვრებლებს და ერეკლე მათ არას ეუბნებოდა. ამიტომაც გაჭირვებული გლეხები ქართლიდან სულ კახეთში გადადიოდა. ერეკლეც ამის მოხარული იყო: უნდოდა კახეთი და შენებინა, რადგან ქართლზე უფრო მას კახეთი მოსწონდა. ამან ააშფოთა ქართლის დიდებულები. (აშოთან მუხ- რან-ბატონი, დავით ქსნის ერისთავი, არაგვის — გი- ორგი და სხ.). შეითქვენ და კაცი გაუგზავნეს სამ- ცხეში გიორგის, ჩამოსულიყო ერეკლეს წინააღმდეგ. ამ დროს ერეკლე კოჯორში იყო და შეშინებული ტფილისის ციხეში შევიდა. ამ გვარად გიორგიმ ხელ- მეორედ ჩაიგდო ქალაქი ხელში (1691 წ.).

მოკვდა სულეიმან-შაჰ (1692 წ.) და მის ტახტზე ავიდა მისი შვილი შაჰ-სულთან უსეინ. ქართლელებმა სთხოვეს ყევნს, მიეცა გიორგისთვის ქართლი. ყევნი დათანხმდა. გიორგიმ ქართლი რომ ხელში ჩაიგდო, კახეთი არჩილისთვის მოინდომა, მაგრამ არჩილი არ დათანხმდა, რუსეთს განიზრახა წასვლა. (მაგრამ უცებ საქმე ისე დატრიალდა, რომ 1695 წ. ისევ გამეფდა იმერეთში. 1696 წ. ხონთქრის ბრძა-

ნებით იმერეთიდან არჩილი გააძევეს, მაგრამ 1698 წ.  
კიდე გამეფდა იმერეთში, თუმცა ნ თვის მეტი არ  
უმეფნია: აქედან ის წავიდა რუსეთს). ბოლოს გი-  
ორგის ულალატეს ქართლელებმა და გიორგი გადა-  
ვიდა იმერეთს და ქედან გაეშურა სპარსეთს, რაღ-  
გან ყევნმა დაიბარა და ალთქმაც მოსცა, არაფერს  
გავნებო. გიორგის სპარსეთში დახვდენ ბაგრატი  
(შვილი), ძმები ლევან და ლუარსაბ და ძმისწული  
ქაიხოსრო. მეორე ძმისწული ვახტანგ (VI) ამ დროს  
იმერეთში ცყო. გიორგი რომ ისპაანს წავიდა (1696 წ.),  
ერეკლე გამოვიდა ციხიდან და დაიბყრა ქართლი,  
მაგრამ ვერაფერი ვერ მოუხერხა ტფილისის, გორის  
და სურამის მეციხოვნე სპარსელებს, რომელნიც გა-  
მოდიოდენ, როცა უნდოდათ ციხეებიდან, არბევდენ  
და იკლებდენ ქვეყანას; იტაცებდენ ვაჟებს და ქალებს  
და ტყვედ ჰყიდდენ. ამას მიეჩვიენ ქართლელებიც და  
საშინელი ხანა დადგა.

თვითონ ერეკლემ ააგო სასახლე (რუსთავს) და  
ზამთრობით იქ ცხოვრობდა \*). იმერეთში ამ დროს  
კიდე უარესი ამბავია: ფრთა შესხმულია მეფის და  
მთავრების ერთმანეთზე მიხტომა, ჯაშუშობა ხონთ-  
ქართან და-ძმების ყიდვა ასმალეთში.

ისპაანს მისული გიორგი დიდის პატივით მი-  
იღეს. ამ დროს სპარსეთს აწუხებდენ ბულუჭები. ყე-

\*) ამ გვარად ქართლიც და ქახეთიც მის ზელშა შე-  
იქნა.

ენმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ სპარსელების და ქართველების ჯარი და სარდლად უჩინა გიორგი. ქართველებმა (გიორგიმ, ლევანმა, ქაიხოსრომ) იჩინეს თავი და ამ ერთგულებისთვის ყევნმა (შაჰ-ჰუსეინ სულეიმანისძე) ლევანს უბოძა ერანის მსაჯულთ უხუცესობა და ქაიხოსროს ისპაანის ტარულობა \*). ლევანი სთხოვს ამ დროს ყევნს, უბძანოს ერეკლეს, რომ მან დაუბრუნოს ვახტანგს თავისი საუფლისწულო ქართლში. ყევნი დათანხმდა და მოსწერა ერეკლეს. ერეკლეს გაგზავნილმა ევდემოზ კათალიკოსმა გადმოიყვანა იმერეთიდან ვახტანგი და დააბინავა თავის მამა-პაპეულში (1701 წ.).

კიდევ განდგენ ავლანები და ბულუჭები. გიორგიმ კიდევ დაამარცხა ისინი. მაშინ მეამბოხეები შეესიენ ყანდაარს. ყევნმა გაგზავნა გიორგი: თუ ყანდაარის საქმეს გაარიგებ, ქართლის მეფობას მოგცემო გიორგი დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, თუ ის ეხლავე ქართლის გამგედ დანიშნავდა ვახტანგს და ლევანსაც თან გაატანდა საქმეების დასაწყობად, რომ დაბრუნებულზე ლევანს ქართველების ჯარებიც წაეყვანა სპარსეთს. წავიდა გიორგი ჯარით და თან იესეც (შვილი) წაიყვანა. ამ გვარად გიორგისვე თხოვნით ქართლის გამგედ დაინიშნა ვახტანგ ლევანისძე და ერეკლეს კი მისცა ყევნმა მარტო კახეთი და თან დაი-

\* ) ყევნის ქართველთაგანის მცველ რაზმის (12 ათასი) უფროსი,

ზარა სპარსეთში. ერეკლე წავიდა სპარსეთში (1703 წ.). მისული სპარსეთს, დარწმუნდა, რომ მას ყევნი უკან აღარ დააბრუნებდა და ამიტომაც სთხოვა მას, კახეთი მის შვილის დავითისთვის (მაჰმადიანობაში იმამ-ყულიხან) მიეცა. ყევნმა აუსრულა თხოვნა ერეკლეს.

1703 წ. შიშის ზარი დასცეს ქართველებმა ავლანელებს. ქობულის მმართველმა, ინდოეთის მეფისძემ და სხვა ხანებმა დიდი ძლვენი მოართვეს გიორგის და მის მიზეზით სპარსეთის წინ თავი მოიხარეს. ამის შემდეგ განდგა აზარის სულთანი დაქეზი. ესეც მორჩილებაში მოიყვანა გიორგიმ. მოკლულ დაქეზის თავი გიორგიმ მირვეისს გამოატანა და თან ურჩევდა ყევნს აღარ დაებრუნებინა უკან მირვეისი თავის სამფლობელოში, მაგრამ სპარსეთის დიდებულებმა არ დაატუსალებინეს ყევნს მირვეისი და გაუშვეს. ეს საკმაო საბუთი იყო, მირვეისს გიორგისთვის მაგირი გადაეხადა. არ გათავდა აღმოსავლეთისკენ ომი: განდგა ქალათარი. გიორგიმ გაგზავნა ჯარი თავის ძმის (ლუარსაბ). წულის ალექსანდრეს მეთაურობით. მეფესთან დარჩა მხოლოდ მცირე ჯარი და ლუარსაბი. იღროვა მაშინ მირვეისმა და დაცა. მეფეს. გაუმაგრდა მეფე ძმით მტერს, მაგრამ თვითონ სპარსელებმა უდალატეს გიორგის. მეფე ჩაიკეტა ბანიან სასახლეში. მირვეისმა აახდევინა ბანი და მოაკვლევინა მეფე 1709 წ. მირვეისმა თავის გასამართლებლად ახალა მიცვალებულს გულიდან ხატი და ჯვარი და გაუგზავნა ყევნს: აი როგორ გაცთუ-

ნებდაო. დანარჩენი ქართველები დაბრუნდენ უკან. მირვეისი გამოუდგა მათ: უნდოდა სრულიად მათი გაწყვეტა. ამიტომ ქართველები სულ ომით და სისხლის ღვრით მოდიოდენ გზა და გზა. ლეილ-მიჯნურის ციხესთან რომ მოატანეს ქართველებმა, მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, რომ მირვეისს ყანდაარის ციხის მცველები სპარსელები დაერწმუნებინა კიდევ, რომ, ვითომ, ყევნის ბრძანება იყო, მას მეფე მოყვალა. ამიტომაც მცველებმა უომრად გადასცეს მას ციხეები. ამგვარად მირვეისი ისევ გაბატონდა ყანდაარში. მივიდენ ქართველები ყანდაარში. აქედან გაეშურენ გირიშკს, მაგრამ მატყუარა ეტიკმა დაბნეულ გზით ისევ ყანდაარს მიიყვანა და დიდ ზღუდიან წალკოტში შეიყვანა. მირვეისის ძმამ ურჩია ქართველებს, გამაჰადიანებულიყვენ, მაგრამ ისინი არ დათანხმდენ, გახვრიტეს გალავანი და წამოვიდენ. დაადევნა მირვეისმა ჯარი, მაგრამ ქართველობა ხრმლით იყაფავდა გზას და ისე მოდიოდა. ორ ალაგს სხვა საშველი რომ არ იყო; ქართველებმა ცხენები პირდაპირ გადაყარეს აღელვებულ მდინარეში და ცურვით გამოვიდენ. მდევარი მაინც არ დაკლებია. წარმოუდევენელია ის მამაცობა და უშიშრობა, რომელიც მაშინ ქართველობამ გამოიჩინა ამ დაბრუნებაში. მოვიდენ გირიშკს და აქედან ყველაფერი აცნობეს ყევნს. გირიშკშიაც დაეცენ ქართველობას მირვეისის მდევრები, მაგრამ დამარცხდენ. გამარჯვებულ ქართველებმა მჭრის თავებისგან კოშკი ააგეს და ტყა-

ვები ყევნს გაუგზავნეს. ამ ერთგულების სამაგიეროდ, რადგან ამ დროს ლევანი სალმობიერი იყო, ყევნმა ქართლის მეფედ დანიშნა ლევანის გამაჰმადიან ებული შვილი ქაიხოსრო 1709 წ., მხოლოდ თან დაიტევა და ისევ აჯანყებულ მირვეისის წინააღმდეგ გაგზავნა. ეხლა ამ ჯარში იყო ალექსანდრეც; ქართლში კი ისევ ვახტანგია. მირვეისი დამარცხდა. ქართველებმა და სპარსელებმა აიღეს ისევ ყანდაარი. შემოიკრიბა კიდევ მირვეისმა ჯარი და შემოებრძოლა ქართლ-სპარსელებს. ომი გაგრძელდა სამ თვეს. მირვეისთან ომში მოიკლა ალექსანდრეც და ქაიხოსროც (1711 წ.). ქართველების ნაშთი მობრუნდა ჭირიშვიში და იქედან — ისპაანს. 1711 წ. ყევნმა მეფობა მისცა ვახტანგს და დაიბარა სპარსეთს.

## გახტანგ VI დევანის-მე (1708 — 1711) გამგა ქართლისა

როგორც კი ქართლის გამგედ დაინიშნა ვახტანგი, მაშინვე მიჰყო ხელი შინაგან საქმეს. მის ხასიათის მიხედვით, ის უფრო მეცნიერის გუნდს ეკუთვნოდა, ვინემ მეფეს, მმართელს; აღვილადაც გაცვლიდა სკიპტარს კალამზე, თუ მის ნებაზე ყოფილიყო დამყარებული ეს არჩევანი, მაგრამ ეს ასე არ იყო: ქვეყნის გარემოება სულ სხვას თხოულობდა მისგან: ვახტანგი ერთ და იმავე დროს, გარემოების მიხედვით, სარდალიც უნდა ყოფილიყო, გონ ების მწრთვნელიც

და ზნეობის ამამაღლებელიც. ეს მეტად დიდი და  
მძიმე ტუირთი იყო ვახტანგისთვის, განსაკუთრებით  
იმ დროს, როდესაც მის გარშემო ყველა ჯაშუშად  
და ქვეყნის მოღალატედ იყო გადაჭცეული გვაროვ-  
ნობის და სარწმუნოების მიუხედავად. მაგრამ ვახ-  
ტანგი მაინც არ შეუშინდა ამ საფრთხეს და განა-  
გრძო თავის განზრახვა. რადგან მეტად გულმოდგინე,  
მშრომელი, ცოდნის მოყვარე და ენერგიით სავსე  
იყო, ბევრსაც მოელოდენ მისგან და არ მოტყუვ-  
დენ: ვახტანგმა შეამკო მცხეთა, განაახლა სიონი,  
ურბნისი; გასწრა არხი ნახიდურში, ლისში, ყარა-  
იაში; გააწესა ჯარი როქით. ამასაც არ დაჯერდა:  
გახსნა ტიფლოგრაფია ტფილისში 1709 წ. და შეუდგა  
წიგნების ბეჭდვას. დაბეჭდა სრული საეკლესიო წიგ-  
ნები, ვეფხვის ტხაოსანი; შეადგინა კანონები, რომელ-  
შიაც შეიტანა: ა. საკუთარი მისგან დაწერილი კანო-  
ნები, ბ. გიორგის ბრწყინვალის (1318—1346) კანო-  
ნები მთიულებისთვის დაწერილი, გ. ათაბაგის ბეჭას  
(1361—1391) კანონები, დ. ათაბაგის აღმულას  
(1444—1451) კანონები; აქვე არის კანონები ებრა-  
ელების, სომხების და მაჰმადიანების შესახებ; გამოსცა  
„ქართლის ცხოვრება“ 1770 წ.; შეადგინა „დასტურ-  
ლამალი“, რომელ შიაც მოხსენებულია მეფეების ყო-  
ველგვარი შემოსავალი და ყველა სახელმწიფო მო-  
ხელების ჯამაგირი; თარგმნა სპარსულიდან ქილილა  
და მანა, ვარსკვლავთ მრიცხველობა.

რამდენადაც კარგად მიღიოდა საქმე, ქართლში,

იმდენად ცუდად იქცეოდა კახეთის მეფე ერეკლე I<sup>\*)</sup>;  
იყო მეტად დაცემული და გარევნილი ზნეობით.  
მისმა მეფობამ კიდე უფრო დასცა სარწმუნოება კა-  
ხეთში: მართალია, მაღლ მის მაგიერ ყევნმა დანიშნა  
მისი შვილი დავით<sup>\*\*</sup>) 1706 წ., მაგრამ არც ამით გა-  
მოვიდა რამე: ისიც სპარსეთში დაბადებული და მათ  
წესზე და სარწმუნოებაზე აღზრდილი იყო, თუმცა მამა-  
სავით არ იქცეოდა. ბოლოს დავითიც წავიდა სპარსეთს  
და თავის ალაგს დატევა თავისი ძმა, თეიმურაზი.

ვახტანგის დროს ერთობ გაძლიერებული იყვნენ  
ლეკები. განსაკუთრებით ფრთა შეისხეს ლეკებმა მა-  
შინ, როდესაც კახეთში სპარსეთი თავის ხანებს ნიშ-  
ნავდა 1683—1703 წ., ეს ხანები თავის მხრით დიდ  
ხელს უწყობდენ კახეთის გამაჰმადიანებას და ლეკების  
გაძლიერებას. ასე გაძლიერებული ლეკები მოსვენებას  
არ აძლევდენ არც ქართლს და არც კახეთს. მაშინ  
ვახტანგმა შემოიკრიბა ჯარი, გადავიდა ლეკეთში, შე-  
ებრძოლა და დაამარცხა. დაანგრია ლეკების 80 კო-  
შკი, დაარბია მათი ბინა, მოსწვა და ალაგმა. ყევნმა რომ  
ეს შეიტყო, დიდი მაღლობა შემოუთვალა. 1711 წელს  
ქიოხოსრო მეფე ქართლის რომ ავღანელებმა მოკლეს,  
მაღლობის ნიშნად ყევნმა ვახტანგს ქართლის მეფობა  
უბოძა, მაგრამ დაიბარა ისპაანს<sup>\*\*\*</sup>). ვახტანგმა წასვლის

<sup>\*)</sup> მაჰმადიანობაში ნაზარ-ალი-ხან.

<sup>\*\*)</sup>  მაჰმადიანობაში იმამ-ყული-ხან.

<sup>\*\*\*</sup>) წასვლამდის ვახტანგს დიდი მეგობრობა და კავშირი  
ჭიონდა კახეთის მეფესთან დავითთან, რომელიც მიიწვია, გან-  
9

დროს თავის მაგიერ დატევა ქართლის გამგედ თა-  
ვისი ძხა სიმონი. 1712 წ. ისპანში მისულს ვახტანგი  
ყევნმა ურჩია გამაჰმალიან ებულიყო, მაგრამ ვახტანგი  
არ დათანხმდა; მაშინ ყევნმა დაკავა სპარსეთში ვახ-  
ტანგი და მის მაგიერ ქართლის მეფედ გამოგზავნა გამაჰ-  
მალიან ებული იესე (ალი-ყული-ხან) (1714—1716 წ.).  
იესე (ვახტანგის ძმა) ურჩევს ყევნს: „სანამ ვახტანგი \* )  
მანდ არის და არ დაატუსალებთ, მე ვერას გავაკეთებ  
აქ. რომ თქვენი აზრი განხორციელდეს, საჭიროა გადა-  
სახლდეს სპარსეთში ვახტანგის სახლობა და მისი თანა-  
მოაზრები 500 კომლი“. ყევნს ეს ძლიერ ესიამოვნა  
და მისი განხორციელება იესესვე მიანდო (1714 წ.)  
და ვახტანგი კი მმართველად ქირმანს გაგზავნა.

დავითი არ იყო კახეთში, თეიმურაზი კი ქორ-  
წილს მოუნდა. ამ გვარიდ კახეთი უპატრონო შეიქნა.  
ამიტომაც შემოიწრებიან ლეკები და საშინლად იკ-  
ლებენ ქვეყანას. აქედან გადადიან და არბევენ ყა-  
ზას, შამშადილს, შირვანს, ყარაბაღს. ეს რომ ვახტან-  
გმა შეიტყო, გადაწყვიტა მაჰმალიანობა მიელო. ამ  
დროს ყევნიც შემოწყრა ლეკებს და იესესაც, რო-  
მელიც განცხრომის მეტს არას დასდევდა. ამიტომ  
ყევნმა მეფობა ისევ ვახტანგს დაუბრუნა, მხოლოდ  
გაამაჰმალიანა, უწოდა ჰუსეინ-ყული-ხან (1716 წ.) ..

სხვავებული პატივი სცა და მის ძმას თეიმურაზს (II) შერთო  
თავისი ქალი თამარ. ამით ვახტანგს სახეში ჰქონდა კახეთთან  
კავშირი შეეკრა, რომ მტერს თამამად შეპროდოლებოდენ.

\* ) ვახტანგის სახლობა იესეს დროს იმერეთში გადავიდა.

მაგრამ თან დაიტევა და იქედან ჯარით ხორასანს გა-  
გზავნა სალაშქროდ, ქართლში კი ვამგედ დანიშნა  
ვახტანგის შვილი ბაქარ, რომელმაც ვახტანგისვე  
თხოვნით მიიღო მაჰმადიანობა და ამიტომ ყევნმაც  
დასტური დასცა და მეფედ დანიშნა ქართლში (1716 —  
1719 წ.). ბაქარი რომ ქართლში დაინიშნა, ისე კა-  
ხეთში გაიქცა, მაგრამ ყევნის ბრძანებით შეიპყრეს  
და ბაქარს გადმოსცეს დატყვევებული. ბაქარის დრო-  
საც ერთობ აწუხებდენ ლეკები ქართლს: ჩამოეშვე-  
ბოდენ მთიდან, არბევდენ ბოლნისს და ქუის ხეობას.  
მათი თავხედობა იქამდის მივიღა, რომ გორამდის ჩა-  
მოვიდენ. რამდენჯერაც კი შეებრძოლა ბაქარი ლე-  
კებს, იმდენჯერ დამარცხდა. ამ მდგომარეობაში იყო  
ქართლი, როცა 1719 წ. გამოგზავნა ყევნმა გამაჰ-  
მადიანებული ვახტანგი მეფედ ქართლში. ვახტანგმა  
ჩამოსვლისათანავე დასაჯა თავისი მტრები და ისეს  
შეგობრები. \*) მერე შეუერთდა დავითს და შეერთე-  
ბულის ძალით ლეკეთში მოემზადენ წასასვლელად.  
ავიდენ მაღაროს, მაგრამ ომი აღარ შოხდა: დავითი  
გადაიცვალა \*\*). მაღაროს მისვლამ ლეკები შეაშინა  
და ამიტომ დაწყნარდენ და აღუთქვეს მორჩილება  
(1722 წ.).

\*) სომხითის მელიქ თოფით დაახვრეტინა, ბაგრატ ცა-  
ციშვილი, ფეშანგ ყაფლანიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე თხე-  
ბზე დააყიდვინა ოსეთში.

\*\*) დავითის ადგილზე ყევნმა დანიშნა კოსტანტინე II  
(მაჰმად-ყული-ხან) 1723 და გამოისტუმრა სპარსეთიდან.

(ამ დროს იმერეთში არეულობაა: შეითქვენ გი-  
ორგი მეფის წინააღმდეგ რაჭის ერისთავი, დადიანი  
და სვიმონ აბაშიძე, მოიწვიეს სტუმრად მეფე თხმე-  
ლის ციხეში, მოჰკლეს და იმერეთი გაიყვეს).

განუდგა ყევნს მირვეისის შვილი შაჰ-მაჰმუდ.  
თამაზმა ვახტანგს სთხოვა მოხმარება. ამ არეულ-და-  
რეულობით ისარგებლა რუსეთის მეფემ პეტრე I და  
იმანაც სთხოვა შემწეობა ვახტანგს 1722 წ. სპარსეთის  
წინააღმდეგ: შირვანს მივალ და შემიერთდიო. ეს რომ  
ხონთქარმა გაიგო, იმანაც შემოუთვალა: მძევალი მო-  
მეც, რომ ჩემს წინააღმდეგ არ წახვალო. ვახტანგი  
პეტრეს მიეკედლა. პეტრემ აიღო გილანი, მაზანდე-  
რანი, ასტრაბადი, ბაქო.

სპარსეთსაც და ოსმალოსაც ვახტანგის ესეთი-  
ქცევა არ მოეწონათ. უფრო ბრაზდებოდა თამაზ-  
მის რუსეთთან დამეგობრებას. ამ ცეცხლს ხელს  
უწყობდა კოსტანტინე (მაჰმად-ყული-ხან) \*). 1722 წ.  
მაჰმუდმა აიღო ისპაანი და მოკლა ყევნი. ჰუსეინ-  
შაჰ. მის მაგიერ სპარსეთის ტახტზე ავიდა შაჰ-თა-  
მაზ. ამ ხანაში პეტრე შეურიგდა სპარსეთს (1723 წ.  
12 სექტემბერს); შეურიგდა პეტრე აგრეთვე ოს-  
მალოს (1723 წ. 12 ივნისს). და ვახტანგი დარჩა  
მოტყუებული. ყევნი უთვლის ვახტანგს, მზად იყავ-  
ჯარით მაჰმუდის წინააღმდეგო. ვახტანგი ატყო-  
ბინებს ამ გარემოებას პეტრეს, მოაშველოს ჯარი,  
თორემ იძულებული იქნება ავგანში წავიდეს ყევნის.

\* ) გრეკლე I შვილი.

წინადადების ძალით. ეს ამბავი რომ თამაზს მისწვდა, შემოუთვალა კახეთის მეფეს კოსტანტინეს (1723—1729): დაიმორჩილე ქართლი და შენ გქონდეს. კოსტანტინე მოვიდა ტფილისამდე. ვახტანგმა შეუთვალა: ხუნანშივე ჩამოდი, დავზავდეთ და უმჯობესი იქნება საერთო მტრისკენ მივმართოთ მახვილიო. კოსტანტინე დათანხმდა. მაგრამ ამ დროს იესე შეატყობინებს კოსტანტინეს: არ მოხვიდე ახლოს, თორემ მოკლვას გიპირებს ვახტანგიო. კოსტანტინე ერწმუნა ამ სიცრუეს და ომით წამოვიდა ტფილისზე. თან ახლდა მას ძმა თეიმურაზი. მიეგება სეიდაბადში ვახტანგი შეილებით, ბაქარით და ვახუშტით\*) და საშინლად დაამარცხეს, თუმცა კოსტანტინეს ეხმარებოდენ, ყევნის ბრძანებით, განჯის და ერევნის ხანები. დამარცხებულმა კოსტანტინემ მოითხოვა ზავი, მაგრამ მოლაპარაკების დროს ვახტანგის მტრებმა კოსტანტინეს მისცეს მხარი; მიიმხრეს აგრეთვე ლეკებიც და უგრძნეულად დაეცენ ვახტანგს 1723 წ. დაამარცხეს, აიღეს ტფილისი და სულ მიწასთან გაასწორეს: დასწვეს სიონი და ხატები შეურაცხყვეს! ამას შემდეგ ყევნმა ქართლი მისცა კოსტანტინეს, მაგრამ ამავე წელს ძლიერმა ოსმალომ შემოუთვალა ვახტანგს: ერევნის და აღრიბეუანის დასაპყრობლად მივღივარ, მომეც მძევალი და მე გავაძევებ ქართლიდან შენს მტერსო. ვახტანგმა გაუგზავნა იესე და ბაქარი. ოსმალები მოვიდენ ყურ-

\*) ვახტანგის შეილი ისტორიული.

ყუთას (გზის-ყური). სარასკირს მიეგება კოსტანტინე  
და ჩაბარა ქალაქის კლიტე. ქალაქის ციხეში ოსმა-  
ლებმა ჩააყენეს ოსმალებივე. ამასთანავე აიღეს ოსმა-  
ლებმა გორის — ციხე, სურამის — ციხე და ცხინვალი.  
ბაქარს ჩაბარა ოსმალომ ქართლი და ქალაქი. ბაქა-  
რისვე თხოვნით კოსტანტინე დაიჭირეს ოსმალებმა და  
დაატუსალეს. თუმცა ქართლი და ქალაქი ბაქარს  
ჩაბარეს, მაგრამ ისე იქცეოდენ ეს ახალი სტუმრები,  
რომ ეხლა უფრო საშიში შეიქნა აქ ყოფნა. ამიტომაც  
ვახტანგი ამ დროს გორს იყო. ბაქარმა ჩუმად მიატევა  
ქალაქი და მამასთან ავიდა. ისარგებლა გარემოებით  
იესემ, მივიდა ოსმალებთან, მიიღო მაპმალიანობა მათს  
წესზე\*) და ამით ქართლის მეფობა ხელში ჩაიგდო  
(1724 წ.). იმედ მიღებული ვახტანგი ამდენ მღელ-  
ვარების გამო მიწვეულ იქმნა რუსეთში პეტრესგან  
1724, სადაც დარჩა 1730 წლამდის და ეგონა, რა-  
მეს გამოდნებოდა, მაგრამ ამაოდ. 1724 წ. დაიდვა  
ზავი სპარსეთს და ოსმალოს შეუა. ზავის ძალით  
ქართლ-კახეთი ეკუთვნიდა ოსმალოს.

ოსმალომ აღარც კოსტანტინე შეიწყნარა და  
აღარც იქსე. არც ერთს აღარავინ არაფერს აღარ ჭით-  
ხავდა: 1727 წ. მოკვდა იქსე. მის შემდეგ ნამდვილი  
მეფე ქართლ-კახეთში შეიქნა ახალციხის ფაშა. ისაკ  
(ჯაყელი), რომელიც იქამდის დამდაბლდა, რომ სიონი  
მიზგითად უნდოდა გადაექცია, მაგრამ წინააღმდეგა

\*) იყო ზირტი, ეხლა სუნიტი გახდა.

მას გივი ამილახვარი და ალარ გააბეჭდვინა. ისაყ-ფაშამ გაპყო ქართლი მაზრებად და თვითოვეულში თავისი ერთგული ოსმალები ჩააყენა. ქვეყანას დაადვა ხარკი. ხონთქარის ბრძანებით კახეთში მეფედ გაგზავნა თავისი შვილი უსუფ-ფაშა, რომელმაც მოტყუებით მოჰკლა კოსტანტინე (1729 წ.). ამავე დროს შეუსია კახეთს შაქ-შირვანის პატრონი სულხავი, რომელმაც მოსწვა, თელავი, შილდა და გავაზი. ოსმალო და მცვილრდა ქიზიუში (ყარალაჯი), ააშენა ციხე და შიგ თავისი ჯარი შეაყენა.

ამ დროს მიღის ოსმალოს ფაშასთან თეიმურაზი და მორჩილებას უცხადებს (1731 წ.). მტერმა ის იცნო მეფედ და მისცა კახეთი 1733 წ. აქედან ისაყ გადაღის იმერეთში ალექსანდრე მეფის დროს და მიიმხრობს იმერეთს, სამეგრელოს და აფხაზეთს. ამ გვარად მთელ საქართველოში ამ უამაღ დადგინდა ოსმალოს გავლენა.

გაძლიერდა სპარსეთი: მოკლა შაპ-თამაზი მისმა სარდალმა ნადირ-ყული-ხანმა (1732 წ.), მისი 8 თვის შვილი აბაზ III მეფედ გამოცხადა და თვითონ შეიქნა ერანის გამგე. ნადირი ათი ათას კაცით შეებრძოლა ოსმალოს (1733 წ.), რომელსაც სარდლობდა თოფალ-ფაშა. ნადირს უნდოდა მოესპო ოსმალოს. გავლენა კავკასიაში: დაამარცხა და მოკლა კიდევ თოფალ-ფაშა. ამ დროს შეიტყობს ყევნი, რომ რუსის დედოფლის ანნას რჩევით წამოსულა ვახტანგი დერბენდით (1734 წ.). და შეერთებულ ჯარით აულია:

შაქი, შირვანი. ამიტომ იქეთ გაეშურა და დაამარცხა  
სულხავი: აიღო განჯა, შაქი, შირვანი და სულხავშა  
ძლივ თავს უშველა. აქედან წამოიწია ნადირი ქართ-  
ლისკენ. ვახტანგმა შეატყო, რომ ვერას გახდებოდა  
უკან გაბრუნდა და ასტრახანს მივიღა. (ვახტანგი  
გადაიცვალა აქ 1737 წ. და დასაფლავებულია სა-  
კრებულო ტაძარში).

რუსეთმა ისევ დაუთმო სპარსეთს წალებული ალა-  
გები. თეიმურაზმა ისარგებლა შემთხვევით (1733 წ.)  
და ეხლა ყევნს უცხადებს მორჩილებას, თუმცა ორის  
წლის წინ ეთ ასმალოს განუცხადა ეგივე მორჩილება.  
თეიმურაზის მაგალითს მიჰყვა დანარჩენი კახელობა  
და გამართეს განცხადებული ომი ასმალების წინა-  
აღმდეგ კახეთში კახელებმა და ქართლში ქართ-  
ლელებმა. აიღეს ტფილისი. მიიჭრა გორიში გივი  
ამილახვარი, დაამარცხა ასმალო და გორიდან გა-  
აძევა. (ნადირმა შეირთო კახეთის მეფის დავითის  
შვილის მაჰმად-მირზას ქალი და ვითომ ამით დაუახ-  
ლოვდა ქართველობას). ნადირმა წინადადება მისცა  
თეიმურაზს ლეკებზე გალაშკრებულიყო, რადგან  
ისინი ასმალოს ეხმარებოდენ სპარსეთის წინააღმდეგ.  
თეიმურაზი შეიჭრა ლეკეთში, დაამარცხა მწარედ და  
ალაგმა კიდევ. სანამ განჯას აიღებდა ნადირი, მას  
აცნობეს, რომ ასმალო ასი ათას კაცით მოდის  
სპარსეთზე და წინაუდლვის მას სერასკირი აბდულახ-  
ქოფრულიო. საოცარ ომის შემდეგ რომელიც მოხდა  
1735 წ. სპარსეთმა ერთიანად დაამხო ასმალოს ყო-

ველი ძალა და თვითონ გაბატონდა ქართლ-კახეთში და შესანიშნავი ომი იყო ერევანთან. ერევნის შემდეგ ნაღირმა აიღო ლორე და ტფილისი. მართალია, ისმალი კი განდევნა ტფილისიდან ნაღირშა, მაგრამ თვითონ უფრო მტკიცედ დამკვიდრდა ქართლ-კახეთში. აქ გამოცხადდენ ნაღირთან კახელები და ქართლის ზოგიერთი დიდებულები. (თეიმურაზი აღმევე გამოცხადა ყევენს კახეთიდან და ეხლაც ეახლა). ნაღირმა იწყინა ეს ქართლელებისგან და გაუსია რაზმი ქვეყანას ასაკლებად. „არაგვი, ქსანი, საციაციანო, ზემო-ქართლი ააოხრეს, მოსწვეს; ეკლესიები შებილწეს“ და ტყვედ წაიყვანეს ხორსანს 800 კომლი. „მოსრნეს ყმაწვილნი, ვით ეროდე“. აქედან ნაღირი შევიდა კახეთში და, ვინც ურჩად იცნო, იმათაც ეს დღე დააყენა: ისინიც ხორასანში გადაგზავნა: კახეთიდან შევიდა შირვანს და დაღესტანს. ყველგან შიშის ზარი და თრთოლა შეიტანა \*). ძლევა-მოსილი ნაღირი დაბრუნდა მულანს, სადაც გამოცხადდენ მასთან ქართლ-კახელები და აქ საქვეყნოდ აღიარა თავი შაჰ-ნაღირად 1736 წ.

მწერლება მეჩგიდმეტე და შეთგრამეტე საუკუნეში.

მწერლობის მოძრაობას ერთობ შეუწყო ხელი მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ევროპიელებმა,

\* ) ამ გვარად ქართლ-კახეთში ისევ გაბატონდა სპარსეთი 1735 წ. ამავე წელს დაიბყრა სპარსეთმა ინდოეთი და აჯანყებული ყანდარი (ავგანი):

რომელთაც შემოიტანეს ჩვენში იმ დროს შეხედულობა და ცოდნა. ამიტომ საჭიროა მოკლედ მაინც მოთხრობა მათზე. პარველი მიწერ-მოწერა ევროპასთან გაიმართა რუსულანის დროს, როდესაც მან სთხოვა პაპს გრიგორი IX შემწეობა მონგოლების წინააღმდეგ. პაპმა შემწეობის ნაცვლად გამოგზავნა 7 ბერი, რომ რუსულანიც და მისი ერიც გაკათოლიკებულიყვენ, მაგრამ რუსულანმა ეს უარყო. 1229 წ. პაპმა ნიკოლოზ IV გამოგზავნა თავისი მღვდლები, რომელთაც ნება მისცეს ქართველებმა, ყოლოდათ თავისი ეპისკოპოსი ტფილისში. კოსტანტინე მესამემ (1469 — 1505) თავისი ელჩები გაგზავნა რომის პაპს ალექსანდრე IV-სთან.

ამ მიმოსვლამ და მიწერ-მოწერამ ნელ-ნელა დაუახლოვა კათოლიკობა ჩვენებს და მათმა მოძღვრებამ ფეხი მოიკიდა საქართველოში, განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოში. 1604 წლიდან მათი რიცხვი ისე მომრავლდა, რომ დაესახლენ ტფილისში, ქუთაისში, სამეგრელოში, გურიაში. კათოლიკე ბერები: იყვენ მეტად განათლებული პირები, იცოდენ ენები, ექიმობა. გულ-მოდგინედ სწავლობდენ ქართულს, რომ მის შემწეობით გაევრცელებინათ სწავლა ერში. ამ ენის შესასწავლად რომში დაწესდა „მოქადაგეთა სკოლა“, სადაც დაარსა პაპმა ქართულ ენის კათედრა და პროფესორად დაინიშნა ქართველივე — ირბახი, რომელიც „მთელ წინა-აზიაში განთქმული იყო მეცნიერებით და სადიპლომატო ელჩობით“.

ჰესულანმა ამ ირბახის შემწეობით შეადგინა და და დაბეჭდა 1626 წ. „ქართული ანბანი“ და შიგ ჩაურთო ლექსიკონი (3084 სიტყვა).

მაჯათშ (საქართველოში იყო) შეადგინა „ქართული გრამატიკა“, რომელიც დაიბეჭდა რომ 1643 წ.

ლელლაგალებ (1618—1627) დასწერა სპარსელებს და ოსმალოს შუა ატეხილი ომი საქართველოზე ჰეგემონიისთვის; აქვეა ნაამბობი მოურავის დალატი, ლუარსაბის სიკვდილი, მცხოვრებლების აყრა, ქეთევანის და თეიმურაზის შვილების წამებითი სიკვდილი. ყველას ამას ავტორი სააკადემია აბრა-ლებს.

ისკანდერ მუნჯი (1616) რომელიც მარტო აქებს მოურავს, რადგან ის იყო „დიდებულ შაპ-აბაზის“ მეგობარი.

ჭამმერი \*) აგვიწერს საქართველოს გმირულ ბრძოლას სპარსეთთან (1616—1629 წ.) აქ მოყვანილია მოურავის დალატი (ავტორი იხსენიებს მოურავის ფულს, რომელსაც ეწერა: „მოურავ-ხან მსახური შაპისა“).

არაქელი 1663. შოგვითხრობს ლუარსაბის, ქეთევანის და თეიმურაზის თავ გადასავალის და მოურავის დალატს დაწვრილებით.

შარდენი, რომელსაც აწერილი აქვს ჩვენი შინაური ცხოვრება.

\*) ოსმალეთის მწერალი.

თეიშერაზ I (+1663) დასწერა „ვარდ-ბულ-ბულბულიანი, ქეთევანის (დედის) წამება, ფარვანიანი, მირიანიანი, ლეილიანი, იოსებ და ზილიხა, სარკე თქულთა.

არჩილ მეფებ დასწერა „არჩილიანი“, რომელიც შეიცავს ლექსად ქართლის ცხოვრებას 1605—1663 წ.

იოსებ ტფილელი სააკაძე (1688). მან დასწერა „დიდ - მოურავიანი“, რომელშიაც მოთხრობილია ქართლის ცხოვრება გიორგი სააკაძის გამოჩენილან (1608) სიკვდილამდი (1628).

სეხნაა ჩეეიძე (1676) ვახტანგ V და გიორგი XI თანამედროვე. ამ პირების შესახებ ისტორია სეხნიასგან არის დაწერილი. სეხნია იყო თავის დროს გამოჩენილი ვაჟკაცი.

ფარსადან გიორგიჯანიძე. თანამედროვეა ვახტანგ V და გიორგი XI. მისი ისტორია როსტომ მეფემდი ხალხის გადმოცემის მიხედვით შეუდგენია და როსტომილან თავის ნახულის და გაგონილის მიხედვით.

მართა დედოფალმა გადააწერინა „ქართლის ცხოვრება (1636—1646 წ.) \*).

ანტონ ქათაღივასი.

საბა თებელიანმა \*\*): (1658—1725) დასწერა სიბრძნე სიცრუის წიგნი, შეადგინა ლექსიკონიდა სხ.

\* ) (+1681). ის იყო ლევან დადიანის ასული,

\*\*) გიორგი XI მმისწული.

დავით გურამიშვილმა დასწერა დავითიანი, რო-  
მელშიაც მოთხრობილია ვახტანგ VI და კოსტან-  
ტინეს შუა შური და მტრობა და საქართველოს  
დაწილკება.

იესე ქსნის ერთსთავმა: მოწამეობა ბიძინა,  
შალვა და ელიზბარის.

ვახტანგ VI (დაიბადა 15 სეკტემ. 1675 წ.).

ვახტანგ VI ისტორიკოსი.

ბაქარმა გამართა ზარაფხანა და მოაწრევინა ტფი-  
ლისში სპილენძის ფული. ზედ გამოხატულია ფარ-  
შავანგი.

პეტრე ლარაძე (+1837).

გადაზის ნაცვლიშვილმა (თელავის სემინარიის  
პირველი რეკტორი +1819) დასწერა, 1) გრამატიკა  
2) ქადაგება, 3) საქართველოს ისტორია, 4) სამლე-  
ლელო ისტორია, 5) კვიროსის ისტორია, 6) ძველი  
სამეფოების ისტორია, 7) მარკ ავტელი, 8) ველიზარი  
9) კიტაიის სიბრძნე და სხ.

თეიმურაზ III \*) (1733—1744) კახეთის მეფე

ჩვენ ვიცით, რომ 1733 წელს თეიმურაზი გა-  
მოცხადდა ოსმალოს წარმომაღვენელთან ისაყ ფა-  
შასთან, რომელმაც იცნო მისი უზენაესი უფლება  
კახეთზე, მაგრამ, როდესაც, 1735 წელს ნადირმა სა-  
მუდამოდ მოსპო ოსმალოს ბატონობა აღმოსავლეთ

\*) ერეკლე I ძე.

საქართველოში, მაშინ თეიმურაზი გაეშურა ნადირთან. ამ დროს ნადირი იყო მუღანში. აქ ის გამოცხადდა ყევნთან და აღიარა თავისი მორჩილება: ყევნს, რასაკვირველია, სასიამოვნოდ დაურჩა თეიმურაზის ქცევა და კახეთის მეფედ დაატკიცა. ქართლშივე ამავე ნადირმა მმართველად დატევა თავის მხრით, ტფილისიდან წასვლის დროს, სეფე-ხანი. სეფე-ხანს რომ უფრო კარგად განეხორციელებინა ყევნის სურვილი, დაეცა იდუმალ და დაატუსაღა თეიმურაზი, გივი ამილახვარი, შანშე და ბარძიმ ერისთავები, ლუარსაბ თარხანი, სახლთ-ხუცესი გივი ჩოლაყაშვილი, ქიხოსრო ქიზიყის მოურავი და ყველა ტყვედ გაუგზავნა ნადირს ყანდაარში. ასე უსამართლოდ დასჯილებს ერთი-და დარჩენოდათ: თავისი ერთგულება გამოეჩინათ ყევნისთვის; რომ მალე დაბრუნებულიყვენ სამშობლოში და, მართლაც, რაც ნადირი ყანდაარში დარჩა, ნეფე სულ გასთან იყო და საოცარი სიმამაცეც გამოიჩინა ყანდაარელების წინააღმდეგ: თეიმურაზმა ყევნის ისეთი ყურადღება დაიმსახურა, რომ თვითონ ურჩია წამოსვლა სამშობლოში, მხოლოდ მის მაგიერ დაიბარა ნორჩი „პატარა კახი“, ერეკლე და ალუთქვა კიდეც შემდეგში პატივი და დიდება: კახელები წინააღმდეგები იყვენ, მაგრამ თვითონ ერეკლემ გადაწყვიტა: მამა უნდა გამოვიხსნაო.\*).

ვახტანგ VI სიდე იყო თეიმურაზ III: მას ყავდა

\*) ერეკლე დაიბადა 1718.

ცოლად ვახტანგის ასული თამარ, ერეკლეს დედა. ორივე, მამა და შვილი, ისე არიან ერთმანეთთან შეკავშირებულები, რომ მათზე ცალკე ლაპარაკი არ შეიძლება 1744 წლამდი, რადგან ორივე მოქმედებენ ამავე დროს კახეთში. 12 წლის ან 13-იქნებოდა ერეკლე, მამამ რომ ის კახეთის ჯარის სარდლად დანიშნა. 14 წლის იყო, პირველად რომ შემოსულ ლეკებს პირი აბრუნებინა. რასაც იქმოდაო, ამბობს მემატიანე\*) „ფალავანის შესაღარისს იქმოდაო“. და მართლაც, სწორედ ამ დროს უნდოდა ქვეყანას ყოველ მხრით ფალავანი. ამ ხანაში ქვეყნის მტრები იყვნენ სპარსელები, ოსმალები, ლეკები, ჩერქეზები და შიგნით — გაზვიადებული მებატონეები. ქვეყანა მტრის წყალობით მეტად გაღარიბებული იყო უსამართლო გადასახადებით. უკეთესი შვილები ან გაწყდენ მტერთან ამში, ან გადისვეწენ სპარსეთში, ოსმალოში და რუსეთში. მამა-შვილის დედა აზრი იყო, ამ გარემოებაში კახეთი მოემტკიცებინათ და მერე ქართლიც შემოექრთებინათ, რომ არ დასუსტებულისგან ერთი გალონიერებული სამეფო გამხდარიყო. მაგრამ, რადგან ამ დროს ქართლ-კახეთის ტახტის გამრიგებელი სპარსეთი იყო, მამა-შვილმაც საჭიროდ დაინახეს ყენის გული მოეგოთ თავის ერთგულ სამსახურით. ამ გზას დიდი ხანია აღგა თეიმურაზი II, რომელიც ყენთან გამოცხადდა 1733 წ.

\*) ამ დროს ყენმა ქართლის გამგედ ჰანიშნა თეიმურაზის ძმისწული ალექსანდრე.

ეს ის დროა, როცა ნადირ-შაჲ სასიკვდილოდ ეპრძევის ოსმალოს. თეიმურაზიც დაეცემა ოსმალოს ჯარს (უსუფ-ფაშა) მაღაროს და დაამარცხებს (1734) ისე, რომ უსუფმა ძლივს თავს უშველა.

შემოესიენ კახეთს ლეკები (1735). ამ დროს 15 წლის ერეკლემ შემოიკრიბა კახელები, მიეტევენ და პირველად მან მოკლა მტერთაგანი ლეკი. ამან მეტად გაამხნევა კახელები, გადაერიენ ლეკებს და დაამარცხეს. ამავე წელს წაართვა ყევნმა ოსმალოს შირვანი, ყარაბაღი, განჯა, ყარსი და მიადგა ერევანს. ოსმალო გადიხვეწა ახალ-კიხეს.

ერეკლე წავიდა სპარსეთს. მისვლისათანავე წინადადება მისცა ყევნბა, სარწმუნოება გამოიცვალეო, მაგრამ ერეკლემ უარი უთხრა. ნადირმა ძალა აღარ დაატანა. ნადირი გაეშურა ინდოეთში სალაშქროდ და ერეკლეც თან წაიყვანა. დაიპყრა ინდოეთი\*), სინდეთი და ისევ ყანდაარს დაბრუნდა. გასაოცარი სიკისკასე, სიმხნე და მამაცობა გამოიჩინა ახალ-გაზდა ერეკლემ. ამის თვის ყევნმა უთხრა: წადი სახლში და მარადის ჩვენი მოიმედე იყავი, მხოლოდ ერთგული იყავიო. ერეკლე დაბრუნდა 1739 წ.

როდესაც მამა-შვილი უცხოეთში იყვენ, განუდგა ყევნს ალექსანდრე და მოინდომა კახეთში გამეფება. რომ სურვილი ვერ შეასრულა, წავიდა ყევნთან ყანდაარს და თავისი დანაშაული აღიარა. იქ

\* ) ინდოეთის მეფე ამადა შემოება 300 ათასი კაცით.

მოიკლა ალექსანდრე ომში ავლანებთან. ნადირმა შემოუთვალა (1739) თეიმურაზს, შესულიყო დაუწყნარებელ ჭარში და გაენადგურებინა იქაურობა, რადგან ლეკები და ჭარელები მოსვენებას არ აძლევდენ კახეთს. ჭარელებს ეხმარებოდა ახალ-ციხის ფაშა (უსუფ). თეიმურაზს ეხმარებოდა ადრიბეჟანის სპასალიარი. დამარცხდენ ლეკები და ჭარელები. თეიმურაზმა მოარბია მათი ქვეყანა და დაბრუნდა უკან. თავი ჯარი წინ გამოგზავნა სპასალიარმა და თვითონ კი უკან წამოვიდა მცირე ჯარით. ამ დროს დაეცენ ჩასაფრებული ლეკები და მოკლეს სპასალიარი, რომელიც იყო ყეენის ლვიძლი ძმა. ეს ვეღარ მოითმინა ყეენმა და (1741 წელს) არდაბილიდან მოსუა ჯარი თეიმურაზს ჭარელების წინააღმდეგ. თეიმურაზმა დაამარცხა ჭარელები და დიდ-ძალი ტყვე წარუდგინა ყეენს. თეიმურაზი ყეენმა თელავს გაგზავნა და თვითონ დალესტნისკენ წავიდა ლეკების შესამუსრავად. ყეენთან იყო ამ დროს გივი ამილახვარი, რომელსაც უბობა მან ქსნის ხეობა და ჭართლის. ვექილობა, რადგან თეიმურაზი თელავს იყო.

ამ დროს ჭართლში მეტის-მეტი გაჭირვებაა: ყეენისგან ერთობ დიდი გადასახადი აძევს ქვეყანას. ჭართველებმა დიდხანს ითმინეს, შაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლეს მძიმე ულლის ტვირთს და შეითქვენ. გივმა სთხოვა შემწეობა თეიმურაზს, მაგრამ მისგან უარი მიიღო. მაშინ გივმა შოიწვია ლეკები, რომელსაც მოთავეობდა განთქმული დალესტანის ბელადი მა-

ლაჩი. გივს ეხმარებოდა აგრეთვე ახალციხის ფაშა. მამა-შვილმა (თეიმურაზმა და ერეკლემ) დაამარცხეს გივი. დამარცხებულმა შიაშვირა სურამს და იქ გა- მაგრდა ციხეში. გივიმ კიდე დაიბარა ახალი ჯარი ლეკეთიდან.

შირვანის ელებმა რომ გივის განდგომა შეიტ- ყვეს, ისინიც აუჯანყდენ ყენს. ამათ მიემხრენ მთი- ულები, ოსები, ჩურქეზები, ლეკები და ოსმალო. თეიმურაზი შევიდა ქსნის ხეობაში და ყველა დაი- მორჩილა. ამ დროს გივის მოუვიდა ჯარი, და მოინ- დომა თეიმურაზს თავს დასხმოდა, მაგრამ მეფემ შე- იტყო და მის წინააღმდეგ გაგზავნა ერეკლე. შე- მოადგა ერეკლე აჩაბეთის ციხეს, საღაც იყო გამაგ- რებული მტერი, და აილო. შეებრძოლა გივი ერეკ- ლეს, მაგრამ საოცრად დამარცხდა 1744 წ. ამ დღეს ფალავანს შეედრებოდა ერეკლეო, ამბობს მემატიანე.

გაჩნდა ოსმალეთში ცრუ „ყენისძე“, რომელსაც მოსუა ჯარი ოსმალომ და გამოისცუმრა სპარსეთის წინააღმდეგ. ცრუ „ყენის ძეშ“ ბინად აირჩია შირ- ვანი, საითკენაც გაეშურა კიდეც და გამაგრდა. ყე- ნმა გაგზავნა მის წინააღმდეგ თავისი შვილი ნას- რულა მირზა. ნასრულა მირზას მისვლაზე „ყენის ძე“ შეშინდა და ქსნის ხეობას შეეფარა, ეგონა იქ დაიმალებოდა, რადგან აქ იყო გივი ამილახვარი და იმედი ჰქონდა, ის გააცილებდა ყარსამდი. ეს რომ შეიტყო ერეკლემ, შეესია ჯარით, შეიპყრა და ტუ- სალად ანანურის ციხეში შეაგდო. ეს ამბავი ერეკ-

ლემ ყევნსაც და მის შვილსაც აცნობა. ნასრულაშ მოითხოვა „ყევნის ძე“ ერეკლემ მოართვა. ორივე მამა-შვილმა დიდი მაღლობა და საჩუქარი მიიღეს.

არ მოისცენეს ოსმალებმა: უსუფ-ფაშა მოვიდა სურამს, გაგზავნა აქედან კაცები და ფული, ლეკი-თიდან ჯარი გამოეყვანათ. ჯარს მოთავეობდა დაღესტანის ბელადი მალაჩი. ერეკლე დახვდა არაგვთან მცხეთის პირდაპირ და საოცრად დაამარცხა. თვითონ თავის ხელით მოკლა მალაჩი. შეშინდა უსუფ-ფაშა და გაიქცა ახალციხეს 1744 წ. ამან ისე გაახარა ნადირი, რომ თეიმურაზს უბობა ქართლის მეფობა და ერეკლეს — ქახეთის 1744 წ.

თეიმურაზ II ქართლის მეფე (1744—1762).

ერეკლე II ქახეთის მეფე (1744—1798 წ.).

ამ დროდან იწყება ერეკლეს სრული მოთავევეობა ყველა საქმეში, მაგრამ ამას ხელს უშლის შემდეგი გარემოება. ქართლის დიდებულებმა ითაკილეს ქართლში თეიმურაზის გამეფება, რადგან ქართლის მემკვიდრედ შესცემეროდენ ვახტანგის სახლს. მართალია, ვახტანგი სახლობით გადავიდა რუსეთს, მაგრამ მას ჰყავდა ქართლში თავის მომხრეები: ესენი იყვენ გივი ამილახვარი და მუხრან-ბატონი. ჯერ-ჯერობით ესენი ჩუბად იყვენ, იმიტომ რომ ამ ხანაში (1725—1735 წლამდი) მეტად მძლავრობდა და ბატონობდა ოსმალო საქართველოში. ეხლა გარემოება შეიცვალა: შინაგან საქმეში ყევნი არ ერევა. ორივე მამა-შვილი თავის წესზე განაგებენ ქვეყნის საქმეს.

ქართლის დიდებულების უკმაყოფილებას თეიმურაზი  
და მისი მეუღლე თამარ, ვახტანგ VI ასული, ქარ-  
გად ხელვიდენ და ამიტომ იხმარეს გონიერება, არა-  
ვითარი შფოთი და რყევა არ მომხდარიყო. ამის მი-  
ხედვით თამარი ჩამოვიდა ქართლში, მოიწვია დიდე-  
ბულები და გამოაცხადა: მე ვარ ქართლის ტახტის  
მემკვიდრე და მე ვიქნები ქართლის მჰკობელიო; თეიმურაზი არაფერ საქმეში არ გაერევაო. ეს აღუთ-  
ქვა მათ ფიცით. აღუთქვა და მართლაც შეასრულა;  
თეიმურაზი ან იყო ქოლაგირში, ან დბანისში. დბანი-  
სიდან გამოსცა მან ბრძანება: „ქართლის კათალიკოსად  
დაადგინეთ ქართლის მეფის სახლის შვილი, ვახტან-  
გის ძმისწული, ანტონ იესეს-ძე“. ამ გარემოებამ კიდე  
უფრო დააახლოვა მეფე და ქართლელები. ანტონი  
ჟვიდა საკათალიკოზო ტახტზე 1744 წ.

გივა არ იცნო მაინც ქართლის უფროსად  
არც თეიმურაზი და არც თამარ. მეფეს უნდოდა  
სისხლ-დაუღვრელად ჭათავებულიყო საქმე, მაგრამ  
გივი არ დამორჩილდა. ამიტომ მეფე თეიმურაზ ჯა-  
რით შემოადგა სურამის ციხეს, სადაც გამაგრებუ-  
ლი იყო გივი. გივს მხარს ძლიერდა ახალ-ციხის  
ფაშა. ეს რომ ერეკლემ გაიგო, გადმოვიდა, ეკვეთა-  
სამალოს ჯარს და გივისას და მტვრად აქცია-  
მიჰყვა გაქცეულ ფაშას ერეკლე, შევიდა სამცხეში  
და საკირის-ციხე აიღო. რაკი გივი არ დანებდა  
თეიმურაზს ნებით, ნაღმი მისცა ბატონმა და ცი-  
ხის ნახევარი დაინგრა. მხოლოდ მაშინ მოი-

ჭარა თავი გამედიდურებულ მებატონებ მეფის წინ. დანაშაული აპატივეს. ეს იყო (1745 წ.). (ამავე წელს ართაჩაიზე (ახურიანზე) სრულიად დალეწა ყევნმა ოსმალო).

ლეკებმა და ოსებმა თავისი არ შოიშალეს. ერეკლე მევიდა ქართლ-კახეთის ჯარით, დაამარცხა და დაანგრია 40 ციხე (1746 წ.). მაშინ კი ლეკებმა და ოსებმა სრული მორჩილება განაცხადეს და შოხარე გახდენ.

ხანგრძლივმა ომმა ოსმალეთთან, ავღანებთან, ბულუპებთან, ინდოეთში და კავკასიაში მეტად და-აღარიბა სპარსეთი. ამიტომ ხაზინის გასაძლიერებლად ყოველ ქვეყანას შეაწერა ყევნმა გადასახადი 1747 წ. ამ შეწერის ძალით ქართლ-კახეთს უნდა მიეცა 200 ათასი თუმანი. ცუდ მდგომარეობაში ჩაგდო ესეთმა გარემოებამ ორივე მამა-შვილი. ითათბირეს ქართველებმა და გადაწყვიტეს არ მიეცათ გადასახადი. მაგრამ ამას ხომ ომი უნდა მოყოლოდა, რაღაც იცოდენ კარგად, ამას ყევნი ქვეყანას არ აპატივებდა. ამიტომ გაამაგრეს ციხეები და მკვიდრი დახიზნეს. ეს ამბავი რომ შეიტყვეს სხვებმა, იმათაც აიღეს თავის განუდგა სპარსეთს აღრიბეენი, ერევნის ხანი, რომელმაც მოსწერა კიდეც თეიმურაზს და ერეკლეს: მოგვემხრეთ და გვიყმეთო.

ყოველ შემთხვევაში, გადასახადის შესახებ პასუხი უნდა მიეტანა სპარსეთში ერეკლეს. ქართველებმა ითათბირეს და ერეკლეს მაგიერ გაგზავნეს.

თეიმურაზი, რომ სრული მორჩილება განუცხადოს. სანამ თეიმურაზი ყაზვინს ჩავიღოდოდა, სპარსეთში არეულობა მოხდა და ამ არეულობის მსხვერპლი შეიქნა ნადირშა. ის მოკლა მისმა ძმისწულმა ადილშამ. მის სიკვდილზე აჯანყდენ თავრიზელები და ყენად ვიღაც საამ-შაჰ აირჩიეს. ამხანაში თეიმურაზი სპარსეთს ჩავიდა და იქ დიდხანს დარჩა; ბევრს ქართველს ეგონა კადეც, ამ არეულობის დროს, იქნება თეიმურაზი დაიღუპაო და იესეს (ვახტანგ VI ძმა) შვილის აბდულა ბეგის მოთავეობით საბარიათიანოდან შემოუთვალეს ერეკლეს: თუ თეიმურაზი არ ჩამოვა, ქართლი ჩემია, არავის დავანებებო. გაამაგრა აბდულა ბეგმა სამშვილდე, მოიმხრო თავრიზის ძალით გაყენებული საამშაც. საამშას მიყვა ყაზახ-ბორჩალო, ყარაბაღი, განჯა. საამშა სწერდა ქართლელებს: ქართლი ჩემია, მე მემსახურეთო. ერეკლეს სწერდა: შენ შენს კახეთს ეპატრონეო. ჯერ ერეკლემ მოინდომა ყაზახ-ბორჩალოს დასჯა, მაგრამ, როგორც კი ჯარი შეკრიბა, ყაზახ-ბორჩალომ მაშინვე თავის მოთავე კაცების პირით შენდობა და მიტევება ითხოვეს. ერეკლემაც მიუტევა. ერეკლემ დაამარცხა აბდულა ბეგის ყველა მომხრე. აბდულა ბეგმა მოიწვია. ლეკები და ადრიბეჭანის სპასალარი. ამათ სამშვილდე ჩაიგდეს. ხელში და ქვემო ქართლს დაუწყეს რბევა. ერეკლემ ყველა დაამარცხა და სამშვილდეც წაართვა მათ. ლეკებიც და აბდულა ბეგიც გაიქცენ (1748 წ.).

1749 წ. დაბრუნდა თეიმურაზი. სპარსეთში სა-

შინელი არეულობა მოხდა: აღილ-შა-მოჰკულა მისმა ძმაშ  
იბრეიმმა და თვითონ დაჯდა ყევნად. იბრეიმი მო-  
ჰკულა ნაღირშას შვილი-შვილმა როხშა და ეხლა. ეს  
გაყეინდა. აირია ქვეყანა: მთელი სპარსეთი გაიყო  
კუთხებად და დაუწყეს ერთმანეთს ულეტა. თვითეულ  
კუთხის ხანი განთავისუფლებას და გახვლმწიფებას  
ფიქრობდა.

ხარგვითაბის ომი 1749 წ. ამ გვარადვე გა-  
მოჩნდა აღრიბეფანშიაც ვილაც ავლანის ხანი მაჰმად-  
ხანი, რომელმაც გაიმრავლა ჯარი და ყველასთვის  
საშიში შეიქნა. ვინც არ დაემორჩილებოდა, მიუხტე-  
ბოდა, დაამარცხებდა და დაიმორჩილებდა. ამნაირად  
დაეცა ის ერევნის ხანს, დაიპყრა ქალაქის გარემო  
ადგილები და ციხე-ქალაქს ალყა შემოარტყა. ხანმა  
მოსწერა მამა-შვილს: მოგვეშველეთ და გვიმსახუ-  
რეთო. მამა-შვილი გაემგზავრენ ჯარით, შეებრძო-  
ლენ მტერს და დაამარცხეს. მაჰმად განჯისკენ გაე-  
შურა: ბარდას ახლო იყო ხარგვითაბის-ციხე და ის  
ციხე გაამაგრა. ქართველები მიყვენ კვალ-და-კვალ.  
მაჰმადმა გაშალა ჯარი: თუ ველზე ვერ გავიმარ-  
ჯვებ, საფარი ახლო მექნებაო. მაგრამ ვერ გაქრა  
მისმა ხერხმა: ერეკლემ აქაც დაამარცხა, ხარგვი-  
რაბის-ციხეც აიღო და მაჰმადის სახლობა დაატ-  
ყვევა; ერევნის ხანის ძმა რომ ტყვედ ყავდა მაჰმადს,  
ის გაათავისუფლა, და გამარჯვებული. დაბრუნდა  
ერევანში და იქმდან — ტფილისში.

ქართაფას ომი 1750 წ. სანამ ქართველები

ტფილისში დაბრუნდებოდენ, მამალ-ხანის თხოვნით  
ყარაბალის ხანმა ფანამ შეკრიბა ჯარი, დაიჭირა შა-  
შახია და მიაღვა განჯის ხანს შავერდს. შავერდიმ  
პომართა მამა-შვილს: მოგვეშველეთ და გვიყმეთო-  
გადაეშველენ მამა-შვილი ფანას\*), მიეტევენ ყარათა-  
ფას, როგორც მშიერი ნადირი ფარას. დალეწეს მტერი,  
გააქციეს, არეზამდის სდიეს და, რაც რამ ქონდათ, ყვე-  
ლაფერი იქ დარჩათ. ამ გამარჯვებამ ადრიბეჟანელებზე  
ისეთი გავლენა იქონია, რომ მოვიდენ ხან ები და მორ-  
ჩილება გამოუცხადეს ორივე მამა-შვილს. ასე შემო-  
იყრთა ერეკლემ ყარაბალი, განჯა, ერევანი და ჭარი.

1752 წ. შემოვიდა ადერბეჟანში ნადირ-შას სარ-  
დალი (ავლანი) აზატ-ხანი, რომელმაც მოინდომა  
სპარსეთის ტახტის დაპყრობა. შემოვიდა და 40-ათასი  
კაცით შემოესია ერევნის ხანს, რომელიც ერეკლეს  
შოხარკე იყო. ერევნის ხანმა ეს გარემოება აცნობა  
ერეკლეს. გადაეშველა ერეკლე ერევნის ხანს. შე-  
მობრუნდა მაშინ აზატი და ერეკლესკენ გამოეშურა-  
დადგა გარნი—ჩაიზე. ერეკლემ დაზვერა მტერი და,  
რაკი შეატყო, დიდძალი ჯარი იყო, იხმარა შემდეგი  
ხერხი. გამოუცხადა თავის ჯარს (ნათასი იყო); სანამ  
მე თოფი არ დავცალო, ნურც თქვენ დასკლით.  
თქვენ მიცქირეთ მე და ჩემი განიმეორეთო. დააქვეითა.

\* ) მოწინავე რაზმში იყო რევაზ არბელიანი და თამაზ-  
ქიშიყის მოურავი. მემარჯვნე—ამირინდო ამილახვარი, შემარ-  
ცხნე—მუხრანბატონი, შუაგულში —თეიმურაზ, მთავარ სარ-  
დალი—ერეკლე.

ჯარი და თვითონ ხელში თავის ცხენით და თოფით  
წინ წაუძღვა იქითენ, სადაც მტრის უფრო სქელი  
დასტა იყო. ამ დროს ერთმა ხანთაგანმა მოახსენა  
აზატხანს: მიბრძანე, ცოცხლად შევიპყრა, ერეკლე  
და მოგართვაო. აზატმაც ნება დართო. გამოქანდა  
ზანი წინ თავის ცხენოსან რაზმით და მოაქანა  
ქართველებს: „სად არის ირაკლი მეფე?“ აქა ვარ,  
შესძახა ერეკლემ და იჭექა მისმა თოფმა. ცხენიდან  
უსულოდ გადმოვარდა ხანი. იგრიალა ქართველების  
თოფმა და მთელი ცხენოსანი წინა რაზმი ძირს  
დაეცა. მოვლო მაშინ ერეკლე თავის ლურჯას და  
შეყივლა: ჰე მაგათო. შევარდენივით ტრიალებდა  
ერეკლე მტრის რაზმში და ჩალასავით აფენდა ძირს.  
მისგან გამხნევებული ქართველობა დაერია სპარსე-  
ლებს, მტერს შიშის ზარი დაეცა და აირია. აზატი  
შეშინდა და პირი იბრუნა, თავს უშველა. მთელი  
ბანაკის ალაფი ქართველებს დარჩა; სხვათა შორის  
იყო 24 ზარბაზანი და 200 ზამბულაკი.

გამეფდა სპარსეთში ქარიმ-ხანი. ქარიმ-ხანმა  
სთხოვა ერეკლეს, რამნაირად შეეპყრა აზატი\*). ერეკ-  
ლემ აუსრულა თხოვნა: მეორედ შეებრძოლა აზატს და  
კიდევ დაამარცხა. დამარცხებული გაიქცა აზატი და-  
ლესტანში დასამალავად, მაგრამ ერეკლემ შეიპყრა  
და ყეენს მიართვა.

ავარის ხანმა და ხუნძახის — ხანმა ომარ-ხან, შე-

\* აზატს ყავდა ცოლად თეიმურაზის ნათესავთ.

მოიკრიბეს ლეკები და შემოესიენ იდუმალ შიგნით-კახეთს. აქედან გადავიდენ არაგვზედ და მოვიდენ ლუშეთს. მიეგებენ მეფეები მტერს და დაამარცხეს. მეორედ 1755 წ. შეკრბენ ავარის ხანი; კაკის — ხანი, ხუნძახის ომარ ხანი, შაქის ხანი (ალაქიში), შირვანის ხანი და მოადგენ ყვარელის ციხეს (20 ათასი კაცით). ერეკლე შეებრძოლა მათ და დაამარცხა. დაამარცხებულები გაიქცენ. ერეკლე შეიკრა ჭარში, მოარბია, მოსწვა და მორჩილებაში მოიყვანა. 1757 წ. დაამარცხა და ქედს გადაღმა გადარეკა ცხინვალს ჩამოსული ბელადი ჩონჩოლ მუსა ლეკების ჯარით. 1758 წ.: დაამარცხა ლეკის ჯარი ლართის — კართან. 1759 წ. ჩამოვიდა ლეკების ჯარი, რომელთაც მოთავეობდა მათი ბელადი კოხტა და ჩონჩოლმუსა; მოვლეს, ლიახვი, დაარბიეს სამაჩაბლო და ატოცის ციხეს შემოადგენ. გადაიჭრენ მამა-შვილი. მათ შხარი მოსუა იმერეთის მეფე სოლომონ I. მეფეებმა აიღეს ციხე, დაამარცხეს მტერი და გააგდეს საზღვრიდან.

1755 წ. აიმალლა ხმა საბა ნინოწმინდელმა: საქვეყნოდ გამოაცხადა, ანტონ კათალიკოსი კათოლიკების მომხრეა და უნდა თავისი სამწყო გააკათოლიკოსო, ამიტომ ლირსია ექსორიობისო, თეიმურაზმა მოახდინა კრება. ამ კრებამ ჩამოართვა ანტონს კათალიკოსობა. ანტონი წავიდა რუსეთს (1756). ამის შემდეგ (1760 წ.) მამა-შვილს შუა მოხდა რაღაც უკმაყოფილება, რომლის გამო თეიმურაზი რუსეთს გაეშურა. დაბრუნებულზე გადაიცვალა

ასტრახანში (1762 წ.). ამ დროდან ერეკლე შეიქნა ქართლ-კახეთის თვითმშეყრობელი.

ეს ითავისულია ვახტანგ VI შვილმა პატამ, რომელიც რუსეთში იზრდებოდა პატა. (ჩან შემოვლით საფრანგეთი) ჩამოვიდა ტფილის მამის ტახტის საძიებლად და შეთქმულობა მოახდინა (1765). ეს შეთქმულობა გამჟღავნდა და ერეკლემ დამნაშავეები საბჭოს გადასცა. საბჭომ ცველა ისინი დასაჯა. გაჩნდა მეორე პრეტენდენტი. ეს იყო ბაქარის შვილი ალექსანდრე, რომელიც ფრეთვე იზრდებოდა რუსეთში (და პოლკოვნიკის ჩინში იყო). რუსებმა მოიცვანეს ალექსანდრე ყიზლარში (1766 წ. 2 მაისს) და აქ თავი მიანებეს. ალექსანდრე აქედან გადავიდა სპარსეთში და ცენტრალუსუცხადა: მომეცი ჯარი და ქართლ-კახეთს დაგიმორჩელებო. გასკრა ცდამ, ჯარი იშოვა: ცენტრალუსუცხადა ლეკებს და გილანის ხანს, მოეხმარეთო. აქაც შეთქმულობა გაიმართა. მაგრამ ერეკლემ ესეც შეიტყო, და ესენიც საბჭოს გადაწყვეტილებით სასტიკად დასაჯეს.

1768 წ. რუსეთის დედოფალმა ეკატერინემ ომი გამოუცხადა თამაღეთს და შემწეობა სთხოვა ერეკლეს და იმერეთის მეფეს სოლომონ I, გალაშქრებულიყვნ ახალციხეზე. ამისგამო რუსეთიდან ჩამოვიდა გენერალი ტოტლებენი რუსის ჯარით (1769 წ. 29 აგვ.) შეიყარენ მეფე და ტოტლებენი სურამს (1770 წ. 17 მარტს) და გადაწყვიტეს გალაშქრება-17 აპრილს მივიდენ აწყურს. აქ იყო თამაღოს ჯარი

და ლეკები კოხტა ბელადის შოთავეობით. 19 აპ-  
რილს რაღაც უკმაყოფილება მოხდა ერეკლეს და  
ტოტლებენს შუა და გენერალი წავიდა. დარჩა ერეკლე  
მარტო, მაგრამ არ შეშინდა: შეებრძოლა ოსმალოს  
და დაამარცხა. ერეკლემ წაიწია წინ და დადგა ხერ-  
თვისს და ახალქალაქს შუა. ოსმალოს ჯარს მოემატა  
კიდე ახალი ჯარი ახალციხიდან. ეს ჯარი გადმო-  
ვიდა ასპინძის ხიდზე და შეუერთდა დანარჩენს.

ასპინძის ფაზ. 20 პრიალს 1770 წ. ერეკლემ  
იდუმალ გაგზავნა კაცები და ასპინძის ხიდის ისრები  
დაახერხვინა, რომ კიდე არ მოშველებოდენ ოსმა-  
ლებს ახალციხიდან ჯარები. ასტყდა შუადლისას ზარ-  
ბაზნების ცემა ორივე მხრიდან: გაიმართა ფიცხელი  
ომი. მოაწერა მტრის ურიცხვი გუნდი ქართველებს.  
ერეკლემ მიმართა თავის მეომრებს სამეფო სიტყვით,  
გაამხნევა და თვითონ წინა რაზმი გადავარდა. შე-  
ხედა, მოაქროლებს თავის რაზმს ყველაზე წინ კოხტა  
ბელადი. იგრიალა ერეკლეს თოვმა, და კოხტა ბე-  
ლადი ცხენიდან მიწაზე დაეცა. ამან საშინელი თავ-  
ზარი დასცა მტერს; შედრკენ ოსმალები. ერეკლემ  
რომ ეს შეატყო, შეკივლა თავისებურად თავის ლომ-  
გულებს: ხმალი წუნკლებსო. იშიშვლეს ხმალი ქართ-  
ველებმა და მიყვენ მტრის კაფვას. თავზარ დაცემულმა  
მტრის ჯარმა იბრუნა პირი და ასპინძის ხიდს მიმართა;  
მაგრამ აქ ხიდი ჩატყდა და მტერი მტკვრის მსხვერპლი  
შეიქნა. გამარჯვებული მეფე დაბრუნდა უკან. (1772 წ.) რუსები შეურიგდენ ოსმალოს და

მის შემდეგ ოსმალო და ლეკები მოსვენებას აღარ აძლევდენ ქართლ-კახეთს, მაგრამ მაინც, საღაც კი ერეკლე გამოჩნდებოდა, მტერი უთუოდ დამარცხდებოდა: ასე მოუვიდათ არტაანში, კოლაში, ჯავახეთში და ბაიაზეთში მყოფ ოსმალებს. ამ გარემოებამ ხონთ-ქარი აჩივლა ქარიმ-ხანთან: აგიშვია ლომი ერეკლე და მოსვენებას არ გვაძლევსო. ყეენმა დიდი მად-ლობა და საჩუქარი უძღვნა ერეკლეს: როგორ არ ვსცე პატივი ერეკლეს, როდესაც ხონთქარი ჩემ წინ დააჩიქაო.

ამ ხანაში განუდგა ერეკლეს ერევნის ხანი (ასან-ალი-ხან) და აღარ ინება ხარკის მოცემა. ერეკლე შე-მოერტყა ერევანს და მისი გარემო სულ დააჭირა. ხანი შეშინდა და ბაიაზეთში გაიქცა. ერეკლე მიყვა კვალ-და-კვალ და მოარბია სრულიად ბაიაზეთი. შეშინდენ ადრი ბეჭანის ხანები \*) და მორჩილება განუცხადეს. ერევნის ხანმა ითხოვა ზავი და ორკეც ხარკის მოცემა. შემდეგ ში ერევნის ხანის მოქმედებამ რაღაც ეჭვი დაბადა. ამიტომ თავის მხრით ერეკლემ ერევანში მოურავად დაადგინა სიძე თავისი ითანე (კოსტანტინეს-ძე) მუხრან ბატონი.

არ მოასვენენ ბატონი მაინც ლეკებმა და ბაქარის შვილმა ალექსანდრემ. ალექსანდრე შევიდა ლეკეთში. მას მიერმარენ ხონთქარის შეგონებით ლეკების სამფლონ-ბელოები, ჭარელები და, სხვათა შორის, ხუნძახის-

\*) (ხოის, ურუმის, შაყიყის, მარალის ბაიაზეთის; ამას მიყვენ შორაგლის და ყარსის მხარე. ამგვარად ერეკლეს ემორ-ჩილებოდენ: შუშის, ერევნის, განჯის, ყარაბალის და შაქ-შირ-ვანის ხანები).

ბატონი ომარხანი და ახალციხის ფაშა (სელეიმან),  
მაგრამ არა გამოვიდარა: დამარცხდენ.

შევიწროვებული შინაგან პრეტენდენტებისგან  
შეფე სწერს 1781 და 1782 წ. რომის იმპერატორს  
ითხებ II და სთხოვს: მომებმარეთ და მეც მოვალედ  
გავხდი ჩემს თავს, გაჭირვების დროს მოგეშველოო.  
არც ერთ წერილზე პასუხი არ მოსვლია. მაშინ  
ერეკლე მიიქცა რუსეთისკენ და შეეკრა მას შემდეგ  
პირობით: ა. ქართლ-კახეთი მიეღო თავის მფარვე-  
ლობის ქვეშ. ბ. ერეკლეს შთამომავლობა მარადის  
ყოფილიყო შეფედ საქართველოში. ამით ვითომ  
ალაგმა თამაღო, სპარსეთი და ვახტანგის სახლობა.  
ამ ტრაკტატშა ბევრი ააყაყანა. წინეთ რომ ეშინო-  
დათ ერეკლეს აზრუმის, კარის, ვანის და ბაიაზეთის  
ხანებს, ეხლა უველა მტრად გადაეკიდა: განსაკუთ-  
რებით ახალციხის ფაშა სულეიმან, რომელმაც შეი-  
ერთა ლეკები და ჭარელები ომარხანის მეთაურობით.  
დანიშნულ დროს ომარხანი ჩამოვიდა იდუმალ ლე-  
კეთიდან, გაიარა კახეთი, გავიდა მტკვარში, მოარბია  
საბარათიანო და შეუერთდა სულეიმანს. აქედან ერ-  
თად აპირებდენ დაცემას ქართლზე, მაგრამ ხონთ-  
ქარის ფირმანმა შეაჩერა სულეიმანი: „როდესაც ხარი  
წევს, ნუ ერჩით და ნუ აიძულებთ, წამოდგეს, თო-  
რემ რჩოლას დაიწყებსო“ ამით გათავდა ეს შზადება  
ერეკლეს წინააღმდეგ.

შინაური საქმეები 1773 წ. ახტალის აღმოაჩინეს  
ოქო-ვეცხლის მაღანი, საღაც აჭრევინებდენ ქართულს

ფულს. ამავე წელს მეფემ დააწესა „მორიგი და ჯარი“. ეს კანონი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველ მკვიდრს, რომელსაც ქონდა სახნავ-სათესი ან ცხვარ-ძროხა, ერთი თვე უნდა ემსახურა მეფისთვის ჯარში, სადაც უბრძანებდა. თავისუფალი იყვენ თუშ-ფშავ-ხევსუ-რები, რადგან ისინი ლეკეთიდან მომავალ გზებს იცა-ვდენ. განთავისუფლებულები იყვენ აგრეთვე ვა-ჭარი და ხელოსანი. ჯარი იყო ცხენოსანი და ქვეითი.

ერეკლემ გამართა ტფილისში თოფხანა. 1763 წელს ტფილისში ასხამდენ ზარბაზნებს, ტყვიას და ყუმბარებს.

1783 წ. 28 მაისს გაიხსნა თელავის სემინარია, სადაც ყველა საგნებს ასწავლიდენ ქართულად. მაგრამ, რომ სემინარიაში შესვლა არ დაბრკოლებოდათ ყმაწვილებს, მათ ქონდათ პირველ დაწყებითი სასწავლებლები ყველა ეკლესიასთან და მონასტერთან. თელავის სემინარიის პირველი რეკტორი იყო გაიოზ (ნაცვლიშვილი), მეორე — დავით რეკტორი (მესხი). მეფე ზრუნავს, დაარსოს გორში მაღალი სასწავლებელი.

იმედება საეკლესიო წიგნები ქრისტეფორე კეშერაძის ზედამხედველობით.

ამ დროს ეკუთვნიან მწერლები: ბესიკი გაბა-შვილი (პოეტი), იონა ხელაშვილი, ამბროსი ნეკრე-სელი (მქადაგებელი), ტიმოთე ტფილელი (მოგზაური), პაპუნა ორბელიანი (ისტორიკოსი), ომან ხერ-ხეულიძე (ისტორიკოსი), ანტონ კათალიკოსი და სხ.

ერეკლემ მოსპო ქსნის ერისთავობა, როგორც  
ნაჩენებია „წყალობის წიგნში“, რადგან ეს ერის-  
თავები მუდამ შფოთის მიზეზი იყვენ საქართველოში.

1781 (23 აპრილს) იმერეთის მეფე სოლომონ  
დიდი გადაიცვალა. ამან გამოიწვია იმერეთის შე-  
მოერთება. თუმცა ჩამოვიდა კიდეც იმერეთიდან  
დეპუტაცია\*) ამ აზრით, მაგრამ ერეკლემ ეს ვერ  
ცნო მოხერხებულად და იმერეთი ისევ განცალკევე-  
ბულად დარჩა. ერეკლემ იქ დაადგინა მეფედ თავის  
შვილი-შვილი (ელენეს შვილი) დავით არჩილის-ძე,  
რომელიც იწოდა სოლომონ II.

სოლომონ მეორის და ერეკლეს დროს\*\*), მეფე  
სოლომონს და იქაურ მთავრებს შუა „ხელ-შეკრუ-  
ლობა“ დაიდგინა. ამ ხელ-შეკრულობის ძალით ერთის  
მტერი იყო დანარჩენის მტერი და ამიტომ გაჭირვე-  
ბულს უნდა უსათუოდ მიშველებოდენ დანარჩენი მო-  
კავშირები. ამ დროდან ქართველი ქართველზე ხმალს  
ვეღარ აიღებდა და, მაშა საღამე, ეხლა მხოლოდ ოს-  
მალოს, სპარსეთს და ლეკებს თვლიდენ მტრად და  
მათ წინააღმდეგ უნდა გასულიყო ყველა ერთად გა-  
ნურჩევლად ლიხს იქეთ იყო, თუ — აქეთ. „ხელშე-  
კრულობა“ კი დაიდგინა, მაგრამ გარემოებამ სხვა  
მოიტანა.

\*) დეპუტაციაში იყვენ: სარდალი პაპუნა წერეთელი,  
სახლო ხუცესი ზურაბ წერეთელი, ევთიმე გენათელი, დოსი-  
თეოს ქუთათელი, პატა მიქელაძე.

\*\*) (1790 წ.).

გადაიცვალა სპარსეთში ქარიმ-ხანი, რომელიც  
იყო ერეკლეს დიდი მეგობარი. მის სიკვდილს მოყვა.  
სპარსეთში საშინელი არეულება, რომელიც დას-  
რულდა 1791 წ. და ყევნად ავიდა სპარსეთის ტახ-  
ტზე ერეკლეს მტერი ყაჯარი აღა-მაჰმად-ხანი. აღა-  
მაჰმად-ხანს საზოგადოდ ერეკლეს მეგობრობა რუ-  
სეთთან არ მოსწონდა და შემოუთვალა: დამმორ-  
ჩილდი და ხარკი მომეციო. ეგვევ შემოუთვალა გან-  
ჯის ხანს, შუშის ხანს და ერევნის ხანს. შუშის და  
ერევნის ხანმა არ უდალატეს ერეკლეს. განჯის ხანი  
ჯავათი კი შაშინვე მიემხრო ყევნს. ერეკლემ თავის  
მხრით შეუთვალა უარი. მაშინ ყევნმა გამოუსია ჯა-  
რი ერევნის ხანს, მაგრამ ერეკლეს შვილმა ალექსან-  
დრემ დაამარცხა და გაფანტა ყევნის ჯარი. გაბრაზდა  
და წამოვიდა საშინელის სისტრაფით 80 წლის მაჰ-  
მადი. ჯერ შემოადგა შუშის ციხეს, მაგრამ, რომ  
დარწმუნდა, ციხე მაგარი იყო, აიყარა და საშინე-  
ლის სიჩქარით გამოეშურა. განჯის მხრით მოადგა  
მაჰმადი ტფილისს 70 ათას კაცით. ერეკლემ ჯარის  
შემოკრება ვერც კი მოასწრო: სულ ყავდა 7 ათასი  
კაცი. 1795 წ. კრწანისის ველი გადაიქცა ბრძოლის  
ველად. პირველი შეტაკება მოხდა 10 სეკტემბერს.  
ამ შეტაკებამ დაარწმუნა ყევნი, რომ უკან დაბრუ-  
ნება სჯობდა განგრძობას და იბრუნა კიდეც პირი,  
მაგრამ აქ შინაგანმა ლალატმა ყველაფერი დაშალა!  
მტარვალი, რომელიც გაბრუნებას ფიქრობდა, შემობ-  
რუნდა ისევ, როცა ერეკლეს ჯარის სიმცირე შე-

იტყო. ამას დაერთო კიდე სხვა: მტერს უჩვენეს შინაურებმა ტფილისში მომავალი გზა ტაბახმელით, საიდანაც ისინი დაეშვენ პირდაპირ ქალაქში. ერეკლემ რომ ეს შეიტყო, სიკვდილი ირჩია და ხმალ მოღერებული გადავარდა მტრის რაზმში და კაფვით მივიდა ყევნის დროშასთან. აქ სიკვდილი აუცდენელი იყო, თუ ბატონიშვილს ირანეს არ გამოეხსნა პაპა. თვალ-ცრემლიანი ძლიერ გაიყვანეს მეტე ავლაბრის ხიდით ანანურისკენ. უწყალო მტერი შემოვიდა და მთელიქალაქი მტვრად აქცია. სიონი-დასწვა და ტფილისის მიტროპოლიტი დოსითეოზ მტკვარში გადააგდებინა და დაახრჩიბინა!

ამ უბედურებამ ისეთი საზარელი გავლენა იქონია ერეკლეზე, რომ ის დაავათმყოფდა და წყომან კისგან გადაიცვალა 11 იანვარს 1798 წ.

ერეკლეს შემდეგ საქართველოში მალე დაშვიდობდა რუსეთის მთავრობა: 1800 წ. 18 იანვარს ქართლ-კახეთში (პავლეს მანიფესტის ძალით), იმერეთში 1810 წ. 19 აპრილს, გურიაში 1811 წ. 8 აპრილს, სვანეთში 1858 წ., აფხაზეთში — 1866 წ., სამეგრელოში 1867 წ. 4 იანვარს.

მწერლობა წარსულ საუკუნის ბოლოს.

თვითმურაშ ბატონიშვილმა (+25 ოკტ. 1847 წ.) დასწერა „საქართველოს ისტორია“, „დავით ბატონი-შვილის ომები“, „ტფილისის აღება აღამაშვილისგან“.

ითანე ბატონიშვილმა დატეგს „რუსულ-ქართული ლექსიკონი“.

ითანე ხელაშვილმა — კალმასობა, რომელშიაც მოთხრობილია ქართველების ზნე-ჩვეულება, იმ დროს საჭირო კითხვები, ისტორია, ფილოსოფია. და სხ. გაიოზ ნაცვლიშვილი.

შეცრე ჭარაძე (+1837) იყო მოლექსე.

ბესიე გაქარიას-ძე გაბაშვილი (+1799) იყო საუკეთესო მოლექსე თავის დროს.

ამან ხერხეულიშვილ დასწერა ერეკლეს ისტორია.

შამუხა არბელიანმა დასწერა „ქართლის ცხოვ-რება“ 1739 წლიდან 1758 წლამდის.

აშხათავი ნეკრესევლი (+1808) იყო ჩინებული მქადაგებელი.

დადაანშა ნეკოლოზ დასწერა იმერეთის ისტორია 1784 წლიდან 1823 წლამდის და უწოდა „ქართლის ცხოვრება“.

დავით რეკტორი მესხი (თელავის სემინარიის მეორე რეკტორი).

## შეცდომის გასწორება

სტრ.	გვერ.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
11	4	ძმის	შვილის
15	7	თავი	თავის
26	8	აპარშაბათი	ვაპარშაბათი
1	9	მომენტი; დაგვირ- გვინდა	მომენტი
4	"	ხელს	პირს
10	"	იმაზედ	თავის ოვზედ
20	10	ცროგორც	როგორც
22	14	პოტამი	პოტამის
"	"	ის სულთნის-	სულთნის
21	15	მიემხრე	მიემხრენ
26	"	დიმიტრი გიორგის- ძის შვილი იყო	დიმიტრი გიორგის- ძის შთამომავალ- თაგანი იყო
2	16	სამ	ორ
4	"	და იწყო	იწყო
"	"	რბევა.	რბევა
5	"	მეორე დადგა	და დადგა.
"	"	აგარანს (ბოკოს და დადიანის სარდლო- ბითა	აგარანს,
6	"	მესამე გუნდი	მეორე გუნდი
20	18	შვილი	ძმა
13	19	შვილს	ძმას
16	21	გადენა	გადევნა
3	22	კახეთიდან	კახეთიდან.

სტრ.	გვერ.	დამეკიდილია.	უნდა იყოს.
2	24	თვითონ	. თვითონ
2	26	შემოიკრიბა	. შემოიკრიბა
19,20	27	ასტრასანი, ყაზანი, ყი- რიმი, რუსეთი, რია- ზანი	რუსეთი
27	"	1120	1920
14	28	განჯით	განჯით,
20	"	მცირე-აზიის სულთანმა შარვანშამ	შირვანის შარვან- შამ
27	"	არანის	არანის
22	"	ხემო-ქართლისკენ ამ საქმის	შირვანისკენ ამ სა- ქმის
5	29	1123	1923
5	30	ხვარაუ-მელების	ხვარაუმელების
9	32	მწყემს	მწყემს
7	36	დავით სოსლანმაც ამი- ტომ ძალა-უნებურად	ქართველობამ
7	39	მძინვარებს	ბატონობს
23	"	დროს.	დროს)
6	41	ჩვენ	ჩვენ
6	54	1305	1395
2	55	გახდა,	გახდა და
15	57	ალექსანდრე	ალექსანდრე I
16	57	რამერლანის	ლანგ-თემურის
2	65	იყო	იყოს
24	69	დაიკირეს	დაიკირეს ქართვე- ლებმა
5	79	რომინაალმდეგები	მოწინაალმდეგები
17	83	ურჩია	ურჩია,
4	95	შვილი	შვილმა

სტრ.	გვერ.	დაბეჭდილია,	უნდა იყოს.
20	103	ქაიხოსრო,	ქაიხოსრო
5	116	შეიქნა	შეიქნა არჩილი
5	117	სამეფო	• სამეფო
22	123	და-ძმების	და ძმების
”	135	ოსმალოს,	ოსმალოს ჯარს,
27	136	1735 წ.	1735 წ.,
20	139	შაჰისა“.	შაჰისა“.)



947 922

5 842